საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№241 (12 311)
12 ოქტომბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

კალაძე ნაკრებთან

ევრო 2008. იტალია-საქართველო

დავით ცაბაძე
გენუიდან

გუშინ საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა. **კლაუს ტოპმიოლერის** სამწყსომ წვრთნა საათნახევარში მოათავა. მწვრთნელს ყველანი ჯანზე ჰყავს, ტრავმირებული არავინაა. გუშინ მილანიდან გენუაში ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ჩავიდა და თანაგუნდელები მოინახულა. გენუაში ჩასვლამდე მან "მილანში" ვარჯიში მოასწრო. თუკი წინა დღით ის მხოლოდ დარბოდა და ტრენაჟორებზე იტვირთავდა თავს, გუშინ უკვე ბურთით ივარჯიშა, თუმცა არა სრული დატვირთვით. ასე რომ, იმედი კალაძის შოტლანდიასთან თამაშისა, არ არსებობს.

წვრთნა ისევე ნარიმართა, როგორც წინა დღეებში - მოთელვა, კვადრატი, კომბინაციები, ბოლოს კი ორკარა, რომელშიც ტოპმიოლერი ხვალინდელი მატჩისთვის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევას ცდილობს.

კვლავაც არაა გადაწყვეტილი, ვინ უკაპიტნებს ნაკრებს კალაძისა და **კობიაშვილის** არყოფნაში. საამისოდ **ხიზანიშვილისა** და **ცქიტიშვილის** კანდიდატურები განიხილება. გადაწყვეტილებას ამის თაობაზე გუნდი მატჩამდე მიიღებს.

დღეს საქართველოს ნაკრები უკვე "სტადიო მარასიზე" ივარჯიშებს, სადაც ხვალ მოუწევს ბრძოლის გადატანა. დღესვე გენუაში ჩავა იტალიის ნაკრებიც. მატჩის წინა დღეს იტალიელთა მწვრთნელი **რობერტო დონადონი** მედიის წარმომადგენლებს შეხვდება, ანალოგიური შეხვედრა ექნება კლაუს ტოპმიოლერსაც.

კახა გენაძე

გრიგოლ დოლიძე, გიორგი დემეტრაძე და დიმიტრი ტატანაშვილი ვარჯიშზე

რა მოხდება 29 ოქტომბერს?

ირაკლი თავაძე

გუშინ, სპორტული სამყარო კიდევ ერთხელ შეიკრიბა. ამჯერად ჭიდაობის ფედერაციაში, სადაც მიიღეს მიმართვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგისადმი** სეოკ-ში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. შეხვედრას სპორტული ფედერაციების წარმომადგენლები უკლებლივ ესწრებოდნენ, რომლებმაც თითქმის ასევე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მიმართვის ტექსტს.

მოკლედ, სპორტულ სამყაროში ბოლო დღეებში დამყარებული ჰარმონია არც გუშინ დარღვეულა და არც თავად შეხვედრის სულისკვეთება შეცვლილა - გამომსვლელები **ბადრი პატარკაციშვილს** სპორტის სათავეებთან ყოფნის მიზანშეუწონლობაზე საუბრობდნენ. ამ მხრივ ყველაზე მკვეთრი განცხადებები ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა **კახა გენაძემ** და კულტურისა და სპორტის მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა** გააკეთეს. *"ქართული სპორტი არ იყიდება. ეს არაა ის სფერო, რომელსაც მეფისტოფელივით მოისყიდი ფოჩიანი კანფეტებით"* - განაცხადა გაბაშვილმა.

ორივე ზემოხსენებულმა გამომსვლელმა განსაკუთრებით ღირსებაზე გაამახვილა ყურადღება, რადგან სეოკ-ის გარშემო ატეხილ ამბებთან დაკავშირებით ეს სიტყვა ხშირად გაისმის. მათი თქმით, ადამიანს, რომელიც მუდმივად ხდება ლოკალური თუ გლობალური სკანდალების მთავარი მოქმედი პირი, ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელობის უფლება არა აქვს. არიან ბიზნესმენები, რომლებიც სპორტში დებენ ფულს, მაგრამ ამისთვის სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ.

შეხვედრაზე რამდენჯერმე ახსენეს ოლიმპიური ჩემპიონი **გიორგი ასანიძე** და განაცხადეს, რომ უმადურობა მისთვის ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მიცემული პრემიის დამადლებაა, რადგან ის ჩემპიონობა თავისი შრომით მოიპოვა. გენაძის თქმით, პატარკაციშვილი ჭიდაობის ფედერაციის ხარჯების მხოლოდ მეათედს აფინანსებდა, დანარჩენს კი სახელმწიფო და სხვა სპონსორები აძლევდნენ, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** კი ფედერაციების პრეზიდენტებზე ზეწოლის ფაქტი უარყო. ერთსულოვნებაში ცოტაოდენი დისონანსი ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** შეიტანა, რომელმაც განაცხადა, რომ პატარკაციშვილმა ბევრი გააკეთა ქართული ოლიმპიური სპორტისთვის და ეს არ უნდა დაუკარგონ. მისი თქმით, თუ ჩვენი პლაჟბურთელები პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას მოიპოვებენ, სწორედ ბადრი პატარკაციშვილის დამსახურება იქნება. არადა, ეს ქართული სპორტისთვის უპრეცედენტო ფაქტი აღმოჩნდება, რადგან სათამაშო სახეობებში პირველად გამოვალთ, ჩვენი გაქართველებული ბრაზილიელი ფრენბურთელები კი ამის ჩინებულ შანსს ინარჩუნებენ.

სხდომაზე ყველა გამომსვლელმა გამოთქვა იმედი, რომ 29 ოქტომბერს, სეოკ-ის სესიაზე, ხმის უფლების მქონე 189 დელეგატი სწორ არჩევანს გააკეთებს და პრეზიდენტს ისე აირჩევს.

მიმართვის ტექსტი 11

დონადონი სამ ფორვარდს გეგმავს

მეტოქის ბანაკში 2

გენუიდან რეპორტაჟს ვერ ვნახავთ?

2

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით სირაძესთან

ბრძოლა ქულისთვის



დავით სირაძე

საკლუბოსგან განსხვავებით, წლეულს დავით სირაძეს ნაკრებში უფრო წარმატებული სეზონი აქვს. 5 მატჩში 3 გოლი ასეთია ფორვარდის მონაგარი და კლაუს ტოპმიოლერიც მას ბოლო პერიოდში მუდმივად ენდობა. დათოს დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ.

- მზადება მომავალი მატჩისთვის კარგად მიდის. სამწუხაროდ, ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია, თუმცა გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. ისინი გუნდში დამკვიდრებისთვის იბრძვიან და თავს გადადებენ ამ მატჩში. ვფიქრობ, კარგი თამაში იქნება. ჩემი აზრით, შაბათის მატჩი რთული იქნება, არა მარტო ჩვენთვის, არამედ იტალიელებისთვისაც.

- ამას იტალიელებთან თბილისური მატჩიდან გამომდინარე ამბობ?

- თუნდაც, კანკავას გაძევებადე, თბილისში იტალიელებს თანაბრად ვეთამაშეთ. ტოლი არაფერში დავუდეთ. მართალია, ახლა უფრო შესუსტებული შემადგენლობა გვყავს, მაგრამ სერიოზულად ვემზადებით, გუნდში საბრძოლო განწყობაა და პესიმიზმის საფუძვლი არც მე და არც სხვა ფეხბურთელებს არ გვაქვს.

- კლაუს ტოპმიოლერი თითქმის ყველა ვარჯიშზე გესაუბრებათ. რას ეხება ეს საუბრები?

- ამ მატჩის მნიშვნელობაზე გვესაუბრება. ზოგი ფეხბურთელი ისე ამთავრებს კარიერას, იტალიასთან და საერთოდ მსოფლიო ჩემპიონთან ან რომელიმე გამორჩეულ გუნდთან თამაში არც კი უნევს. ჩვენ ეს პატივი გვხვდა წილად. ასე რომ, მოტივაცია გვაქვს და საკმაოდ სერიოზულიც.

- გუნდში დანაკლისის გამო, რამე ფსიქოლოგიურ პრობლემას ხომ არ ხედავ?

- დანაკლისს ყოველთვის ავსებენ სხვა ფეხბურთელები და ეს ჩვენც უნდა შევძლოთ. ფსიქოლოგიური პრობლემა კი არ უნდა იყოს. ის რომ მსოფლიო ჩემპიონებს ვეთამაშებით, ამან პირიქით, უნდა გაგვახელოს. მსოფლიო ჩემპიონისთვის ქულების წართმევა შეგვიძლია.

- შენი სანაკრებო კარიერა ხანგრლივი არა, მაგრამ გამორჩეულია - ეროვნულ გუნდში გადამწყვეტი გოლების ავტორი ხარ...

- თავდამსხმელი ვარ და ჩემი მოვალეობა გოლების გატანაა. ამას ყველა თამაშში ვცდილობ და რამდენად კარგად გამომდის, ეს უკვე მწვრთნელების, სპეციალისტებისა და ხალხის გადასაწყვეტია.

- 5 თამაში და სამი გოლი, ასეთია შენი მონაგარი. იქნება იტალიასთან მეოთხე გოლი?

- მშვენიერი პერსპექტივაა. გპირდებით ცდას არ დავაკლებ და თუ გამომივა და გავიტან, ღმერთის მადლობელი ვიქნები.

- გენუის მატჩიდან 4 დღეში შინ შოტლანდიასთან გვიწევს თამაში. ქულების ნაკლებობა, საკუთარი ქომაგი და ბევრი ფაქტორია საიმისოდ, რომ ქულათა მარაგი გავზარდოთ...

- წესით, შინ ლიტვასაც უნდა მოვუგოთ და შოტლანდიასაც...

- ახლა საკლუბო კარიერაზე გადავიდეთ. "პადერბორნი" შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. ამას რით ახსნი?

- სეზონის წინ ყველა ბუნდესლიგაში გადამსვლელ მთავარ პრეტენდენტად გვთვლიდა, მაგრამ... არა და, ცუდი გუნდი ნამდვილად არ გვყავს. შემადგენლობა კარგია, გამოცდილი მწვრთნელია ფოლგერ ფახი და ცუდ შედეგებს იმასაც ვერ დავაბრალებ. ვფიქრობ წარუმატებელი პერიოდი გვაქვს...

- კრიზისიდან გამოდიხართ თუ ჯერ კიდევ ვერ?

- მატჩიდან მატჩამდე თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებთ, მაგრამ შედეგებში ეს ჯერ არ აისახება. ფიქრობ ერთი მოგება გვინდა, ნავსს გავტეხთ და მერე უკვე კარგად წაგვივა საქმეები..

- კლუბის შეცვლას არ აპირებ?

- გული მწყდება რომ "პადერნბორნის" საქმეები კარგად არ მიდის. კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქი მაკავშირებს, მაგრამ თუ კარგი ვარიანტი გამოჩნდა, ხელს არ შემიშლიან.

- საუბრის დონეზე თუ მაინც გაქვს რამე ვარიანტი?

- არა, ჯერ არა, მაგრამ აგენტი მპირდება და ვნახოთ.

- შესაძლოა, ზამთარშიც შეიცვალო მისამართი?

- ამასაც არ გამოვრიცხავ. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები

დავით ცაბაძე
გენუიდან

ქართული არხები იტალიასთან მატჩს არ ჩვენებენ?

იტალია-საქართველოს ვერ ვნახავთ?

13 ოქტომბერს გენუაში საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონ იტალიას შეხვდება. სამწუხაროდ, დიდი შანსია, რომ ქართველმა გულშემატკივარმა ეს თამაში ვერ იხილოს.

ყოველ შემთხვევაში, დღემდე საკმაოდ გაურკვეველი ვითარებაა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ ეროვნული ნაკრების ყველა საგარეო შეხვედრის ტრანსლაცია სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2" - ის ეთერით იგეგმებოდა. მერე გაირკვა, რომ "რუსთავი 2"-მა ყველა მატჩის ჩვენების უფლება იყიდა, გარდა შოტლანდიასთან თამაშისა - ეს რეპორტაჟი "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" აჩვენა.

იტალიასთან შეხვედრა მოახლოებულია და არც ერთი არხის ტელეპროგრამაში მატჩის ტრანსლაცია არაა მითითებული.

დავინტერესდით და გვითხრეს, რომ "რუსთავი 2" რეპორტაჟს არ გადასცემს. ამის შესახებ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" აცნობეს, იქნებ მათ მაინც მოეხერხებინათ შეთანხმება იმ ტელესააგენტოსთან, რომელსაც იტალიის ნაკრების მატჩების ჩვენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია.

ახლა "საზოგადოებრივი მაუწყებელის" ხელმძღვანელობა ცდილობს, რეპორტაჟის მოპოვებას. თუმცა, შეხვედრამდე ორი დღით ადრე ტელესააგენტოსთან შეთანხმება დროის სიმცირის გამო, უკვე რთული ამოცანაა.

სავარაუდოდ, 90 პროცენტით რეპორტაჟს ვერ ვაჩვენებთო - "საზოგადოებრივ მაუწყებელში"ასეთი პასუხი მივიღეთ.

ხელისშემშლელია ისიც, რომ შაბათს 23.00 საათზე "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" უკვე დაიგეგმა რაგბში მსოფლიო თასის ნახევარფინალური მატჩის (საფრანგეთი - ინგლისი) რეპორტაჟი.

საერთოდ, იტალიელთა რენომედან გამომდინარე, მათი შეხვედრების ჩვენება ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი მიზეზი. "რუსთავი 2"-სა და "საზოგადოებრივ მაუწყებელს" არანაკლებ ძვირიანი რეპორტაჟები შეუძენიათ. მაგალითად, იგივე საფრანგეთთან და შოტლანდიასთან თამაშები. თუმცა, რა მოხდა ამჯერად, ვერაფერს გეტყვით. ვიცით მხოლოდ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" პრობლემა - მას რეპორტაჟის უფლების ასაღებად ხელს დროის სიმცირე უშლის.

ერთადერთ შვებად ის გამოგვადგება, რომ შეხვედრას იტალიური ტელეკომპანია "რაი-უნო" გადასცემს, ამ არხის ყურება კი "აიეტზეა" შესაძლებელი. მატჩი 22.30 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

ბუფონისთვის საქართველო ადვილია

ხვალ იტალიას საქართველოსთან ვერ დაეხმარება დისკვალიფიცირებული **ფაბიო კანავარო** და "აძურას" მისი მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი** უკაპიტნებს, ვინც პირველად მოირგებს ეროვნული ნაკრების სკიპერის სამკლაურს.

სააგენტო "ასოშეიტედ პრესმა" კი ბუფონის სიტყვები გაავრცელა. *"შესარჩევი ეტაპის დაძლევა ჩვენთვის ადვილი არ იქნება. სულ სამი თამაში დაგვრჩა ჯგუფში, აქედან ორი რთული არ იქნება, ერთი - გაცილებით სერიოზული. პირველ რიგში კი საქართველო უნდა დავამარცხოთ"*, - უთქვამს ბუფონს.

საქართველოს შემდეგ იტალია 17 ნოემბერს შოტლანდიას ესტუმრება, 21 ნოემბერს კი ფარერებს უმასპინძლებს. თქმა არ უნდა, ბუფონი არართულ მეტოქეებად საქართველოსა და ფარერებს მიიჩნევს. ამ დროისთვის იტალია ჯგუფში მეორე ადგილზეა.

დავით თავართქილაძე

იტალია

დონადონი სამ ფორვარდს გეგმავს

კიელინი და იაკუინტაც მზად არიან

ITALIIS ნაკრები საქართველოსთან მატჩისთვის კოვერჩანოში ემზადება. **რობერტო დონადონი** პრესასთან მაინცდამაინც დიდი ენაწყლიანობით არ გამოირჩევა. გუშინ მან გახარებულმა აუწყა მედიას, რომ **ჯორჯო კიელინი** და **ვინჩენცო იაკუინტა** გამოჯანმრთელდნენ. ტურინული წყვილი "ფიორენტინასთან" გასული ტურის შეხვედრაში დაშავდა. იაკუინტამ მუხლი იტკინა, კიელინის კი კუნთი გაეჭიმა. დონადონი "სკუადრა აძურის" ექიმ **ანდრეა ფერეტის** ემადლიერება. ამ კაცის ხელით განიკურნა **მასიმო ამბროზინიც** და მწვრთნელს, ფაქტობრივად, აღარ დარჩა პრობლემა, განსხვავებით მისი კოლეგა **კლაუს ტოპმიოლერისგან**, რომელსაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება.

ამბროზინის გამოჯანმრთელება იმას ნიშნავს, რომ დონადონი სადღეისოდ უძლიერეს შემადგენლობას დაგვიპირისპირებს. შეიძლება ითქვას, იტალიის ნაკრებისთვის საქართველოსთან მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნოემბერში მას გასვლითი მატჩი ელის შოტლანდიასთან, ამ დროს კი საფრანგეთის ნაკრებს შედარებით იოლი კალენდარი აქვს.

სახვალიოდ დონადონი 3 ფორვარდით გეგმავს თამაშს. "გაძეტა დელო სპორტი" თითქმის დარწმუნებულია, რომ იტალიელთა თავკაცი ამ შემადგენლობას გამოიყვანს: **ბუფონი, ოდო, ბონერა, ბარძალი, კიელინი, გატუზო, დე როსი, ამბროზინი, კვალიარელა, ტონი, დი ნატალე.**

თუმცა არის ალტერნატიული ვარიანტებიც. მაგალითად, **დანიელე ბონერას** ნაცვლად, უკანა ხაზში, **კრისტიან პანუჩი** შეიძლება ვიხილოთ. შესაძლოა ისიც, რომ დაცვის მარცხენა ფლანგზე დადგეს **ფაბიო გროსო** და არა კიელინი, ნახევარდაცვაში კი **ანდრეა პირლო** და არა **დანიელე დე როსი**. კორექტივი შეიძლება გაჩნდეს თავდასხმაშიც, სადაც დონადონიმ **ფაბიო კვალიარელას** ნაცვლად არჩევანი შეიძლება იაკუინტაზე გააკეთოს.



რობერტო დონადონი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

ახალგაზრდული ნაკრები. ყაზახეთთან მატჩის წინ

ნავსის გასაჭეხად

ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ "მერანის" სტადიონზე ივარჯიშა. გუშინწინდელი ვარჯიში ერთ-ერთ ლიდერად ... ლი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გუნდის ლიდერების, შოთა გრიგალაშვილისა და სანდრო კობახიძის ინტერვიუებს შემოგთავაზებთ. მათ სანაკრებო საკითხებზეც გავესაუბრეთ და საკლუბოზეც.

შოთა გრიგალაშვილი ნაკრებს პროგრესი აქვს

- ბოლო პერიოდი შენთვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. "ბორჯომში" წარმატებული ასპარეზობის გამო, "ლელომ" სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელა...

- დაფასებისთვის მადლობელი ვარ. ამ სეზონში მართლაც არ ვარ უკმაყოფილო საკუთარი თავით. მეტიც შემეძლო, მაგრამ ხელი ცოტა ხნის წინათ მიღებულმა ტრავმამ შემიშალა. კოჭი ისევ მაწუხებს, მაგრამ წესით, მალე უნდა გამიაროს.

- აშკარაა, რომ გარემოს შეცვლა ძალიან წაგადგა. "ბორჯომში" გაცილებით ნაყოფიერად თამაშობ, ვიდრე "დინამოში".

- "ბორჯომში" ამ წლის დასაწყისში გადავედი და მას შემდეგ თამაში მართლაც უკეთ გამომდის. "დინამოში" არასტაბილურად ვასპარეზობდი და ძირითადშიც ყოველთვის ვერ ვხვდებოდი, "ბორჯომში" კი ნდობა ვიგრძენი, რამაც საკუთარი ძალების რწმენა შემმატა. ამას გარდა, საქართველოს კვალობაზე, ამ გუნდში ფეხბურთელებს ნორმალური პირობები აქვთ და შედეგიც სახეზეა. რაც ყველაზე მთავარია, "ბორჯომთან" ადაპტაცია იოლად გავიარე, აქ ხომ ძირითადად, ყოფილი დინამოელები ვთამაშობთ. მოკლედ, ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდია, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის.

- ამ სეზონს "ბორჯომში" ჩაამთავრებ?

- ჯერ არ ვიცი, რა მოხდება ზამთრის სატრანსფერო პერიოდში. ისე კი, არაფერი მაქვს იმის საწინააღმეგო, რომ ამ გუნდში სეზონის ბოლომდე დავრჩე.

- შემდეგ კი ალბათ, რომელიმე საზღვარგარეთულ კლუბში დამკვიდრებას შეეცდები.

- ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ ფეხბურთელთა კატეგორიას, რომელთაც ერთი სული აქვთ, საქართველო დატოვონ. ... დრო აქვს და ერთ დღეს მეც გაღავნყვეტ კარიერის უფრო მაღალ დონეზე გაგრძელებას. ოღონდ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და შევეცდები, შესაფერისი კლუბი მოვძებნო.

- სულ ცოტა ხნის წინ ეროვნულ ნაკრებში გიძახებდნენ, ამის შემდეგ ახალგაზრდულზე კონცენტრირება ხომ არ გიძნელდება?

- რა თქმა უნდა, არა. ჩემთვის საქართველოს ნებისმიერ ნაკრებში გამოძახება დიდი პატივია და ყველგან ბოლომდე დავიხარჯები. თუმცა მალე ახალგაზრდულის ასაკს გადავაბიჯებ და ყველაფერს ვიღონებ ეროვნულ გუნდში დასამკვიდრებლად. კარგად მესმის, რომ ძალიან რთული იქნება, მაგრამ ეს ჩემი მთავარი მიზანია და მის მისაღწევად ბოლომდე დავიხარჯები.

- როგორ ფიქრობ, ახალგაზრდული ნაკრები დარჩენილ შეხვედრებში შეძლებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას?

- უკვე კარგი ხანია, რაც სტაბილური შემადგენლობით ვიკრიბებით და ვფიქრობ, გარკვეულ პროგრესსაც მივაღწიეთ. ვერც იმას ვიტყვი, რომ წინა მატჩებში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მიზეზთა გამო, მხოლოდ სამი ქულა მოვიპოვეთ. ყაზახეთის ნაკრებს მეორე მატჩიც უნდა მოვუგოთ, რაც ცხრილში პოზიციებს გაგვიმყარებს და უფრო მაღალი ადგილის დაკავების შანსს გაგვიჩენს.

სანდრო კობახიძე მთავარი ბრძოლა რუსეთთან იქნება

- ბოლო მატჩებია, "დინამოში" მხოლოდ შეცვლებზე თამაშობ. ეს ფაქტი შენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?

- არა, ეს ფეხბურთია, სადაც კონკურენცია ჩვეულებრივი ამბავია. ბუნებრივია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უსიამოვნოა, მაგრამ თავის გამოსაჩენად გარკვეული დრო მეძლევა და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული - იმედია, შევძლებ ოპტიმალურ ფორმაში შესვლას და სასტარტო თერთმეტეულში ადგილის დაბრუნებას. მოკლედ, საგანგაშო არაფერია, კონკურენცია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის სასარგებლოა და გამონაკლისი არც მე ვარ, შექმნილი სიტუაცია სტიმულს მაძლევს შრომისთვის.

- შეცვლებზე თამაშის მიუხედავად, "დინამოს" წარმატებაში საკუთარი წვლილი მაინც შეგაქვს.

- გუნდი დღეისათვის ჩინებულ ფორმაშია, რაც თითოეული ჩვენგანისა და ბუნებრივია, მწვრთნელების დამსახურებაა. ჩემპიონატში რვა მატჩი ჩავატარეთ და რვავე მოვიგეთ, რაც დამეთანხმებით, გამორჩეული შედეგია.

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბოლო გამარჯვებაა. ელოდი, რომ "დინამო" "ამერს" ასე დაჯაბნიდა?

- ვიცოდით, რომ მძიმე ბრძოლა გველოდა და სამი ქულა იოლად ნამდვილად არ მოგვიპოვებია, მაგრამ მეტოქეს მართლაც მთელი თავით ვაჯობეთ. "ამერის" ძალა ყველამ იცის, წინა სეზონში ამ გუნდმა ორჯერ მოგვიგო და ნლეულსაც ლიდერებში იქნება. უბრალოდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დღეისათვის, "დინამო" ძალიან კარგ ფორმაშია. აი ვართ თუ არა ამ ეტაპზე საქართველოს საუკეთესო გუნდი, ეს "ზესტაფონთან" შეხვედრაში გამოჩნდება. მანამდე არანაკლებ პრინციპული ბრძოლა გვაქვს "ვიტ ჯორჯიასთან".

- "დინამოში" დარჩენას კიდევ რამდენ ხანს აპირებ?

- სანამ წასვლაზე ვიფიქრებ, ჯერ ჩემი უახლოესი ოცნება უნდა ავისრულო - საქართველოს ჩემპიონი უნდა გავხდე. "დინამოს" მთავარ გუნდში უკვე კარგი ხანია, ვარ და ოფიციალურ ... არ მომიპოვებია. საზღვარგარეთ წასვლას ყოველთვის მოვასწრებ, ჯერ ახალგაზრდა ვარ და აქაც შემიძლია გაზრდა.

- როგორ გგონია, "დინამო" დღეს გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე "რაპიდთან" მატჩებისას იყო?

- არა, მაშინ სულაც არ ვიყავით ამაზე უარეს ფორმაში, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო, ავსტრიელებს ვერაფერი დავუპირისპირეთ. პირველ რიგში, ასეთი მარცხი ალბათ იმის ბრალი იყო, რომ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს და ევროთასებზე გამოსვლის დიდი გამოცდილება არ გაგვაჩნია. თორემ "დინამოსა" და "რაპიდს" შორის ნამდვილად არაა იმხელა სხვაობა, ორი შეხვედრის ჯამში 0:8 რომ დავმარცხებულიყავით.

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

- ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა რომელი მატჩი ჩაატარა ყველაზე კარგად?

- მარცხის მიუხედავად, თბილისში ესპანეთთან საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშეთ. მეტოქეს არაფერი დავუთმეთ, ბოლომდე ვიბრძოლეთ და მხოლოდ დასანანი გოლით წავაგეთ. ამ მატჩმა საკუთარი ძალების რწმენა გაგვიძლიერა და დაგვარწმუნა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია ტოლსწორად ბრძოლა. არადა, ესპანეთის ახალგაზრდულის წევრთა უმრავლესობა პრემიერა დივიზიონის, ლიგის ... რითადში თამაშობენ, ჩვენი ბიჭების დიდ ნაწილს კი ქართულ კლუბებში არ აქვს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა.

- პეტარ სეგრტმა ჩვენი გუნდის ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ისაუბრა და თქვა, რომ სტუმრად თამაში გვიჭირს.

- დიახ, ასეა, გასვლით მატჩებში ყოველთვის გვაკლია კონცენტრაცია. თუმცა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად ბევრს ვმუშაობთ და იმედია, ყაზახეთიდან სამი ქულით დავბრუნდებით. სხვათა შორის, ყაზახებს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავთ, რაც რუსთავში გამართულ შეხვედრაშიც გამოჩნდა. წლის ყველაზე პრინციპული დაპირისპირება კი ნოემბერში შინ გველის რუსეთთან. გულშემატკივრებს მთელი გუნდის სახელით ვპირდები, რომ მათ გასახარებლად თავს არ დავზოგავთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ყაზახეთ-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 16 ოქტომბერს გაიმართება, გუნდი თბილისიდან 15-ში გაფრინდება. ამ 23 ფეხბურთელიდან პეტარ სეგრტი ყაზახეთში ნასაყვანად 20-ს შეარჩევს.

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), მიხეილ ალავიძე (ოლიმპი), კონსტანტინე სეფიაშვილი (მერანი).

მცველები: უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი), გურამ კაშია (დინამო), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი თავბერიძე (სიონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი).

ნახევარმცველები: შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ირაკლი ჩირიკაშვილი (ცხინვალი), ალექსანდრე კობახიძე (დინამო), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (ბათუმი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ნიკოლოზ ფირცხალავა (დინამო).

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).

ლევან ჯანეზაშვილი

ფეხბურთელთა უმაღლესი მოჰზადება არგენტინაში, დიეგო მარადონას საშოობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწერილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.

დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკლიშს საქართველო ადარდებს



ალექს მაკლიში

"გახსოვთ მატჩი გლაზგოში? ურთულეს მატჩში მოვახერხეთ საქართველოს დამარცხება. სიმართლე გითხრათ, ის მატჩი მაინც და მაინც კარგად არ მახსენდება, ძალიან ბევრი ვინერვიულე. ეს გუნდი შესარჩევ ციკლს ისე არ ამთავრებს, ერთი-ორი სიურპრიზი არ შესთავაზოს საზოგადოებას. ვისურვებდი, რომ ასეთი სიურპრიზი ქართველებმა იტალიელებს შესთავაზონ და ჩვენ შეგვეშვან", - ეს სიტყვები შოტლანდიელთა მწვრთნელს **ალექს მაკლიშს** ეკუთვნის. უკრაინასთან მოახლოებული მატჩის წინ მწვრთნელი და მისი შეგირდები მედიის ყურადღების ცენტრში არიან. "სკაის" წარმომადგენლებთან გუშინდელ საუბარში შოტლანდიელთა თავკაცი უმეტესად უკრაინასთან მატჩს შეეხო, თუმცაღა არც საქართველო დაუტოვებია უყურადღებოდ: *"ცხრილში საქართველოს ადგილი მასთან მოგების გარანტი ვერანაირად ვერ იქნება. ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს. ახლა მთავარი საზრუნავი უკრაინასთან მატჩია, მაგრამ, მერწმუნეთ, არანაკლებ სადარდებელია ქართველებთან დაპირისპირება. თანაც შემადგენლობაშიც გარკვეული პრობლემები გვაქვს"*.

რა იგულისხმა მაკლიშმა პრობლემებში დაზუსტებით ვერ გეტყვით, თუმცა გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ **გარი კოლდუელის** თამაში უკრაინასთან და საქართველოსთან საბოლოოდ გამოირიცხა. გუშინწინდელი ინფორმაციით კოლდუელს საქართველოსთან თამაშის მცირე შანსი ჰქონდა, თუმცა ფეხბურთელი ნაკრების ექიმებმა გუშინ ხელახლა გასინჯეს და ერთკვირიანი დასვენება გამოუწერეს.

კუნძულელთა რჩეულნი

ფარერების ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოგვან მარტინ ოლსენმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც შესაბამისად 13 და 17 ოქტომბერს შინ საფრანგეთსა და სტუმრად უკრაინასთან სათამაშოდ მოემზადება.

მეკარეები: იაკუპ მიკელსენი ("ტორსპავნი"), რენე ტორგარდი ("სტრეიმური").

მცველები: ფროდი ბენიამინსენი ("ტორსპავნი"), ჰერბერტ იაკობსენი ("ტორსპავნი"), ეინარ ჰანსენი ("რუნავიკი"), ოლი ჰანსენი ("რუნავიკი"), იონ რეი იაკობსენი ("ოლბორგი"), სუნი ოლსენი ("ოლბორგი").

ნახევარმცველები: მიკიელ ტომასენი ("ტორსპავნი"), კარი ნილსენი ("ტორსპავნი"), როკურ ფლოტუმ ეესპერსენი ("ტორსპავნი"), იოპან ტროსტ დავიდსენი ("რუნავიკი"), კრისტიან ჰოლსტი ("ლუნგბიუ"), სიმუნ სამუელსენი ("ნოტოდენი"), ჰანს სამუელსენი ("სტრეიმური").

თავდამსხმელები: ბერგურ მიდიურდი ("ტორსპავნი"), ანდრე ფლოტუმი ("ტორსპავნი"), როგვი იაკობსენი ("ტორსპავნი"), კრისტიან იაკობსენი ("რუნავიკი"), პიალგრიმ ელტორი ("რუნავიკი").



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

17 ოქტომბერს თბილისში **იოზეფ ზეპ ბლატერი** და **მიშელ პლატინი** მოდიან, ფიფას და უეფას პრეზიდენტები აქ ორი დღით დარჩებიან. ღმერთმანი, მნიშვნელოვანი ამბავია.

როგორც იურისტს, ბლატერს ბაკალავრის სტატუსი აქვს. შეიძლება ითქვას, განათლებითა და საქმიანობით ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალაცის** კოლეგაა.

თუმცა არის განსხვავებაც. ბლატერს მრავალმხრივი კარიერა ჰქონდა. ის ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერადაც მუშაობდა, იყო შვეიცარიის ჰოკეის ფედერაციის გენერალური მდივანიც.

საფეხბურთო მოხელის კარიერა ბლატერმა ფიფადან დაიწყო 1975 წელს და ექვსი წელი ამ ორგანიზაციაში ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა. მერე კი 1988 წლამდე გენერალური მდივანი გახლდათ და პირველად რომ ჩამოვიდა თბილისში, ამ თანამდებობაზე იყო - 1985 წელს საბჭოთა კავშირმა ახალგაზრდული ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. 1998 წლიდან კი ის ფიფას მთავარი კაცია.

"ვერცხლის" გოლი, ბოლო იმედის ჯარიმა... ბლატერის ეპოქაში ფეხბურთში ბევრი ახალი ნესი და კანონი გაჩნდა და გაჩნდა კიდევ უფრო მეტი ფულიც.

მეტი ფულისთვის ბლატერმა პრომოუშენი გაუკეთა კონფედერაციის თასის გათამაშებას. 2003 წელს ეს ტურნირი საფრანგეთში გაიმართა და კოლუმბია-კამერუნის ნახევარფინალში მოედანზე გარდაიცვალა კამერუნელი **მარკ-ვივიენ ფოე**. ფინალში კამერუნი და საფრანგეთი კი გავიდნენ, თუმცა ორივე გუნდის ფეხბურთელები აცხადებდნენ, რომ ფოეს ხსოვნის პატივსაცემად მატჩი არ უნდა გამართულიყო. მოკლედ, ძალიან დელიკატური საკითხი გახლდათ და მთავარი სიტყვა ბლატერს უნდა ეთქვა - თამაში მაინც ჩატარდება, დაიუნა ბლატერმა და კარგი ქოქოლაც მიიღო ევროპული მედიისგან. ფინალი ფრანგებმა მოიგეს 1:0, თუმც კონფედერაციის თასი ფრანგთა კაპიტანმა **მარსელ დესაიმ** ზევით არ ასწია, უბრალოდ, კამერუნელთა კაპიტან **რიგობერ სონგთან** ერთად გამოართვა ბლატერს.

დიდი ხმაური გამოიწვია ფიფას პრეზიდენტის 1998 წლის არჩევნებმა, როცა ბლატერმა უეფას მაშინდელ პრეზიდენტ **ლენარტ იუჰანსონს** მოუგო. თუმცა მაშინ მითქმა-მოთქმის იქით საქმე არ წასულა, ხოლო მომდევნო არჩევნებს სკანდალური ფინალი მოჰყვა. აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და სომალის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ფარ ადიმ** ბრიტანულ მედიას უამბო, ასი ათასი დოლარი შემომთავაზეს, თუ ხმას ბლატერს მივცემდიო. დაიწყო გამოძიება და საქმეს შვეიცარიის შესაბამისი სამსახური იძიებდა, თუმცა აქედან არაფერი გამოდნა. გამოძიება წამოიწყო ფიფამაც, მაგრამ ის ბლატერმა შეაჩერა და გააძლიერა ეჭვი, რომ კორუფციაში იყო ჩაფლული.

2006 ნელს ჟურნალისტურ გამოძიებაში ჭიპმოჭრილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა **ენდრიუ ჯენინგსმა** გამოსცა წიგნი Four, რომელიც ფიფას მარკეტინგულ პარტნიორ isl-ის გაკოტრებას ეხებოდა, კიდევ ბევრი საეჭვო რამეს, რაც ფიფაში ხდებოდა.

იმავე წელს იყო ჟურნალისტ **დევიდ გოლდბლატის** სტატია ბრიტანულ "ინდეპენდენტში", სადაც ის ამხელდა ბლატერს და მის თანაგუნდელებს ფიფას ფულების მითვისებისა და გაფლანგვაში. გოლდბლატი სხვათა გარდა იმაზეც მიუთითებდა, რომ მიუხედავად არაერთი თხოვნისა თუ მოთხოვნისა, ბლატერის ფულადი ქონება და ხელფასი ისევ გასაიდუმლოებულია.

ამ სტატიიდან ერთ დღეში ეთერში გავიდა BBC-ის დოკუმენტალისტების მიერ გადაღებული ფილმი : The Beutiful Bung- Coorruption and the worl Cup. ფილმში ცხადია, ბლატერზეც იყო მონათხრობი.



ზეპ ბლატერის ესთეტიზმის ფილოსოფია ფეხბურთში

2006 წლის მუნდიალზე პორტუგალია-ჰოლანდიის შეხვედრაში რუსმა არბიტრმა **ვალენტინ ივანოვმა** 16 ყვითელი და 4 წითელი ბარათი ააფრიალა. მატჩის შემდეგ ბლატერმა თქვა, ცუდი მსაჯობისთვის ივანოვს საკუთარი თავისთვის უნდა ამოეღო ყვითელი ბარათიო. მოგვიანებით კი განაცხადა, ივანოვისადმი ნათქვამს ვნანობ და გპირდებით, მას ბოდიშს მოვუხდიო.

იმავე მუნდიალის მერვედფინალში იტალიამ 1:0 დაამარცხა ავსტრალია. ბლატერმა კი ერთ-ერთ ავსტრალიურ ტელეარხზე განაცხადა, ეს თამაში იტალიას კი არა, ავსტრალიას უნდა მოეგოო. ბლატერი იმას ჩიოდა, იტალიას არდასანიშნი პენალტი დაუდესო. იტალიის ფეხბურთის ასოციაციამ ბლატერს ბოდიშის მოხდა სთხოვა, ბლატერმა კი თქვა, ყველაფერი არასწორი ინტერპრეტაციის ბრალია, მხოლოდ ის მსურდა, ავსტრალიის გულშემატკივრებისთვის მეთქვა, რომ მათმა გუნდმა დიდებულად ითამაშაო.

2004 წელს კი ფიფას პრეზიდენტმა ქალ ფეხბურთელებს ურჩია, უფრო მოწკეპილი და გამჭვირვალე საფეხბურთო შორტები ჩაიცვით, რათა ქალური ესთეტიკა უფრო კარგად წარმოჩინდესო...

ყველაზე მძიმე და კორუფციული ბრალდებები კი ბლატერს ფიფას გენერალურმა მდივანმა **მიშელ ცენ-რუფინენმა** წაუყენა 2002 ნელს, მაგრამ ყველაფერი მიიჩქმალა და მიჩუმდა, ცენ-რუფინენიც მალევე დაიფრინეს ფიფადან.

ბლატერი მხოლოდ ეს არ არის, ის უფრო ტევადი პერსონაა, მაგალითად, ფეხბურთის გარდა ძალიან უყვარს ჩოგბურთი, დიდად ეთაყვანებოდა სახელოვან **ჯიმი კონორსს**.

ბლატერის ჩამოსვლამდე კი საქართველო გენუაში იტალიას შეხვდება. ნაკრებში არგამოძახებულმა **გოგიტა გოგუამ** გვითხრა, ჯანზე ვარ და ნაკრებიდან არავის მოვუკითხივარო, **კლაუს ტოპმიოლერი** კი ამბობს, გოგუას გამოძახება მინდოდა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მითხრეს, გოგუა ტრავმირებულიაო.

ხალხი ჭრელია და ზოგს სჯერა, რომ ტყუილს გრძელი ფეხი აქვს. ქართული ფეხბურთის უახლესი ისტორია კი გვაძლევს საფუძველს, დავიჯეროთ, რომ ამ ამბავს არანაირი სერიოზული გამოხმაურება არ მოჰყვება ქართულ საფეხბურთო წრეებში - მატყუარას პასუხს არავინ მოსთხოვს.

და, რა აღარ მოხდება დამდეგ კვირაში. იტალია-საქართველო, საქართველო-შოტლანდია, ბლატერი-პლატინის სტუმრობა რომლებიც ალბათ საქართველოში სპორტის იმ პოლიტიკურ ორგანიზატორებსაც შეხვდებიან, ობერშტურმანფიურერივით პირნათლად რომ ასრულებენ დავალებებს.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო და ალბათ მძაფრი კვირა გველის. იბერია უნდა გაბრწყინდეს.

მოლოდინი.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან კობიაშვილი

კობიაშვილი კიდევ ორ თვეს იმკურნალებს

საქართველოს ნაკრები და გელზერკინხენის "შალკე" კიდევ კარგა ხანი ვერ დაიხმარენ **ლევან კობიაშვილს**. ლევანის ტრავმის სიმძიმეზე ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა, მაგრამ გუშინ "შალკეს" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ხელახალი სამედიცინო გამოკვლევის შედეგი გამოაქვეყნა.

"ქართველი ლეგიონერი "შალკეს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის უახლოეს სამ მატჩს გამოტოვებს. მას მუცლის კუნთი გაუწყდა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, საბედნიეროდ, საოპერაციო მაგიდაზე დაწოლას გადაურჩა, მაგრამ კიდევ დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს. მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ კობიაშვილი "ჩელსისთან" პრინციპულ შეხვედრას გამოტოვებს. მისი მონაწილეობა 28 ნოემბერს "ვალენსიასთანაც" საეჭვოა."

სამწუხაროა, რომ ის წლეულს საქართველოს ნაკრებს დარჩენილ შეხვედრებში ვეღარ დაეხმარება.

რედ ბულში ორი ქართველი თამაშობს

გახსოვთ, მეკარე **გიორგი ცინაძე**? ის "მცხეთისა" და თელავის "კახეთის" კარს იცავდა. ამჟამად 23 წლის ფეხბურთელი ამერიკაში იმყოფება და მეიჯორ ლიგის კლუბების მენჯერებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბში, ნიუ იორკის "რედ ბულში" 16-17 წლის ორი ქართველი ბავშვი თამაშობს.

როგორც დავადგინეთ, ერთი მათგანი **შანშე ხოსროშვილია**. ნახევარმცველი "რედ ბულის" 18-წლამდელთა ჯუნდის წევრია. მანამდე ის ბრუკლინის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა.

[illegible] ვებ-გვერდზე [illegible] "რედ ბულის" 18 წლამდელთა [illegible] ისტორიული გამარჯვების [illegible] სულ [illegible] მელი იყო როდაილენდის "ბეისაიდ [illegible] იტედის" განადგურებაში (11:0) ლობლით და დიდებული თამაშით დიდი წვლილი შეიტანა.

16-წლამდელთა გუნდში შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ჩირგაძე** ჩაირიცხა, ასევე "ბრუკლინის" გაზრდილი. საიტზე გავარკვიეთ, რომ ისიც საკმაოდ შედეგიანი მოთამაშეა.

"რედ ბული" ამერიკაში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია, მას ამერიკის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ბრიუს არენა** ავარჯიშებს. გუნდში არიან ჰოლანდიელი მეკარე **რონალდ ვატერეუსი**, კოლუმბიელი თავდამსხმელი **ხუან პაბლო ანხელი**, არგენტინაში ნათამაშევი თავდამსხმელი **დიმა კოვალენკო** და ა.შ. ნლების წინათ კი იქ **რომარიო** თამაშობდა.

"რედ ბულს" ავსტრიელი ბიზნესმენი **დიტრიხ მატეშიცი** პატრონობს, რომელიც "ზალცბურგისა" და "ფორმულა 1"-ის ორი გუნდის მეპატრონეც გახლავთ.

ანუ, ეს არის სოლიდური კლუბი და ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს არ აწყენდათ ამ ბავშვებით დაინტერესება. ვინ იცის, იქნებ, ტალანტებთან გვაქვს საქმე.

რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრებში წლეულს ვინმე **ირაკლი ლოგუა** გამოჩნდა. ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი მოსკოვის "დინამოს" სარეზერვო შემადგენლობის თავდამსხმელია, 50-ე ნომრით თამაშობს და 1991 წელსაა დაბადებული.

ირაკლი რუსეთის იუნიორთა ნაკრების მთავარი შემტევი ძალა და გამორჩეული გოლეადორია. მაგალითად, ბოლო ორი მატჩი **ნიკოლაი პისარევის** გაზრდილებმა მოსკოვის "ტორპედოს" დუბლებთან და ოფიციალურად აზერბაიჯანელ თანატოლებთან ჩაატარეს და ირაკლიმ ორივეში თავი გამოიჩინა.

ირაკლი რუსეთის მოქალაქე და მოსკოვის "დინამოს" სკოლის აღზრდილია. "დინამოს" ლუბლებში თამაშობს კიდევ ერთი ქართველი, ასევე რუსეთის მოქალაქე **ვახტანგ მორგოშია**. ის 54-ე ნომრით ასპარეზობს, 18 წლისაა და ნახევარმცველია.

ასევე ორი ქართველია მოსკოვის "ტორპედოში". ერთი ძალიან უფრო ცნობილია - 19 წლის თავდამსხმელი **ირაკლი გეფერიძე** პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ აქეთიქეთ სიარულში პოტენციალი დღემდე ვერ გამოავლინა.

"ტორპედოს" მეორე ქართველი "ნორჩი დინამოელის" გაზრდილი მცველი **გედევან დარასელია** გახლავთ. ის მარცხენა მცველია და 20 წლისაა.

დარასელია საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობდა, მოსკოვის "ტორპედოსთან" კი კონტრაქტი წლეულს გააფორმა და სამი წელინადი ამ კლუბის საკუთრებაში იქნება.

მერაბ მამულაშვილი

ასათიანი პრემიერლიგის საუკეთესოებში მოხვდა

მალხაზ ასათიანი (16)

რუსულმა გაზეთმა "სოვეტსკი სპორტმა" პრემიერლიგის სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელები დაასახელა.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ნომინანტებში ქართველი მცველი **მალხაზ ასათიანი** მოხვდა. მან მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ **ბისტროვთან** ერთად, მე-2 - მე-3 ადგილები გაინაწილა.

ქართველმა ლეგიონერმა სექტემბერში ორი შეხვედრა ჩაატარა და მისი საშუალო შეფასება 6,50 ქულაა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.

პირველ ადგილზე ამდენივე ქულით "მოსკვას" ბელორუსი მეკარე **ჟევნოვი** გავიდა, მაგრამ პირველობა მეტი თამაშის წყალობით მიანიჭეს.

სამეულს საკმაოდ ჩამორჩებიან პრემიერლიგის სხვა ვარსკვლავები **არშავინი** (ზენიტი), **პავლიუჩენკო** (სპარტაკი), **პოგრებნიაკი** (ზენიტი), **სიჩოვი** (ლოკომოტივი).

თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წლეულს "სპორტ-ექსპრესის" მიერ ტრადიციულ გამოკითხვად ქცეულ ნომინაციაში ("პოსტსაბჭოეთის ვარსკვლავი") ქართველები დიდი ხანია საუკეთესოებში აღარ დაუსახელებიათ.

მერაბ მამულაშვილი

ვასილ გიგიაძე

გიგიაძე ბოლო ხუთი წლის ბომბარდირებშია

უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ხუთი წლის საუკეთესო ბომბარდირთა სია გამოაქვეყნა.

აღმოჩნდა, რომ ქართველი ლეგიონერი **ვასილ გიგიაძე** მეხუთე ადგილზეა შახტარელი **ბრანდაოს,** დონეცკის მეტალურგელი **ალექსანდრ კოსირინის,** კრივბასელი **ვასილიი საჩკოს,** კიევის დინამოელი **დიოგო რინკონს** შემდეგ.

გიგიაძემ ბოლო ხუთ ჩემპიონატში 29 ბურთი გაიტანა. რა თქმა უნდა, დაბალი მაჩვენებელია, თუმცა მან უკრაინაში ერთი სეზონი გამოტოვა - რუსეთში თამაშობდა. ამასთანავე, ბოლო ხუთ წელიწადში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელის მაჩვენებელი 18 გოლია. რეკორდი **გიორგი დემეტრაძეს** ეკუთვნის და ხუთი წლის წინათ დაამყარა. მას შემდეგ უკრაინელები მთელ მსოფლიოს აოცებენ - ბომბარდირთა მონაგარი 13-14 გოლის ფარგლებში მერყეობს. გამონაკლისი მხოლოდ წლევანდელი სეზონია, "შახტიორში" გადასული ალექსანდრ გლადკიმ უკვე 10 ბურთის გატანა მოასწრო.

წლეულს საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ დემეტრაძეს მხოლოდ ორი ბურთი აქვს გატანილი. გიგიაძეს კი მიმდინარე სეზონში თავი არ გამოუჩენია.

მერაბ მამულაშვილი

CDN ხავხასიის სიფრთხილი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დაფგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISDN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გაცვლა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კლაუდიო რანიერისთან

ესპანეთის ან ინგლისის ნაკრებში სიამოვნებით ვიმუშავებდი

მომავალ წელს იუვენტუსი ვარსკვლავებს იყიდისო...

"იუვენტუსის" მწვრთნელ კლაუდიო რანიერის "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი შეხვდა. ამჟამინდელი სამუშაოს გარდა, ენაწყლიანმა რესპონდენტმა "ჩელსიზე", აბრამოვიჩზე, თავის ძველ "ფიორენტინაზე", კარიერის ესპანეთში ან ინგლისში დასრულების სურვილსა და კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა...

- "იუვენტუსი" სკუდეტოს ფავორიტად რჩება?

- ივლისში, როცა ჩვენ დავიწყეთ მზადება ახალი სერია A-სთვის, ბევრი ვარაუდობდა, რომ "იუვენტუსი" სეზონის იმედგაცრუება იქნებოდა. ახლა, უკვე ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ დიახ, სკუდეტოს მოგება აბსოლუტურად რეალური ამოცანაა. მოდით, ნუ მკითხავთ, რამდენი გვაქვს შანსი, ათიდან ერთი თუ ასიდან ერთი, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ, და ჩვენი მიზანიც ეს უნდა იყოს. თუმცა ისიცაა, რომ ამ გმირობისთვის გარკვეული დახმარება დაგვჭირდება.

- რა ტიპის დახმარებას გულისხმობთ?

- ცუდი არ იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ინტერი" და "რომა" ითამაშებენ. ასეთ შემთხვევაში, ისინი სერია A-ში დანაკარგებს ვერ ასცდებიან. მაგრამ ვფიქრობ, ტოტი და კომპანია ევრომწვრვალზე ასასვლელად ჯერ მზად არ არის. მათ გამოცდილება აკლიათ, წელიწადი უნდათ კიდევ, რათა ჩემპიონთა ლიგაში სერიოზულ წარმატებაზე იფიქრონ.

- "ინტერს" შეუძლია?

- შეუძლია. და მეტიც: ჩემი აზრით, ის ერთ-ერთი ფავორიტია "ბარსელონასა" და "მილანთან" ერთად. გაგიკვირდათ "მილანი" რომ ვახსენე? დიახ, "მილანი", მიუხედავად იმისა, რომ ცუდი სტარტი ჰქონდა. ევროპა მისთვის მშობლიური სახლივითაა. როცა ესა თუ ის თამაში ომის ხასიათს იღებს, "მილანი" ამისთვის მუდამ მზად არის ხოლმე. მეოთხე ნახევარფინალისტი კი აუცილებლად ერთ-ერთი ინგლისური გუნდი იქნება... უფრო "მანჩესტერ იუნაიტედი".

- "ჩელსიდან" ჟოზე მოურინიოს წასვლა თქვენთვის სიურპრიზი იყო?

- რა თქმა უნდა. ეს არ არის რომან აბრამოვიჩის სტილი. მაგრამ "ჩელსის" სამყარო, ეს არის პერმანენტული ქაოსი, ასე ვთქვათ, ქაოტური მოძრაობა. მახსოვს, ერთხელ რომანმა მითხრა - გუნდი მუდმივად უნდა იცვლებოდესო. სამწუხაროდ, "ჩელსი", სადაც კარგი ხელფასი მუდამ გარანტირებული გაქვს, ძალიან შორს არის ამგვარი სტრატეგიისგან. აბრამოვიჩს სურს, მოიგოს ჩემპიონთა ლიგა ნებისმიერ ფასად. ალბათ, ახლაც ზის და ფიქრობს, რომ ეს თუნდაც ამ სეზონშია შესაძლებელი.

- ეტო'ოს ტრავმამ "ბარსელონას" ოთხი ფორვარდით თამაშში ხელი შეუშალა...

- სხვათა შორის, რიიკაარდს ამაზე ველაპარაკე. გულახდილად ვუთხარი, არ მჯერა ამ ტაქტიკური სქემის-მეთქი. ამან ეფექტი მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში შეიძლება მოიტანოს და არა ყოველ მატჩში.

- ესპანელები "ოქროს ბურთს" მესის აძლევენ...

- არგენტინელი ბრწყინვალე მოთამაშეა, მაგრამ ამ სეზონში "ოქროს ბურთს" კაკა მოიგებს, მომავალ წელს იბრაჰიმოვიჩი... საერთოდ, ზლატანის თამაში ყოველთვის სპექტაკლია. ადრე, ამ ტიპის ფორვარდები, უბრალოდ, არ არსებობდნენ. მას აქვს ყველაფერი, რაც თანამედროვე თავდამსხმელს სჭირდება - რონალდინიოს ტექნიკა, პაოლო როსის საგოლე ალღო და ძველი დროის ბომბარდირთა ძალა. ვიტყოდი, რომ იბრაჰიმოვიჩი ვირტუოზული მონსტრია.

- შეუძლია, ამ წელს სერია A-ს ბომბარდირი გახდეს?

- არა, ამ ჯილდოს ტრეზეგე მოიგებს. მასზე, ჯერჯერობით, ცოტას საუბრობენ, ალბათ იმიტომ, რომ თამაშის დროს ხშირად შეუმჩნეველია, მაგრამ უცებ ისე აფეთქდება... ციფრებს გადახედეთ, ფენომენალური მაჩვენებლები აქვს.

- აძლევს თუ არა "იუვენტუსს" სერიოზულ უპირატესობას ის ფაქტი, რომ წლეულს ევროტურნირებში არ თამაშობს?

- ბუნებრივია. თუ ლიდერთა ჯგუფში გაზაფხულამდე დავრჩით, იმ მომენტისთვის ძალა ჩვენ უფრო მეტი გვექნება, ვიდრე კონკურენტებს.

- "იუვეს" ბოლო სატრანსფერო კამპანიით ყველა არ არის კმაყოფილი...

- მესმის მათი. მაგრამ მოდით, ნუ დავიწყებთ, საიდან მოგვიხდა საქმის დაწყება. დღევანდელ "იუვეს" აღარ ჰყავს იბრაჰიმოვიჩი, კანავარო, ვიეირა, ძამბროტა, ტურამი... მათთან ერთად ბევრი პრობლემა მოგვეხსნებოდა. ის "იუვენტუსი" ნამდვილი სუპერსახელმწიფო იყო. ჩვენ კი სერია B-დან მოვედით და ამიტომაც მოგვიწია ექვსი-შვიდი ახალწვეულით დაკმაყოფილება. ფინანსური პრობლემები კლუბის ხელმძღვანელობამ ჭკუით მოაგვარა. გრიგერა და სალიჰამიჯიჩი უფასოდ ავიყვანეთ. განა, ეს ცუდია? სხვები ჯერჯერობით, ტაქტიკას ერგებიან, ალმირონი და ტიაგო თამაშიდან თამაშამდე უმატებენ... დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: როცა ადაპტაციის პროცესი დასრულდება, ეს ბიჭები "იუვენტუსის" ისტორიაში შევლენ. თან იმის იმედიც მაქვს, რომ მომავალი წლიდან ვარსკვლავებს კიდევ მოვინვევთ.



კლაუდიო რანიერი

- ანუ...

- ვთქვათ, აღარ ვიყიდით ექვს ნორმალურ ფეხბურთელს. ავდგებით და ამის სანაცვლოდ ორ სუპერვარსკვლავს გადმოვიბირებთ.

- იანვარში თუ იქნება სატრანსფერო სიახლე?

- ნუ ვიჩქარებთ. ორი თვე გვაქვს იმისთვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ.

- "ინტერთან", "რომასთან" და "მილანთან" შედარებით, რა არ ჰყოფნის დღევანდელ "იუვენტუსს"?

- ეს გუნდები ერთგვარად გრძელვადიანი პროექტებია. გნებავთ, ასეთ შედარებას მოვიყვან: მათ აქვთ კარგად მოწყობილი, ლამაზი აპარტამენტები და ახლა ისღა დარჩათ, აივნებზე გამწვანება გააკეთონ. "იუვენტუსის" აპარტამენტი კი ჯერაც მოუწყობელია, თუმცა პროექტში ის ძალიან ლამაზია.

- დელ პიერო დარჩება?

- კითხვითვე გიპასუხებთ: წარმოგიდგენიათ, ტოტი "რომადან" რომ წავიდეს? ვიცი, რომ მიპასუხებთ: "არა". დელ პიეროსთან დაკავშირებითაც ანალოგიური სიტუაციაა. ნუ გავაზვიადებთ ამ საკონტრაქტო გაუგებრობას, ჩვეულებრივი მოვლენაა და უნდა მივეჩვიოთ ამას. ვამჯობინებ, ვიფიქრო დელ პიეროზე, როგორც მოთამაშეზე. ის ერთ-ერთი იმათგანია, ვინც არავის და არასოდეს ნებდება. ალექსი ყველასთვის მაგალითია.

- ბუფონი?

- ჯიჯის იმ შვილს შევადარებდი, რომლის გაზრდაზეც ყველა მშობელი ოცნებობს. ვიშვილებდი კიდეც მას და ტურინული რესტორნების გიდად ავირჩევდი. ყველა მათგანი იცის, ყველგან ნამყოფია... ბუფონზე, როგორც ფეხბურთელზე, შეგნებულად არაფერს ვიტყვი, ან რა უნდა ვთქვა ისეთი, რაც ყველამ არ იცის? მას მთელი მსოფლიო იცნობს.

- ამასწინათ, არიგო საკიმ გაგაკრიტიკათ: "იუვენტუსი" კარგად ვერ თამაშობსო...

- ვეთანხმები, თუ ეს შეფასება მხოლოდ ტურინულ დერბის ეხება. საერთო ჯამში, დღევანდელი "იუვე" მხიარულ ფეხბურთს თამაშობს და ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. თანაც, ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე წუთი ითამაშა კამორანეზიმ, ფეხბურთელმა, რომელსაც გუნდისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მე პირადად, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ.

- მოდით, მსაჯობაზე ვისაუბროთ...

- ერთი რამ უნდა ვაღიარო: მეშინოდა, რომ "კალჩოპოლის" გამო "იუვენტუსს" კიდევ დიდხანს მოუწევდა საფასურის გაღება. მეშინოდა, რომ მსაჯები ჩვენთან მიმართებაში უაღრესად პრინციპულები იქნებოდნენ, რათა კიდევ არ დაებრალებინათ მათთვის, რომ "იუვენტუსისადმი" კეთილგანწყობილნი არიან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ არბიტრები ჩვენც ისევე გვექცევიან, როგორც დანარჩენებს. ძალიანაც კარგი.

- კვირას, ფლორენციაში 1:1 ითამაშეთ...

- ...ფლორენციაში, სადაც თავის დროზე იტალიის თასი და სუპერთასი მოვიგე, ანუ იქ, სადაც ჩემმა სამწვრთნელო კარიერამ დიდი გაქანება ჰპოვა.

- "ფიორენტინის" მაშინდელ მფლობელთან ვიტორიო ჩეკი გორისთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

- ვიტორიოს ყოველთვის პატივს ვცემდი. მახსოვს, "ბარსელონასთან" გასვლითი მატჩის წინ ტელეფონით ვისაუბრეთ და მაგრადაც ვიჩხუბეთ. თამაშის დღეს კი ის ტრიბუნიდან ქვემოთ, მოედანზე ჩამოდის და მეუბნება: კლაუდიო, რა მაგრები ვართ მე და შენო. სხვათა შორის, ასეთი ფრაზა ერთ-ერთ ფილმშია. მე კი ვუპასუხე: ვიტორიო, ჩვენ ძალიან უცნაური წყვილი ვართ-მეთქი. და ორივემ გადავიხარხარეთ...

- "ფიორენტინა" ვახსენეთ და, როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევს თქვენი სეხნია პრანდელის გუნდი ამ სეზონში?

- შეუძლია, ოთხეულში მოხვდეს. თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ ამ გუნდის ადგილი მხოლოდ ოთხეულშია.

- გამოდის, რომ "იუვენტუსი" და "ფიორენტინა" დღეს ერთი დონის გუნდები არიან?

- აბსოლუტურად სწორი შეფასებაა. მეტიც, თავიანთ ახალ პროექტში ისინი ჩვენზე შორსაც წავიდნენ. ტიტულის მოსაგებად, ჩვენ და "ფიორენტინამ" შესაძლებელზე მეტი უნდა გავაკეთოთ. ისე, რატომ არ უნდა გვეცადა ეს ამ სეზონშივე?

- როგორც მწვრთნელს, კიდევ რისი მიღწევა გსურთ?

- მინდა, რომ მას მერე, რაც "იუვენტუსთან" ერთად ყველა შესაძლო ტიტულს მოვიგებ, კარიერა რომელიმე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში დავასრულო.

- და რომელი ნაკრების?

- ესპანეთსა და ინგლისში ვიმუშავე. ამ ქვეყნების ჩემპიონატებში დიდი კლუბები და ფეხბურთელები თამაშობენ. ხშირად მეკითხებიან: რატომ არის, რომ ამ ქვეყნების ეროვნული გუნდები ვერაფერს იგებენო? აი, სად არის ჩემი გამოწვევა და სტიმული. ესპანეთში ან ინგლისში ჩემი სამწვრთნელო კარიერის ლამაზი ფინალი იქნებოდა...



კაკა

ჩელსი. ტრანსფერები

კაკა ლონდონელთა სამიზნეში

ლემპარდი და დროგბა, შეიძლება, ტრანსფერზე დააყენონ, არისტოკრატებმა ვან დერ ვაარტი მოიკითხეს, თენ კეიტს კი რეკორდულ ხელფასს გადაუხდიან...

"ჩელსის" ბოსმა ავრაამ გრანტმა რომან აბრამოვიჩს კაკას შეძენა სთხოვა. სპეკულაციების თანახმად, ლონდონელები **ფრენკ ლემპარდსა** და **დიდიე დროგბას** გაყიდიან, სანაცვლოდ კი ბრაზილიელ სუპერვარსკვლავს გაუფორმებენ კონტრაქტს. ლემპარდი და დროგბა ყოფილი დამრიგებლის, **ჟოზე მოურინიოს** ერთგული ფეხბურთელები არიან. ისინი პირობითად პორტუგალიელის მოკავშირეებად შეგვიძლია ჩავთვალოთ. "დეილი ექსპრესის" ცნობით, ფრენკი და დიდიე ახალ მწვრთნელს, მაინც და მაინც, არ ენდობიან. ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალია მათი ტრანსფერზე დაყენება.

შარშან ზაფხულს "ჩელსიმ" ორჯერ უშედეგოდ სცადა კაკას შეძენა. თუ მას "მილანთან" გარიგება სურს, სარეკორდო კომპენსაციის გადახდა არ ასცდება. "არისტოკრატები" მიიჩნევენ, რომ ბრაზილიელის შეძენა ნებისმიერ ფასად გამართლებული იქნებოდა, თვით 100 მილიონ გირვანქადაც კი, რაც საფეხბურთო სამყაროში უპრეცედენტო მოცულობის თანხაა. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, კაკას ყველა მდიდარი კლუბი სიამოვნებით შეიძენდა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ "ჩელსის" შეუძლია ამდენი ფულის გადახდა. "მილანი" ფეხბურთელთან გამოთხოვებას არ აპირებს, მაგრამ როცა საქმე 100 მილიონს ეხება, ნებისმიერი გარიგება შესაძლებელია.

ლემპარდის მოსალოდნელ აბარგებას ეძღვნება "მირორში" გამოქვეყნებული სტატია. ჟურნალისტი წერს, რომ მოურინიოს წასვლის შემდეგ ფეხბურთელმა ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები შეწყვიტა. ხელშეკრულების გაგრძელების სანაცვლოდ მას კვირაში 140 ათას გირვანქას სთავაზობდნენ. ფრენკმა კი მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. როგორც ჩანს, მისი აგენტი ალტერნატიულ ვარიანტებს განიხილავს. გასულ ზაფხულს ლემპარდს "ბარსელონაში" ეპატიჟებოდნენ. ესპანური საააგენტოების ცნობით, ნახევარმცველით "რეალიც" დაინტერესდა. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ლონდონიდან ესპანეთში ამოჰყოს თავი.

გავაგრძელოთ "ჩელსიზე" ამბების მიმოხილვა. დღეს "აიაქსის" ყოფილი თავკაცი **ჰენკ თენ კეიტი** "არისტოკრატებთან" გააფორმებს კონტრაქტს. მისი ხელფასი მეორე მწვრთნელისთვის სარეკორდოდ მაღალი იქნება. ჰოლანდიელ სპეციალისტს წლიურად 2.1 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. მისი ანაზღაურება სამჯერ აღემატება კიდევ ერთი ასისტენტის **სტივ კლარკის** ხელფასს. ამ უკანასკნელმა ლონდონში დარჩენა გადაწყვიტა და ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. მისტერ კლარკი წლიურად 750 ათას გირვანქას დათანხმდა. თენ კეიტმა "ჩელსის" ხელმძღვანელობას უკვე ურჩია ერთი ფეხბურთელის შეძენა. მისი ფავორიტი **რაფაელ ვან დერ ვაარტია**. ჰოლანდიელი ნახევარმცველი "ჰამბურგში" თამაშობს. გასულ ზაფხულს მას "ინტერი", "იუვენტუსი" და "ვალენსია" ეპატიჟებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გუუს ჰიდინკთან

მხოლოდ გამარჯვება, რათა სხვის იმედად არ ვიყოთ

ჰიდინკი კმაყოფილია, რომ რუსეთთან კიდევ ორი წელიწადი ითანამშრომლებს...

ოთხშაბათს რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა "ლუჟნიკის" პრესცენტრში პრესკონფერენცია გამართა. მან დაადასტურა, რომ ქვეყნის საფეხბურთო კავშირს ახალ კონტრაქტზე შეუთანხმდა: "ბოლო დღეებში რამდენიმე ჟურნალისტს ინტერვიუზე უარი ვუთხარი. ეს ჩემთვის უჩვეულო საქციელია. თითოეულ მათგანს ერთი საკითხი აინტერესებდა: დავრჩებოდი თუ არა რუსეთის ეროვნულ გუნდში 2008 წლის ზაფხულის შემდეგ. დღეს შემიძლია დავადასტურო, რომ თანამშრომლობას გავაგრძელებ. ძალიან კმაყოფილი ვარ. რუსეთის საფეხბურთო კავშირთან მუშაობა საინტერესო და ნაყოფიერია." ჰიდინკი და მისი გუნდი ინგლისთან უპრინციპულესი თამაშისთვის ემზადებიან. შეხვედრა მოსკოვში მომავალ ოთხშაბათს გაიმართება. რუსმა მიმომხილველებმა მას უკვე უწოდეს ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო მოვლენა ქვეყნის ბოლო ათი წლის ისტორიაში. ჰიდინკის ინტერვიუ ახალ კონტრაქტზე დასმული კითხვით იწყება და სხვა საინტერესო თემებსაც მოიცავს.



გუუს ჰიდინკი რუსეთში მუშაობით კმაყოფილია

- მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას გილოცავთ...

- გმადლობთ. მიხარია, რომ მოსკოვში 2010 წლამდე ვიმუშავებ.

- რუსული ფეხბურთის განვითარების პერსპექტივისა თუ გჯერათ?

- რა თქმა უნდა. ჩემი მოღვაწეობა აქეთაა მიმართული. ძალიან მომწონს თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების კონცეფცია, რომელიც ფედერაციამ შეიმუშავა. თქვენი ხელმძღვანელები მხოლოდ დღევანდელ დღეზე არ ფიქრობენ. ისინი მომავლისკენაც იყურებიან. ფეხბურთში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია განვითარება, ვიდრე ის, ერთ კონკრეტულ მატჩში გავა თუ არა გოლი.

- ინგლისთან შეხვედრისთვის როგორ ემზადებით?

- მზადების პირველი ეტაპი შაბათ დილას დასრულდება. ფეხბურთელები კვირა საღამომდე დაისვენებენ. შემდეგ კი დავიწყებთ გადამწყვეტ ეტაპს.

- ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა?

- დიახ, ტორბინსკის გამოკლებით. მას ფეხის თითი აწუხებს. დმიტრიმ ხვალ უნდა ივარჯიშოს. იმედია, ოთხშაბათისათვის მზად იქნება.

- დაგაკმაყოფილებთ თუ არა ფრე ინგლისთან შეხვედრაში?

- არა. აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ორი ქულის დაკარგვის შემთხვევაში, ჩვენს ბედს სხვა გუნდები გადაწყვეტენ. მე კი ძალიან არ მინდა, რომ ასე მოხდეს. ოპტიმისტი ვარ. ამავე დროს რეალობის შეგრძნებასაც არ ვკარგავ. ინგლისს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს. ჩემს ფეხბურთელებს სასურველი შედეგის მისაღწევად, არა მარტო თამაში, არამედ ბრძოლაც მოუწევთ. დარწმუნებული ვარ, რომ იბრძოლებენ.

- რა იყო რუსეთის ნაკრების მიერ ლონდონში დაშვებული ყველაზე სერიოზული შეცდომა, რომლის გამეორება აღარ შეიძლება.

- დაუშვებელია ყურადღების მოდუნება. ხელსაყრელი მომენტებიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. "უემბლის" მატჩმა ყველას გაგვიცრუა იმედი. 0:1-ზე გავიტანეთ გოლი, რომელიც არ ჩაგვითვალეს. მეტოქის უკლებლივ ყველა იერიშს ღირსეულად ვპასუხობდით. მეორე ტაიმის დასაწყისში უპირატესობაც კი მოვიპოვეთ, მაგრამ ჩვენი შეტევები არაეფექტური არ იყო.

- ინგლისში ამბობენ, "ლუჟნიკის" ხელოვნური საფარი რუსეთის ნაკრებს უპირატესობას მიანიჭებსო...

- ასე არ ვფიქრობ. გულწრფელად გეტყვით, ბუნებრივი საფარის მომხრე ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ლუჟნიკის ხელოვნური მინდორი ძალიან ხარისხიანია და ბუნებრივი ბალახისგან დიდად არ განსხვავდება. ინგლისელებს საკმარისი დრო ექნებათ სინთეტიკურ მინდორთან შესაგუებლად. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ არანაირ განსაკუთრებულ უპირატესობას არ ვფლობთ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ნაკრები გულშემატკივრებისთვის თამაშობს, ხოლო "ლუჟნიკი" ქვეყნის ყველაზე დიდი სტადიონია.

- ალბათ, იცით, რომ თამაშზე დასწრების სურვილი ხუთასმა ათასმა ადამიანმა გამოთქვა...

- დიახ, ეს შესანიშნავია. სტადიონი აუცილებლად გაივსება. სამწუხაროც კია, რომ ის ყველა მსურველს ვერ დაატევს. წარმოიდგინეთ, ასეთი მნიშვნელოვანი თამაში და ცარიელი ან ნახევრად ცარიელი ტრიბუნები. ეს ნამდვილი შოკი იქნებოდა.

- არ გეშინიათ, რომ გადავსებული ტრიბუნები ფეხბურთელებზე დამთრგუნველად იმოქმედებს?

- თქვენ, ალბათ, ფსიქოლოგიურ ზეწოლას გულისხმობთ. მე კი მიმაჩნია, რომ დროა, მათ ყოველგვარ წნეხს გაუძლონ. თუ ფეხბურთელები არ ინერვიულებენ, 80 ათასი მაყურებელი მათთვის მხოლოდ პლუსი იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ თამაშისას მთავარი გმირები ფეხბურთელები იქნებიან და არა მე.

- ასეთი აჟიოტაჟს თუ შესწრებიხართ სხვა კლუბებში ან ნაკრებებში მუშაობისას?

- საბედნიეროდ, შევსწრებივარ. ხშირად არა, მაგრამ ასეთი რამ ადრეც მინახავს, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე, მსოფლიოს ჩემპიტნატსა და ჩემპიონთა ლიგაში.

- მეგობრებმა თუ გთხოვეს ბილეთების შოვნა?

- მათ ზარებს ველარ ავუდიგარ. განუწყვეტლივ მირეკავენ და მეუბნებიან, რომ სტადიონზე მოხვედრა უნდათ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანისთვის უარის თქმა მიწევს. ჩემი კვოტა დიდი არ არის. ამიტომ ბილეთები მხოლოდ ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებს დავურიგე.

- იცით თუ არა, რომ 90 წლის წინათ, რუსეთში რევოლუცია მოხდა, ინგლისი კი იმ რევოლუციის წინააღმდეგი იყო. სამაგიერო ხომ არ გადაგვეხადა?

- საბჭოთა რევოლუცია, არა? რა თქმა უნდა, ვიცი. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის ისტორიის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. შეუძლებელია რუსულ ხასიათში ჩანდომა, თუ მის ისტორიას კარგად არ იცნობ. რაც შეეხება სამაგიეროს, მიმაჩნია, რომ დღეს სრულიად სხვა რეალობაა და მოტივაციისთვის დამატებითი მიზეზების ძებნა საჭირო არ არის. მინდა, 17 ოქტომბერს ზეიმის საბაბი გვქონდეს. ფეხბურთელებისგან კარგ თამაშს ველოდები.

- წარმოიდგინოთ, რომ 2010 წლამდე "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი შემოგთავაზეს. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტს განაგრძეტ და ლონდონში გაემგზავრებით?

- მინდა მოგახსენოთ, ვიტალი მუტკომ (რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი) და მე მოლაპარაკებები მოურინიოს დათხოვნამდე დიდი ხნით ადრე დავიწყეთ. ამას გარდა, "ჩელსის" ხელმძღვანელობასთან რუსეთში ჩამოსვლამდეც ინტენსიური ურთიერთობა მქონდა. მაგრამ არცერთხელ, ვიმეორებ, არცერთხელ არ განგვიხილავს "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად ჩემი დანიშვნის საკითხი.

- რას გვეტყვით პავლიუჩენკოსა და კერჟაკოვზე? მათ ვარჯიშზე დააგვიანეს. ამას წინათ, იგნაშევიჩსაც ანალოგიური რამ შეემთხვა.

- შევნიშნავ, რომ დაგვიანება სისტემატიურ ხასიათს არ ატარებს. ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო. ასეთი რამ ყველას ემართება. ამის მიუხედავად, ორივე ჩემს კაბინეტში დავიბარე და მკაცრად ვესაუბრე. მოსკოვში ძალიან ადვილია, საცობებით იმართლო თავი. თუ ატყობ, რომ გზას დიდი დრო მიაქვს, კეთილი ინებე და ერთი საათით ადრე წამოდი. მაგრამ პავლიუჩენკოსა და კერჟაკოვის შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი საცობი არ იყო. მათ ჩაეძინათ. ახლა მთავარია, 17-ში საღამოს მინდორზეც არ ჩაეძინოთ და საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმუმი გამოიყენონ.

- თქვენს სხვა გუნდებში თუ აგვიანებდნენ ხოლმე?

- დიახ, ხანდახან. როგორც მოგახსენეთ, მთავარია, ამ ყველაფერმა სისტემატიური ხასიათი არ მიიღოს.

რუსეთი vs ინგლისი

მაკლარენი ტერის გარეშე?

ინგლისის ნაკრებს დაცვაში პრობლემები აქვს. ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე ჯონ ტერიმ მუხლი იტკინა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, რათა სამედიცინო გამოკვლევით ტრავმის სიმძიმე დაადგინონ. ტერის მოსკოვში გამგზავრება საეჭვოა. მოსკოვამდე ინგლისელები ესტონეთს უმასპინძლებენ. "ჩელსის" კაპიტანს იმ შეხვედრის გამოტოვებაც ემუქრება. ორი დღით ადრე სტივ მაკლარენს "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ვესლი ბრაუნი გამოაკლდა. ინგლისელთა საკადრო პრობლემები ამით არ ამოწურულა. კვირის დასაწყისში ალბიონელებს ორი თავდამსხმელი - დინ ეშტონი და ენდი ჯონსონი დაუშავდათ. ტრავმების მიუხედავად, ინგლისელთა დამრიგებელი ქულათა მაქსიმუმისათვის აპირებს ბრძოლას.

მილანი: ორი მეკარე და დიდას ორი მატჩი

"მილანი" ახალგაზრდა მეკარეს ეძებს. სკაუტებმა ორი კანდიდატურა შეარჩიეს. "როსონერიმ" ბრეშელ **ემილიანო ვივიანოსა** და ვილიარეალელ **დიეგო ლოპესს** დაადგა თვალი. ვივიანო იტალიის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერია. გასულ ზაფხულს მილანელებმა "ბრეშას" 7.5 მილიონი ევრო შესთავაზეს. "ბრეშამ" გარიგებაზე უარი თქვა. ემილიანოს კონტრაქტი 2012 წელს იწურება. მოლაპარაკებები იანვარში უნდა განახლდეს. რაც შეეხება ლოპესს, მან "ყვითელ სუბმარინებს" გასულ ზაფხულს "რეალიდან" მიაშურა, მაგრამ **სებასტიან ვიერასთან** ვერაფერს ხდება და მთელ დროს თადარიგში ატარებს. მეკარეების თემას **დიდათი** დავასრულებთ. გუშინ "მილანის" მთავარ კიპერს უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება "სელტიკთან" მატჩის ბოლოს მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც დიდამ მძიმე ტრავმის იმიტაცია გაითამაშა.

ბარსელონა

ბეგირისტაინი რეალს ფაბრეგასს მოპარავს?

გენერალური დირექტორი არსენალთან მოლაპარაკებებს დაიწყებს

მიმდინარე სეზონის დაწყების წინ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ **სესკ ფაბრეგასის** გადაბირება სცადა. სატრანსფერო მოლაპარაკებებს, როგორც წესი, **პრედრაგ მიატოვიჩი** ხელმძღვანელობს ხოლმე, მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევა გახლდათ და ფაბრეგასის შესაძენად "არსენალთან" მოლაპარაკება თვით პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** დაიწყო. რა არ სცადა მან, ჯერ სესკს ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზა, შემდეგ "მეთოფეებს" კოლოსალური თანხის გადახდის პირობა მისცა, მაგრამ ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდა. ასეთი სერიოზული დაინტერესების შემდეგ, ყველა დარწმუნდა, ფაბრეგასი "რეალის" ფავორიტად დარჩება და მის გადაბირებას სხვა ვერავინ შეძლებს. როგორც ირკვევა, ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. გუშინ "დიარიო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შევიტყვეთ, რომ "ბარსელონამ" მომავალი სეზონისთვის უპირველეს სამიზნედ სწორედ "არსენალის" ახალგაზრდა ნახევარმცველი გაიხადა. **ჩიკი ბეგირისტაინმა** ამის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა. გენერალურმა დირექტორმა დასძინა, ფაბრეგასისთვის ბრძოლას დღეიდან ვიწყებთო. მისმა სიტყვებმა ძველი თემა ამოატივტივა. ჯერ კიდევ აგვისტოში ამბობდნენ, **ფრანკ რიიკაარდს** ახალი სეზონის დასრულების შემდეგ გაათავისუფლებენ და მის ნაცვლად **არსენ ვენგერს** დანიშნავენო. "რეალის" უარით გასტუმრებაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნა. თითქოს ფრანგმა სპეციალისტმა სესკი კატალონიურ გრანდში მასთან ერთად წასასვლელად შეინახა. მართლაც, ესპანელი სამეფო კლუბში რომ გადაბარგებულიყო, "ბარსელონაში" მოხვედრის თეორიულ შანსსაც დაკარგავდა. დედაქალაქური გრანდის მესვეურებს თავიანთი მოსისხლე მტრის ბანაკის გამოხდომის შესახებ კომენტარი, ჯერჯერობით, არ გაუკეთებიათ.

გერმანიის ნაკრები

ლიოვმა ლემანს თითი დაუჭნია

გუნდესმწვრთნელი: უთამაშებელი მეკარე ევროპის ჩემპიონატზე არ გვჭირდება...

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში ირლანდიასთან და ჩეხეთთან გერმანიის ნაკრების კარს **იენს ლემანი** დაიცავს. მართალია, 37 წლის გოლკიპერი ლონდონის "არსენალში" სკამს ხეხავს, მაგრამ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვისთვის** ის ჯერაც საუკეთესო გერმანელი მეკარეა. ლიოვი იმედოვნებს, რომ ლემანი "მეთოფეების" სასტარტო შემადგენლობაში ადგილს მალე დაიბრუნებს, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ ბუნდესნაკრებს მეკარის პრობლემა ექნება. თავად განსაჯეთ: ლემანს "არსენალში" 19 აგვისტოს შემდეგ აღარ უთამაშია.

გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელი **ანდრეას კიოპკე** ამბობს, **არსენ ვენგერი** ლემანს ალბათ, სპეციალურად ბუნდესგუნდისთვის ასვენებსო. კიოპკე, რა თქმა უნდა, ხუმრობს, მაგრამ თუ ლემანის რეზერვისტობა დიდხანს გაგრძელდა, პრობლემა სახეზე იქნება. *"იენსი დარწმუნებულია, რომ არსენ ვენგერი მალე ისევ ათამაშებს. ლემანი თავდაჯერებულია და ჯერჯერობით, მასში ეჭვი არც მე მეპარება. მაგრამ თუ "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიბრუნებს, მაშინ სხვა მეკარეების გამოცდაც მოგვინევს, რადგან ევროპის ჩემპიონატზე ვერ ვათამაშებთ იმ მეკარეს, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა არ ექნება,"* - ეს უკვე ლიოვის სიტყვებია, რომელიც იქვე აგრძელებს, - *"იენსს დროს დეკემბრამდე ვაძლევ."*

რა მოხდება, თუკი ვენგერი ლემანს არც მომავალში ათამაშებს? ასეთ შემთხვევაში ვეტერანმა გოლკიპერმა გუნდი უნდა შეიცვალოს. როგორც ირკვევა, მისი გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვა "მანჩესტერ სიტიმ". თუ ესეც არ მოხდა, მაშინ ბუნდესგუნდში იენსის პირველი ალტერნატივა **ტიმო ჰილდებრანდი** იქნება, რომელიც ბოლო დროს "ვალენსიაში" რეგულარულად თამაშობს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ "ღამურებს" **სანტიაგო კანისარესი** დაშავებული ჰყავთ.

ვიხილავთ ბუნდესგუნდში მეკარეების კიდევ ერთ დაპირისპირებას, ზუსტად ისეთს, როგორსაც 2006 წლის მუნდიალის წინ ჰქონდა ადგილი (**კანი** VS ლემანი)? ჰილდებრანდი ამბობს, ლემანთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და მის წინააღმდეგ არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, მაქსიმალურად ვეცდები, რომ კარგ ფორმაში ვიყოო. ერთი რამ ფაქტია: ლემანი ზეწოლის ქვეშაა მოქცეული.



იენს ლემანი

რაფა ბენიტესს საიანვროდ დიდი გეგმები აქვს

ლივერპული. ტრანსფერები

რაფას ოთხი ფავორიტი

მერსისაიდელთა თავკაცს 20 მილიონი და დიდი გეგმები აქვს. მასკერანომ კონტრაქტის გაგრძელება მოიწადინა, კრაუჩს კი ვალენსიაც გამოუჩნდა...

რაფა ბენიტესი იანვრის დადგომას ელოდება. "ლივერპულის" ბოსს შემადგენლობის გასაძლიერებლად 20 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. "მირორმა" იმ ფეხბურთელების ვინაობა შეიტყო, რომლებიც ესპანელი დამრიგებლის სიაში არიან. ბენიტესი ოთხ მოთამაშეს უმიზნებს. მისი პრიორიტეტი კვალიფიციური მცველის ტრანსფერია. ლივერპულელებს დანიელ აგერი დაუშავდათ. სტივ ფინენი და ჯონ არნე რიისე უსახურად ასპარეზობენ. მერსისაიდელების უკანა ხაზი საგრძნობლად მოისუსტებს. გასაკვირი არ არის, რომ მწვრთნელს ამ რგოლის გაძლიერება უნდა.

ბენიტესმა "პარი სენ ჟერმენის" ცენტრალურ მცველ **ბერნარ მენდის** დაადგა თვალი. მისი კონტრაქტი ივნისში იწურება. ფეხბურთელი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს აცხადებს. პარიზელებს მენდის გაყიდვის მეტი არაფერი დარჩენიათ. ბერნარს"ინტერი", "იუვენტუსი", "ტოტენჰემი" და "მანჩესტერ სიტიც" აკვირდებიან. ფეხბურთელის ფასი უცნობია. დაინტერესებული კლუბების ფინანსურ შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, პსჟ სოლიდურ კომპენსაციას გამორჩება. ინგლისელი მიმომხილველების ვარაუდით, 26 წლის ფეხბურთელი 3-5 მილიონი გირვანქა ეღირება.

ბენიტესს რომაელი **ამანტინო მანსინიც** სურს. "ლივერპულმა" ბრაზილიელი გარემარბი აგვისტოშიც მოიკითხა. ზაფხულის ტრანსფერებისას ინგლისელებმა ცივი უარი მიიღეს. სეზონი დაიწყო და მანსინისა და "ჯალოროსის" თავკაც **ლუჩანო სპალეტის** შორის ურთიერთობა დაიძაბა. ფეხბურთელმა აგენტ ჟილმარ ველოსს ახალი სამსახურის მოძებნა დაავალა. ამანტინოს "ლიონი" შეეხმიანა. საფრანგეთის ჩემპიონებმა ლეგიონერს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. "ლივერპულის" ფინანსური რესურსები "ლიონისას" საგრძნობლად აღემატება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მერსისაიდელები 8 მილიონ გირვანქას ამზადებენ. ამ ორ კლუბს შორის ფავორიტად ინგლისელები მიიჩნევიან.

მერსისაიდელები "ჰერენვეენის" თავდამსხმელ **აფონსო ალვეშს** აკვირდებიან. გასულ უქმეებზე ის ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. ბრაზილიელმა ფორვარდმა ერთ მატჩში შვიდი გოლი გაიტანა და **მარკო ვან ბასტენისა** და **იოჰან კრუიფის** ექვსგოლიანი რეკორდი დაამხო. აფონსო ჰოლანდიის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირია. მან 34 გოლი მიითვალა. ალვეშს "ჰერენვეენიდან" აბარგება ზაფხულში სურდა. მან კლუბს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა. ფეხბურთელი 12 მილიონ გირვანქად შეაფასეს. ეს არარეალური თანხა იყო. დაინტერესებულ კლუბებს ყოველგვარი ინტერესი გაუქრათ. "ჰერენვეენის" მიზანიც სწორედ ეს გახლდათ. იანვარში "ლივერპული", შეიძლება, **პიტერ კრაუჩს** გამოეთხოვოს. ბენიტესს მისი შემცვლელი დასჭირდება. ალვეში იდეალური კანდიდატია. მას სამუშაო ვიზის მიღებაც არ გაუჭირდება, რადგან ბოლო დროს ბრაზილიის ნაკრებში რეგულარულად ასპარეზობს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც სენიორ რაფა სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს, მონაკოელი **ჟერემი მენეზია**. ის შემტევი ნახევარმცველი გახლავთ. 20 წლის მენეზი "მონაკოში" 2006 წლის ზაფხულში "სოშოდან" გადავიდა. ჟერემის შთამბეჭდავი სადებიუტო სეზონი ჰქონდა. ის უმალ **ზინედინ ზიდანს** შეადარეს. მან მიმდინარე გათამაშებაც კარგად დაიწყო და ცხრა შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. მენეზი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ვარსკვლავია. "ლივერპულის" გარდა, ამ ბიჭზე "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ინტერი" აცხადებენ პრეტენზიას. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

ხავიერ მასკერანოს "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს. ის "ენფილდ როუდზე" ამა წლის იანვარში, 18-თვიანი იჯარით გადავიდა. მერსისაიდელებს ეს სიამოვნება 2.5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. მასკერანოს გამოსყიდვა 17 მილიონი გირვანქა ეღირება. ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები კომპანია MSI-ის ხელშია. ამ კომპანიის უკან ირანული წარმოშობის ბრიტანელი ბიზნესმენი **კია ჯურაბჩიანი** დგას. სპეკულაციების თანახმად, მასკერანოს ახალი სამსახურის მოძებნა სურდა. ამბობდნენ, რომ ის **რაფა ბენიტესის** საკადრო პოლიტიკით იყო უკმაყოფილო. მოგეხსენებათ, მწვრთნელი შემადგენლობას გამუდმებით ცვლის. ფეხბურთელებს რეგულარულად თამაშის საშუალება არ ეძლევათ.

მასკერანომ ცნობა მისი უკმაყოფილების შესახებ კატეგორიულად უარჰყო და განაცხადა: *"თავს ძალიან კარგად გგრძნობ. "ლივერპულის" მაისურით თამაში სიამოვნებაა. თუ მწვრთნელს სურს, მზად ვარ, ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმო."* ზემოთ 17 მილიონი გირვანქა ვახსენეთ. საიჯარო კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში იწურება. თუ ლივერპულელებს მასკერანოს შენარჩუნება სურთ, მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ. ფეხბურთელს მადრიდის "რეალიც" აკვირდება. დაინტერესებულია მინიმუმ ერთი იტალიური გრანდიც, რომელიც არგენტინელის შეძენას 2006 წლის ზაფხულში ცდილობდა. მასკერანომ და **კარლოს ტევესმა** კი, მოულოდნელად, "ვესტ ჰემში" ამოჰყვეს თავი. აქვე გეტყვით, რომ "ლივერპული" "ჩარლტონისა" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **ჯოშ რაიტით** დაინტერესდა. 17 წლის რაიტი მეოთხე დივიზიონის კლუბ "ბარნეტშია" განათხოვრებული. ბენიტესის სკაუტები მისი ნიჭით აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

დასასრულს, "ლივერპულიდან" წამსვლელი ფეხბურთელების ამბავსაც მოგახსენებთ. ზემოთ **პიტერ კრაუჩი** ვახსენეთ. თავდამსხმელს სკამზე ჯდომა ყელში ამოუვიდა. მას თადარიგში ყოფნა არ აკმაყოფილებს და ახალ სამსახურს ეძებს. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კრაუჩს "პორტსმუთში" ან "იუვენტუსში" გადასვლა უნინასწარმეტყველეს. ესპანურმა "მარკამ" გვაუწყა, რომ თავდამსხმელით "ვალენსიაც" დაინტერესდა და მზადაა, სარფიანი კონტრაქტი შესთავაზოს.

ნორვეგიელ მცველ **ჯონ არნე რიისს** "ასტონ ვილა" აკვირდება. მოლაპარაკებები ნაყოფიერად მიმდინარეობს. "დეილი მეილის" ცნობით, რიისე ჩემოდნებზე ზის და ბირმინგემში წასასვლელად ემზადება. მან ლივერპულური სახლიც კი გაყიდა. ჯონ არნეს გაყიდვას ზაფხულშიც ვარაუდობდნენ, მაგრამ "ლივერპულმა" მანჩესტერელი **გაბრიელ ჰაინცე** ვერ შეიძინა და "ვილასთან" გარიგებაც არ შედგა. რიისეზე არც "ნიუკასლი" იტყოდა უარს.

შალკე

რვა ფეხბურთელი ლაზარეთში

ასამოას იტალიაში უხმეს, მაღაროელებს შტრაიტი ისევ გაახსენდათ

"კარლსრუესთან" განცდილი მარცხის შემდეგ, "შალკეს" უიღბლობის ტრადიციული პერიოდი დაუდგა. გელზენკირხენული კლუბის ლაზარეთი სავსეა - ქართველი **ლევან კობიაშვილის** გარდა, რომლისთვისაც გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე ფაქტობრივად დასრულებულია, სლომკას კიდევ 7 (!) მოთამაშე ჰყავს დაშავებული. არადა, "ხუმარების" თავკაცმა სეზონის წინ თავის 12 (!) ასისტენტს კიდევ ერთი, პრეფესორი **იურგენ ფრაივალდი** სწორედ იმიტომ მიამატა, რომ რეგულარულად ტრავმირებულ ფეხბურთელთა რიცხვი (20 პროცენტი მუდმივად ლაზარეთში იყო) საგრძნობლად შემცირებულიყო. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან დღესდღეობით "შალკეს" ლაზარეთში ერთბაშად 8 მოთამაშე ჰყავს, რაც საერთო შემადგენლობის 35 პროცენტს შეადგენს (განაცხადში სულ 23 მოთამაშეა).

პეტერ ლოვენკრანდსი და **მიმუნ აზაუაგი** ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდნენ. პირველ მათგანს კარისკენ დარტყმის შემდეგ ყვირილი აღმოხდა და მინდორზე დაეცა (კუნთი დაეჭიმა), აზაუაგი კი სათადარიგო მეკარე **რალფ ფერმანს** შეეჯახა და მინიმუმ სამკვირიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. მძიმე ტრავმები აქვთ კობიაშვილსა და **გუსტავო ვარელასაც**. როგორც იცით, ქართველი მინიმუმ ორ თვეს დაისვენებს, ურუგვაელი კი, ლაზარეთში 4 კვირას დაჰყოფს.

"ვუპერტალთან" ამხანაგურ შეხვედრაში კი, რომელიც გელზენკირხენელებმა 3:1 მოიგეს, ტრავმა **რაფინიამაც** მიიღო. ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეების გარდა, ტრავმირებულები არიან **მლადენ კრსტაიჩი, ჰალილ ალთინთოფი, კრისტიან პანდერი** და **მათიას აბელი**. სლომკა ამბობს, კიდევ კარგი, რომ "ვუპერტალთან" **ფაბიან ერნსტი, მარსელო ბორდონი** და **ჯერმეინ ჯონსი** დავასვენე, თორემ ვინ იცის, კიდევ რა მოხდებოდაო...

ჯერალდ ასამოას იტალიიდან რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. გერმანიის ნაკრების 29 წლის ნახევარმცველს "უდინეზე" და "ლაციო" ეპატიჟებიან. "ლაციო" ასამოას **ტომაზო როკის** შემცვლელად მოიაზრებს. ჯერალდს "შალკესთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. გელზენკირხენელებს მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ. ამიტომ ფეხბურთელის აბარგების შანსი საკმაოდ დიდია. რაც შეეხება "უდინეზეს", ამ კლუბს გერმანელ ლეგიონერებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა დროს ფრიულიში წარმატებით ასპარეზობდნენ **ოლივერ ბირჰოფი, კარლ-ჰაინც რიდლე** და **თომას დოლი**.

და კიდევ, "შალკეს" აინტრახტელი ნახევარმცველის, **ალბერტ შტრაიტის** შეძენა სურს. გერმანიის ვიცე-ჩემპიონები ტრანსფერის განხორციელებას იანვარში ეშურებიან. შტრაიტი "შალკეში" გადასვლას წელიწადის წინაც აპირებდა. მაშინ ფეხბურთელი "ესენის" ღირსებას იცავდა. მან გელზენკირხენში სახლიც კი შეარჩია, მაგრამ ბოლო წამს მაღაროელებმა 4 მილიონი ევროს გადახდაზე უარი თქვეს. გერმანული საგენტოების ცნობით, ალბერტს "პალერმოსა" და "ლაციოშიც" ეპატიჟებიან.



ჯერალდ ასამოა



ხუანდე რამოსი

"სევილიასთან" დაკავშირებული აჟიოტაჟი არ წყდება. მიმომხილველები ანდალუსიური კლუბის კრიზისის მიზეზების დადგენას ცდილობენ. ამასწინათ, გულშემატკივრებმა **ანდრეს პალოპისკენ** გაიშვირეს ხელი. მათი აზრით, მეკარის შეცდომებმა გუნდს მრავალი ქულა დააკარგვინა. პალოპმა, რა თქმა უნდა, თავი იმართლა, მაგრამ ამით საკითხი არ ამონურულა. ინჩასები ახლა იმ მთავარ მწვრთნელს მიდგნენ, რომელმაც გასულ წლებში "სევილიას" ზედიზედ უეფას ორი თასი მოუტანა. გარდა ამისა, **ხუანდე რამოსმა** გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც გაიყვანა. დიდი უმადურობაა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ქომაგები სენიორ რამოსს ინერტულ მუშაობაში ადანაშაულებენ. მათი აზრით, მწვრთნელმა მოტივაცია და ხალისი დაკარგა. პალოპის მსგავსად, საკუთარი რეპუტაციის დაცვა ბატონმა ხუანდემაც სცადა. აი, რა განაცხადა მან: *"სამუშაოს უწინდებურად მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდები. არაფერი მეზარება და ემოციებსაც უხვად ვხარჯავ. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე მწვრთნელმა პასუხი უნდა აგოს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, ჩემი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას არ დავეთანხმო. ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ ნაწილს მაინც. ფეხბურთელებისკენ ხელის გაშვერა არ მახასიათებს, მაგრამ იძულებული ვარ, ამჯერად ტრადიცია დავარღვიო და გავამხილო, რომ ბიჭები ისე აღარ დარბიან, როგორც ადრე. ზოზინით კი თამაშს ვერასოდეს მოიგებ. ვფიქრობ, ეს დროებითი მოვლენაა. ფეხბურთელები გააცნობიერებენ, რომ მეტი თავდადება მართებთ. უახლოეს მომავალში ვარჯიშებზე ახალ მეთოდებს დავნერგავთ. იმედია, შედეგი არ დაახანებს. ყველაფერს დრო დაგვანახებს, მაგრამ ყველას ვთხოვ, უსაფუძვლოდ თავს ნუ დამესხმებიან. ხუანდე რამოსი საკუთარ მოვალეობებს პატიოსნად და პროფესიულად ასრულებს."*

სევილია

რამოსი მეტ პატივისცემას ითხოვს

ანდალუსიელთა თავკაცი კრიზისში ფეხბურთელებს ადანაშაულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერტი ფოგთსთან

ბუნდესლიგაში არ დავბრუნდები

ფოგთსი ძორწილს გავსებული უემბლის თვალწინ გადაიხდიდა...

ნახევარი წელია, ბერტი ფოგთსი ნიგერიის ნაკრებს ავარჯიშებს. "ბილდთან" ინტერვიუში ის თავის აფრიკულ თავგადასავალზე ჰყვება. რა თქმა უნდა, ვერც ბუნდესლიგის თემას და მომავალ სანაკრებო ბატალიებს უვლის გვერდს. სხვათა შორის, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი არც იუმორზე ყოფილა მწყრალად...

- ნიგერიის ნაკრების მწვრთნელად მარტში დაინიშნეთ. როგორ გრძნობთ თავს ამ როლში?

- როგორ გითხრათ... იცით, აქ ვერავინ იტყვის, რამდენ ხანს დარჩება მწვრთნელად. ნაკრებისგან ძალიან ბევრს ითხოვენ და ელიან. მაგალითად, იანვარში აფრიკის თასი უნდა მოვიგოთ, თან ისე, რომ არც ერთი გოლი არ უნდა გავუშვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა უკმაყოფილო დარჩება... ხალხი ხედავს, როგორ თამაშობენ ნიგერიის ნაკრების წევრები სხვადასხვა ევროპულ კლუბში და ფიქრობენ, რომ ნაკრებმაც ვარსკვლავები უნდა მონყვიტოს. მაგრამ ეს ასე მარტივად არ ხდება, აშკარად შესაძლებლობების გადაფასებასთან გვაქვს საქმე... რაც შეეხება აფრიკის თასს, ეს საერთოდ დიდი პრობლემაა და ფიფამ, აფრიკულ ფედერაციებთან ერთად, ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროს. თასი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ თამაშდება და ეს ძალიან ცუდია ფეხბურთელებისთვის, რომელთაც დიდი ხნით უწევთ კლუბების დატოვება, მით უმეტეს, შუა სეზონში. ცხადია, კლუბები ამით უკმაყოფილონი არიან. ჩემი აზრით, აფრიკის თასი ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა თამაშდებოდეს, ისევე, როგორც მუნდიალი თუ ევროპის ჩემპიონატი.

- ბუნდესლიგაში დაბრუნება ხომ არ იქნებოდა თქვენთვის ალტერნატივა?

- არა, არ მინდა ბუნდესლიგაში დაბრუნება.

- რატომ?

- იმიტომ, რომ იქ ნორმალური შანსი არ მომეცემა. როცა "ლევერკუზენში" ვმუშაობდი, ვაკეთებდი ყველაფერს, რაც დღეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. მაგალითად, შემოვიღე სპეციალიზებული მწვრთნელის პოსტი. და გახსოვთ რას ამბობდნენ მაშინ ჩემზე? რომ ვიყავი სულელი. ბევრს მაკრიტიკებდნენ, ფიქრობდნენ, რომ ბუნდესლიგიდან გავვარდებოდით, სინამდვილეში კი მეოთხე ადგილზე გავედით და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ... გმადლობთ, არ მინდა ბუნდესლიგაში... და თუ დავბრუნდები, მხოლოდ სპორტული დირექტორის პოსტზე.

- მაინცდამაინც სპორტული დირექტორის?

- დიახ, რადგან თანამედროვე ფეხბურთში ყოველთვის მომავალზე უნდა იფიქრო. სწორედ რომ სპორტდირექტორის პოსტზე შევძლებდი ჩემი ფილოსოფიის დანერგვასა და გამოყენებას.

- რომელ კლუბში? "ჰანოვერში", "ლევერკუზენში" თუ "დიუსელდორფში"?

- დიუსელდორფი გერმანიის ულამაზესი ქალაქია... თუმცა ვისურვებდი მუშაობას ტოპკლუბში, რომელსაც ექნებოდა საშუალება, მოთამაშეები 10-12 მილიონ ევროდ ეყიდა.

- მაშინ, "ჰამბურგი" ან "დორტმუნდი"?

- შესანიშნავი კლუბებია. რატომაც არა?

- გენერალური მენეჯერი რომ იყოთ, მოთამაშეებს სახელფასო ლიმიტს დაუწესებდით?

- პრინციპში, ბევრს მოვუმატებდი კიდეც. მიმაჩნია, რომ ტოპკლასის მოთამაშეებმა მეტი უნდა გამოიმუშაონ. აქ არ უნდა იყოს ლიმიტი. მაგალითად, გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი ბუნდესლიგის მოთამაშეთა ხელფასებზე სიცილით კვდება. უმაღლესი დონის მოთამაშეები ყველას სჭირდება. ფეხბურთელობის დროს, გიუნტერ ნეტცერი ჩემზე სამჯერ მეტს იღებდა და სწორიც იყო. მის გარეშე ასეთ ლამაზ ფეხბურთს ხომ ვერ ვითამაშებდით? დიახაც, ვარსკვლავებმა დიდი ფული უნდა მიიღონ, დანარჩენებმა კი, უბრალოდ, კარგად უნდა გამოიმუშაონ.

- ტანმორჩილ ბერტი ფოგთსს ამის გამო პრობლემები ისევ აქვს?

- არ ვარ მაღალი, რა ვქნა... მაგრამ არც პატარა ვარ. ნიგერიაში კონტრაქტის გაფორმების წინ, მოვითხოვე მასში ერთი პუნქტის შეტანა, რომელშიც ეწერებოდა, რომ გასახდელში მწვრთნელის შესვლის დროს, ფეხბურთელები სკამზე უნდა მჯდარიყვნენ (იცინის). თუმცა ბევრი ფეხბურთელი დამჯდარიც ჩემზე მაღალია.

- ცნობილია, რომ აფრიკელებს დისციპლინა არ უყვართ...

- დაგვიანების გამო ისინი ჯარიმებს იხდიან. აქედან შემოსული ფული კი კარგ საქმეებზე იხარჯება.

- ფეხბურთელებს თქვენი რისხვის არ ეშინიათ?

- ყველაზე მეტად მათ ექიმების ეშინიათ. ერთხელ, მეტოქე გუნდის ერთ-ერთი ექიმი ჩვენს ავტობუსში ამოვიდა და ფეხბურთელებთან დაჯდა. არც ერთ მათგანს აღარ სურდა იქ გაჩერება. ვცადე ბიჭების დაწყნარება, მაგრამ არაფერი გამომივიდა. და როცა ეს ექიმი სტადიონზე გამოჩნდა, ერთ-ერთ ჩვენგანი უნდა ადევნებოდა მას, რადგან ბიჭებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ჯადოს გვიკეთებდა...

- თვალყურს თუ ადევნებთ, რა ხდება თქვენს სამშობლოში?

- ყველაფერს ვერა. და მოხდა რამე განსაკუთრებული?

- მაგალითად, თქვენმა კოლეგა კრისტოფ დაუმმა ზედ კიოლნის სტადიონის გაზონზე გამართა საქორწინო ცერემონიალი...

- ოო, მეც სიამოვნებით გავაკეთებდი ამას, ოღონდ გავსებულ "უემბლიზე".

- "ლევერკუზენის" ექსმენეჯერმა რაინერ კალმუნდმა კი ანდერძი დაწერა - მოედნის ცენტრში დამკრძალეთ, ოღონდ რაც მთავარია, კუბო აუცილებლად XXL (შეგახსენებთ, რომ დიდი გაბარიტების გამო კალმუნდს XXL-მენეჯერად მოიხსენიებდნენ) ზომისა უნდა იყოსო...

- ამ შემთხვევაში, მოედნის ცენტრალური ნაწილის გაფართოება მოგვიწევს...



ბერტი ფოგთსი

- ნიგერიაში თქვენს XXL-ხელფასს დროულად თუ იღებთ?

- ველოდები, როდის დამიბრუნებენ ფულს, რომელიც ნიგერიის ქალთა ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებაში დაიხარჯა. ფეხბურთის ფედერაციას როგორღაც დაავიწყდა ხუთი მოთამაშისთვის ბილეთის ყიდვა და ეს ფული მე დავდე.

- შოტლანდიელები კი წარმატებებს ზეიმობენ, მაგრამ თქვენ გარეშე...

- ...და ძალიანაც კარგი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ნაკრებში ერთბაშად ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე შევიყვანე. ახლა, ეს ახალგაზრდები უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელები არიან. ასე რომ, შოტლანდიის ნაკრების დღევანდელ წარმატებებში ჩემი წვლილიცაა. ვისურვებდი, რომ ეს გუნდი ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე მოხვდეს.

- გერმანია? გახდება ბუნდესნაკრები ევროპის ჩემპიონი?

- გახდება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. რაც შეეხება 2010 წლის მუნდიალს, მინდა გავაფრთხილო იოახიმ ლიოვი, რომ თუ აფრიკელები დაცვაში თამაშს ისწავლიან, სხვა გუნდებს ძალიან გაუჭირდებათ. ვფიქრობ, გერმანიის ნაკრებს მინიმუმ ნახევარფინალში გასვლა შეუძლია. ლიოვს ვურჩევდი, რომ დღესვე დაგეგმოს ამხანაგური მატჩები აფრიკულ გუნდებთან, თვით ევროპის ჩემპიონატამდეც კი. დღეს ყველა ევრო 2008-ზე ფიქრობს, მაგრამ მუნდიალიც მალე მოგვადგება კარს. უკვე ამაზეც უნდა ვიფიქროთ.

- ევროპის ჩემპიონატის დროს რას გააკეთებთ?

- ალბათ, სამხრეთი აფრიკის ერთ-ერთ ტელეარხზე ექსპერტად მომიწევს მუშაობა.

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერები

ვილია სამეფო კლუბზე საუბარს ერიდება

ლემპარდთან თანამშრომლობის სურვილი რამონ კალდერონს გაუჩნდა

როგორც გაუწყეთ, **რამონ კალდერონმა დავიდ ვილიას** შეძენის სურვილი გამოთქვა. "რეალის" პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ვალენსიელი ფორვარდი მომავალი სეზონისთვის დავიმატოთო. გუშინ ესპანელი ჟურნალისტები ვილიას შეხვდნენ და კომენტარი სთხოვეს. დავიდმა გახსნილი ტექსტით საუბარი არ ისურვა: *"რეალის" დაინტერესება ალბათ ყველას სიამოვნებს, მაგრამ ძალიან გთხოვთ, თავი დამანებოთ. შესანიშნავად იცით, რომ ამ თემაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან მე "ვალენსიის" ფეხბურთელი ვარ. ჩემი გუნდი სოლიდურ ხელფასს მიხდის და შესანიშნავ პირობებს მიქმნის, რათა კარგად მოვემზადო და ბედნიერად ვიგრძნო თავი. კალდერონის დაინტერესების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია თუ გჭირდებათ, გირჩევთ, თავად მას მიმართოთ."*

ამასობაში, ჩვენმა პირენეელმა კოლეგებმა თემა კიდევ უფრო განავრცეს და მოსალოდნელ ტრანსფერზე **ფაბიო კანავაროს** ჰკითხეს. იტალიელმა მცველმა საკმაოდ არაკოლეგიალური პასუხი შემოგვთავაზა: *"ვილია კარგი ბიჭია, მაგრამ როგორც გავიგე, "ვალენსია" მას 150 მილიონ ევროდ აფასებს. მომიტევეთ, მაგრამ დავიდი ამის ნახევარიც არ ღირს. ჩემი აზრით, 150 მილიონის გადახდა უდიდესი სიგიჟე იქნება. დარწმუნებული ვარ, რამონ კალდერონი ამას არ გააკეთებს.*

დავიდ ვილია

გუშინ საღამოსვე საინფორმაციო სააგენტოებმა ძალიან საინტერესო ამბავი გაახმაურეს. მათ დაადგინეს, რომ **ფრენკ ლემპარდი** "ჩელსიდან" წასასვლელად ემზადება. ინგლისელი ნახევარმცველი "არისტოკრატებს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. მოგეხსენებათ, მასთან თანამშრომლობის სურვილს "ბარსელონა" გამოთქვამდა. სავარაუდო იყო, რომ ლემპარდს კვლავ **ჩიკი ბეგირისტიანი** დაუკავშირდებოდა, მაგრამ მოვლენები აბსოლუტურად განსხვავებული სცენარით განვითარდა. გუშინ ფრენკს **რამონ კალდერონმა** დაურეკა და ჰკითხა, "რეალში" კარიერის გაგრძელებაზე რას ფიქრობო. ბრიტანელმა სამეფო კლუბის პრეზიდენტს სასაცილო პასუხი გასცა, "ბერნაბეუზე" გადმოსვლა ძალიან გამიჭირდება, რადგან გოგონა, რომელიც ძალიან მიყვარს, "ბარსელონის" თავგადაკლული ფანიაო. კალდერონს გაელიმა და ფეხბურთელს მოახსენა, ეგ რა პრობლემაა, ჩათვალე, რომ ეს ფაქტი ხელს არ შეგიშლისო. როგორც ჩანს, საქმე მართლაც სერიოზულადაა. "რეალთან" დაახლოებულმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ კალდერონმა **პრედრაგ მიატოვიჩს** ლონდონში გამგზავრება დაავალა. გენერალური დირექტორი ბრიტანეთის დედაქალაქში კონკრეტული ნინადადებებით მიდის. ის მზადაა, ლემპარდის კონტრაქტის ვადის ამონურვას დაელოდოს და მაღალი კლასის ფეხბურთელი უფასოდ ჩაიგდოს ხელში. თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვს, მიატოვიჩი ხელშეკრულების გაწყვეტისთვის გათვალისწინებული საჯარიმო თანხის გადახდასაც არ მოერიდება. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, სამეფო კლუბს 18 მილიონი ევროს გადარიცხვა მოუწევს.

არსენალს ბარსელონის ფული მართებს

"არსენალს" "ბარსელონისათვის" 3.4 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. საქმე ეხება კატალონიელთა ახალგაზრდული გუნდის ყოფილი წევრის **ფრანმერიდას** ტრანსფერს. 17 წლის ყმაწვილი ლონდონში ერთი წლის წინ გადავიდა. ამ ერთი წლის განმავლობაში კატალონიელები სასამართლოში დაიარებოდნენ, რათა დაემტკიცებინათ, რომ მერიდამ 14 წლის ასაკში მათთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ სრულასაკოვნობამდე (16 წელი) რამდენიმე თვით ადრე მოულოდნელად ინგლისში ამოყო თავი. სასამართლომ ბარსელონელთა პრეტენზია საფუძვლიანად მიიჩნია და "არსენალს" კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

ბაიერნი

სოსა ჰიტცფელდის განკარგულებაშია

კანი და კლოზე მალე დაბრუნდებიან, სანიოლი ჯერ მხოლოდ დარბის...

სანაკრებო მატჩებმა "ბაიერნს" სულზე მოუსწრო, რადგან რეკორდმაისტერს არაერთი ნამყვანი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული. მიუნხენური გიგანტის ქომაგთათვის სასიამოვნო ინფორმაციაა ის, რომ არგენტინელმა ნახევარმცველმა **ხოსე ერნესტო სოსამ** სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს გერმანიის პირველობის მომდევნო ტურში ასპარეზობა შეუძლია. "დიდი შანსია, რომ სოსამ "ბოხუმთან" სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზოს, მაგრამ თუ ეს მაინც არ მოხდა, მაშინ დორტმუნდში უკვე აუცილებლად ითამაშებს," - ამბობს "ბაიერნის" თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდი**.

გუშინწინდელ ვარჯიშზე, დაშავების შემდეგ, პირველად გამოჩნდა **ოლივერ კანიც**, რომელიც ზებენერშტრასეზე მისმა გერლფრენდმა **ვერენა კერთმა** მიიყვანა. მაგრამ ოლის არ უვარჯიშია - ხელი ისევ თაბაშირში აქვს. ჰიტცფელდის თქმით, ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ "გენერალი" იმედოვნებს, რომ კანს იძულებითი პაუზა მაქსიმუმ 3 კვირით გაუგრძელდება. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია **მიროსლავ კლოზე**, რომელიც ვარჯიშს სავარაუდოდ ერთ კვირაში განაახლებს. სამაგიეროდ, **ვილი სანიოლის** გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან ნელ ტემპში მიმდინარეობს. გუშინწინ ფრანგმა მსუბუქად ირბინა, მაგრამ ექიმებისგან სრული დატვირთვით ვარჯიშის განახლების უფლება ჯერ არ მიუღია.



ჯოვანი ტრაპატონი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზალცბურგის "რედ ბულის" ხელმძღვანელები **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მალე გაათავისუფლებენ. "მაესტრო" ახლა მილანში ისვენებს, ოფიციალური ვერსიით, მას შვებულება აქვს. ჩვენი ავსტრიელი კოლეგები კი იუწყებიან, რომ სანამ ტრაპი სამშობლოშია, კლუბის ბოსები მის შემცვლელს ეძებენ და როგორც კი იპოვიან, 68 წლის სპეციალისტს კარისკენ მიუთითებენ.

ჩემპიონთა ლიგიდან და უეფას თასიდან გამოვარდნის შემდეგ, იტალიელს არგუმენტები გამოელია. "ზალცბურგი" ავსტრიის ჩემპიონატშიც ცუდად გამოიყურება - გუნდი, რომელსაც წესით კვლავ ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა, ახლა მე-5 ადგილზეა. შესაბამისად, ტრაპატონი დენთის კასრზე ზის. კლუბის სპორტული დირექტორის, **ჰაინც ჰოხჰაუზერის** თქმით, შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, იტალიელს ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს და თუ სერიოზული არგუმენტები არ ექნება, პოსტის დატოვება მოუხდება. "ზალცბურგი" ლიდერ "აუსტრიას" 7 ქულით ჩამორჩება და გასულ უქმეებზე, "ლინცთან" განცდილი მარცხის (1:4) შემდეგ, "რედ ბულის" ფანები ტრაპის თავს ითხოვდნენ.

"მაესტროს" აღარც პრესა სწყალობს. "ზალცბურგერ ნახრიხთენი" წერს, რომ გუნდი უმძიმეს კრიზისშია და რომ ახლა სწორედ ის დროა, როცა მწვრთნელი თვითონ უნდა გადადგეს. სპორტული გამოცემები კი იტყობინებიან, რომ გუნდის მფლობელ **დიტრიხ მატეშიტცს** ტრაპატონის შემცვლელად **იურგენ კლინსმანი** სურს. ანუ, "ზალცბურგის" შეფებს მობეზრდათ მწვრთნელი, რომელიც გუნდს დაცვით ფეხბურთს ათამაშებს, კლიწსმანი კი, მოგეხსენებათ, სანახაობრივი და შემტევი ფეხბურთის მიმდევარი სპეციალისტია.

მიმომხილველები წერენ, ტრაპატონი ძველ დროშია ჩარჩენილი და ჯერ კიდევ სჯერა, რომ კატენაჩოს წარმატების მოტანა შეუძლიაო. *"ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ყველანი თავს ვიცავთ ხოლმე და შეტევაზე აღარ ვფიქრობთ. მწვრთნელი საათობით საუბრობს იმაზე, თუ როგორ არ უნდა გავუშვათ გოლი, სამაგიეროდ არაფერს გვეუნება იმაზე, თუ როგორ უნდა გავიტანოთ!"* - ეს **ალექსანდერ ციკლერის** სიტყვები გახლავთ.

"ზალცბურგს" საკმარისად აქვს ფული იმისათვის, რათა გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს - მილიარდერი მატეშიტცი "რედ ბულს" ყოველწლიურად 60 მილიონ ევროს ურიცხავს. ფანებსაც უნდათ, რომ გუნდმა პოტენციალი გამოიყენოს და ლაღი ფეხბურთი ითამაშოს. ტრაპი კი მხოლოდ დაცვაზე ზრუნავს - მისი ტაქტიკა ასეთია: 4-3-2-1 - ჯოვანი სამი საყრდენი ნახევარმცველითა (!) და მხოლოდ ერთი ფორვარდით თამაშობს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინათ "ზალცბურგიდან" **ლოთარ მათეუსიც** იმ მიზეზით წავიდა (გერმანელი ტრაპის ასისტენტი იყო), რომ ჯოვანისთან ტაქტიკაზე ვერ თანხმდებოდა. მათეუსი ოდნავ უფრო შემტევი ფეხბურთის მომხრე იყო, ტრაპატონი კი არა და არ გატყდა. ლოთარის წასვლის შემდეგ, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა: თუკი ლოთარის დროს ტრაპატონი მხოლოდ ორი საყრდენით თამაშობდა, გერმანელის წასვლის შემდეგ, უკვე სამ ჩამშლელს ათამაშებს.

ჩემპიონთა ლიგაში ტრაპის სამწყსომ დონეცკის "შახტარის" ბარიერი ვერ გადალახა (1:0/1:3), უეფას თასზე კი ათენის აეკ-თან გავარდა (0:3/0:1). თვითონ იტალიელს რომ ჰკითხოთ, "რედ ბულს" ჯერ არაფერი დაუკარგავს და ჩემპიონობა შესაძლებელია. ხოლო კითხვაზე, გადადგომას ხომ არ აპირებს, მაესტრო ასე პასუხობს: *"არა, აქ მუშაობა ძველებურად მსიამოვნებს."*

ბოსების ბოლო სიტყვა ასეთია: სანამ გუნდი ჯოვანიზე უკეთეს მწვრთნელს არ იპოვის, ტრაპატონის არაფერი ემუქრება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ "ზალცბურგი" მდიდარი გუნდია, წესით მოცარტის ქალაქის საფეხბურთო გუნდს კარგი სპეციალისტის ძებნა დიდხანს არ უნდა გაუგრძელდეს. ასე რომ, ტრაპის დღეები დათვლილია...

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ კარლოს დუნგასთან

ლამაზი ფეხბურთი აუცილებელი არ არის

სელესაოს თავკაცისთვის მთავარი არა სპექტაკლი, არამედ შედეგი და ეფექტური გამარჯვებაა...

კარლოს დუნგა ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გახდა და ამ პოსტზე კარლოს ალბერტო პარეირა შეცვალა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ზაფხულში "სელესაოს" "კოპა ამერიკა" მოაგებინა. დუნგას მომდევნო მიზანი 2010 წლის მუნდიალის მოგებაა. შაბათს, სამხრეთ ამერიკაში მომავალი მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. ამასთან დაკავშირებით, ბრაზილიის ეროვნული გუნდის თავკაცს გერმანული "კიკერი" გაესაუბრა.

- "სელესაომ" ბოლო შვიდი მატჩი მოიგო და ამასთან ერთად, კოპა ამერიკაზე ნაჩვენებმა შედეგმა, თქვენი გუნდი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის უმთავრეს ფავორიტად აქცია...

- ბრაზილია ყოველთვის ფავორიტია - მნიშვნელობა არა აქვს, ვის ვეთამაშებით და რა რანგისაა მოსალოდნელი ტურნირი თუ კონკრეტული მატჩი, ჩვენი მეტოქე ყოველთვის აუტსაიდერია. მაგრამ ბოლო დროს ფავორიტის როლი ყოველთვის ცუდ სამსახურს გვიწევდა, მაგალითად, როგორც გასულ მუნდიალზე. სამაგიეროდ, კოპა ამერიკის ფინალში აბსოლუტურად ყველა ექსპერტი ფავორიტად არგენტინას რაცხავდა, მაგრამ ყველას ახსოვს, თუ როგორ გავანადგურეთ მეტოქე.

- და როგორია თქვენი დასკვნა?

- თამაშს ფავორიტის როლი ვერ მოგაგებინებს. პრობლემა ის არის, რომ ჩვენი გულშემატკივრები ძხოლოდ შედეგს კი არ ითხოვენ, არამედ ისიც სურთ, რომ გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს. ბრაზილიის ნაკრებმა ყველა თამაში რომ მოიგოს, მაგრამ არასანახაობრივი ფეხბურთით, ფანები უკმაყოფილოები იქნებიან. ამ მხრივ მე განსხვავებული აზრი მაქვს: ჩვენ არ ვართ ვალდებულები, რომ ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ, ბრაზილიას პირველ რიგში შედეგი მოეთხოვება, შედეგი და ეფექტური ფეხბურთი, ეფექტური გამარჯვება და არა საფეხბურთო სპექტაკლების დადგმა.

- ასეთი მოსაზრების გამო ბრაზილიაში ძალიან ხშირად გაკრიტიკებენ. კოპა ამერიკის მოგებამდე თქვენ კრიტიკის ქარცეცხლში იყავით მოქცეული...

- კრიტიკას ჩუმად ვითმენდი და არაფერს ვამბობდი. სამაგიეროდ, არგენტინის დამარცხებით ჩვენ ყველას საკადრისი პასუხი გავეცით. მთელი ქვეყანა ბედნიერი იყო, რადგან არგენტინის დამარცხება, თანაც დიდი ანგარიშით, ბრაზილიელი გულშემატკივრებისთვის ყოველთვის საოცნებოა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ბრაზილიურმა მედიამ მხოლოდ ამ თამაშის შემდეგ დაინახა, რომ "სელესაოს" სამწვრთნელო შტაბში კარგად ვმუშაობთ და სწორ გზას ვადგავართ.

- რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ბუნდესლიგაში მოთამაშე ბრაზილიელებს, ლუსიოს, დიეგოს, ნალდოს, ჟოსუეს, მინეიროსა და ჟილბერტოს?

- ამ მოთამაშეებს ჩემთვის, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვთ, ამიტომაც არიან ბრაზილიის ნაკრების გაფართოებულ სიაში. გერმანულმა კლუბებმა ეს მოთამაშეები იმის გამო შეიძინეს, რომ გერმანულ ფეხბურთს თითოეული მათგანი ერგებოდა, მაგრამ როცა ისინი ბრაზილიაში ჩამოდიან, სტილის შეცვლა უწევთ, რადგან ბრაზილია განსხვავებული სტილის ფეხბურთს ითხოვს. ზოგჯერ ეს პროცესი წარმატებით ვერ სრულდება ხოლმე.

- მიუხედავად ამისა, შაბათისთვის ექვსივე მათგანი გამოიძახეთ. ნალდოს კი მას მერე უხმეთ, რაც გაირკვა, რომ ჩელსელი ალექსი ტრავმის გამო ვერ დაგეხმარებოდათ...

- ტესტმატჩებში და კოპა ამერიკაზე თავის გამოჩენის შანსი აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა თანაბრად მიიღო. პატარ-პატარა პრობლემებს თუ არ ჩავთვლით, საერთო ჯამში, ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ბრაზილიის ნაკრები საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სრულ მზადყოფნაშია.

- პატარ-პატარა პრობლემებში რას გულისხმობთ?

- ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 2 ტაქტიკით ვთამაშობდით - ვცადეთ როგორც 4-4-2, ასევე 4-3-3-იც. ფეხბურთელები სხვადასხვა პოზიციაზე გამოვცადე. ახლა ამ ორ ტაქტიკას შორის არჩევანი უნდა გავაკეთო.

- სასტარტო შემადგენლობა უკვე ცნობილია?

- თითქმის. გასარკვევი მხოლოდ რამდენიმე პოზიციის საკითხია. მაგალითად, რონალდინიოს, კაკას და რობინიოს ძირითად შემადგენლობაში თამაში განაღდებული აქვთ. სამაგიეროდ, დაცვაში უდიდესი კონკურენციაა. ჩემს შეგირდებს არაერთხელ ვუთხარი, რომ 2010 წლის მუნდიალისკენ მიმავალი გზა გრძელია, "სელესაოს" კარი კი აბსოლუტურად ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელისთვის ღიაა, განურჩევლად ასაკისა. კონკრეტულ შეხვედრებში საუკეთესო ფორმაში მყოფებს მივენდობი.

- კლასიკური 9 ნომერი იპოვეთ?

- გუნდში სულ 23 ნომერია და ცხადია, რომ ერთერთი მათგანი 9 ნომრით ითამაშებს. ხუმრობა იქით იყოს და სიმართლე გითხრათ, ერთი კონკრეტული ცენტრფორვარდი ჯერ არ შემირჩევია. მთავარი ის არის, რომ მე ჩემს შეგირდებს ვენდობი. დღესდღეობით საუკეთესო შანსი აფონსო ალვეშს აქვს.

კარლოს დუნგა

- ბოლო დროს, რობინიოსთან ერთად, თავდასხმაში სწორედ ამ უკანასკნელს და ვაგნერ ლავს ათამაშებდით...

- ალვეშმა "სელესაოს" ბოლო თამაშში, როგორც იქნა, გოლი გაიტანა, ჰოლანდიის ჩემპიონატში კი, გასულ უქმეებზე სულაც 7-ჯერ იხეირა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიის ნაკრებში ყოველთვის დამაჯერებელი და სტაბილური არ იყო, მე ვიცი, რაც შეუძლია ამ ფეხბურთელს. უდიდესი პოტენციალის პატრონი რომ არ იყოს, გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვერ გახდებოდა. დაახლოებით იმავეს ვიტყოდი ვაგნერ ლავზეც. მე ფეხბურთელებს ბრაზილიის ნაკრებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით კი არ ვაფასებ, არამედ ევროპაში, საკლუბო დონეზე ნაჩვენები თამაშითა და შედეგით.

- რა როლი აქვს რონალდოს?

- დღესდღეობით ის ტრავმირებულია. შესაბამისად, სანამ ლაზარეთშია, ჩემთვის რონალდოს თემა დახურული იქნება. არავინ იცის, როდის ჩადგება ფორმაში და როგორ ითამაშებს გამოჯანმრთელების შემდეგ. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბრაზილიის ნაკრების კარი მისთვისაც ღიაა.

გოტფრიდ ლენცი

სერესოვ ჭერის სტადიონის პროექტი დაუწუნა

უკვე რამდენიმე თვეა, მადრიდის მერია ახალი ოლიმპიური სტადიონის პროექტზე მუშაობს. ესპანეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, ისეთი არენა აშენდეს, რომელიც ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. მართალია, მადრიდის კანდიდატურა 2014 წლის ოლიმპიადაზე ჩავარდა, მაგრამ ესპანელები იმედს არ კარგავენ და ფიქრობენ, რომ მომდევნო თამაშებს უმასპინძლებენ. მოკლედ, ახალი სტადიონის აგება სწორედ ამ მიზნით განიზრახეს. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტში მადრიდის "ატლეტიკოც" მონაწილეობს. ცნობილია, "როხიბლანკოს" ხელმძღვანელობა "ვისენტე კალდერონის" გაყიდვაზე მუშაობს. **ენრიკე სერესო** მიღებულ თანხას ამ სტადიონის მშენებლობაში დააბანდებს. აქედან გამომდინარე, მერია ვალდებული იყო, "ატლეტიკოსთვის" ანგარიში გაეწია და ისეთი პროექტი შეედგინა, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მადრიდული კლუბის მესვეურებმა პროექტი დაინუნეს. მათი აზრით, ტრიბუნებსა და მინდორს შორის ძალიან დიდი დაშორებაა. სენიორ სერესო ამბობს, იმისათვის, რომ გუნდმა უკეთ ითამაშოს, გულშემატკივრების აქტიური მხარდაჭერა უნდა იგრძნოსო. ეს კი მოედნიდან დაშორებული ტრიბუნების პირობებში შეუძლებელი გახდება. გარდა ამისა, პრეზიდენტს სხვა გარემოებებიც არ მოეწონა. მისი აზრით, VIP ზონა გაცილებით უფრო ფართო უნდა იყოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტადიონის ინფრასტრუქტურა მეტროსა და საქალაქთაშორისო მატარებლის სადგურებისთვის ასეშენებელ სივრცეს მოიცავდეს. "ატლეტიკოს" გულშემატკივრები წლების განმავლობაში იტანჯებიან, რადგან "ვისენტე კალდერონს" რამდენიმე ავტობუსის გარდა არანაირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ უდგება. მერიის მესვეურებმა "როხიბლანკოს" არგუმენტები გულდასმით მოისმინეს და მიხვდნენ, რომ შეცდომები დაუშვეს. მხარეებმა გადაწყვიტეს, ახალი პროექტი შექმნან. ამისათვის სენიორ სერესომ ესპანეთში კარგად ცნობილი არქიტექტორი **მარკ ფენვიკი** დაიქირავა. ეს ის კაცია, რომელმაც "ვალენსიას" ახალი სტადიონი დაუპროექტა. მისმა მუშაობამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ფენვიკს რამდენიმე თვე მისცეს. მომავალი წლის დასაწყისში მან პროექტის პირველი ნახაზები უნდა წარადგინოს. ამის შემდეგ მხარეები მაგიდას მოუსხდებიან და სამომავლო გეგმებს განიხილავენ. შესაძლოა, პროექტში ცვლილებები მომავალშიც შეიტანონ.

ლუიზაო ტიაგოს სანაცვლოდ

"იუვენტუსმა" **ლუიზაოს** დაადგა თვალი. ტურინელები მზად არიან, ბრაზილიელის სანაცვლოდ "ბენფიკას" მათივე თანამემამულე ნახევარმცველი **ტიაგო მენდესი** შესთავაზონ. ტიაგომ "ქალბატონის" ძირითადში დამკვიდრება ვერ მოახერხა. ის საკმაოდ სუსტად ასპარეზობს. ლისაბონელები, დიდი ხანია, ამ ბიჭის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. "იუვეს" კი კვალიფიციური ცენტრალური მცველი სჭირდება. გარიგება სავარაუდოდ იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე უნდა შედგეს.

პერუცი: რომა თუ ლონდონი?

"ლაციოს" ყოფილი მეკარე **ანჯელო პერუცი**, შეიძლება, "რომაში" აღმოჩნდეს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "ჯალოროსი" ვეტერან კარის დარაჯს ადმინისტრაციული თანამდებობა შესთავაზა. პერუცი კიდევ ერთი მაცდუნებელი წინადადება მიიღო. მას "ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" შეეხმიანენ და კარიერის გაგრძელება შესთავაზეს. ლონდონურ კლუბს ფორმულა 1-ის ბოსი **ბერნი ეკლსტოუნი** და "რენოს" გუნდის მმართველი დირექტორი **ფლავიო ბრიატორე** ყიდულობენ. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია "ქუინზ პარკის" მწვრთნელად **ჯანლუკა ვიალის** შესაძლო დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ინიციათივები

შოთა ჩოჩიშვილი, ლევან ახვლედიანი, ლეილა მესხი და ბესიკ ლიპარტელიანი

რას იტყვის ჟაკ როგი?

"ლელოს" გუშინდელ ნომერში დაგპირდით, რომ დღეს გამოვაქვეყნებდით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის იმ წევრთა სის, რომლებიც ესწრებოდნენ სეოკ-ის აღმასკომის სხდომას, სადაც **ბადრი პატარკაციშვილისთვის** სეოკ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. სიას ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე **კახა გეწაძე** და მდივანი **დავით ნამგალაური.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე დამსწრეთა სია:

თბილისი. 9 ოქტომბერი. 2007

1. გიორგი ასანიძე
2. ლევან ახვლედიანი
3. ელგუჯა გერიშვილი
4. დავით გეჯუაშვილი
5. გიორგი გაგაშვილი
6. ნონა გაფრინდაშვილი
7. კახა გეწაძე
8. არჩილ გოგელია
9. რამაზ გოგლიძე
10. ემზარ ზენაიშვილი
11. გოგი თოფაძე
12. ბესიკ ლიპარტელიანი
13. გიორგი მელაძე
14. ლეილა მესხი
15. დავით ნამგალაური
16. ნინო სალუქვაძე
17. შოთა ჩოჩიშვილი
18. გოჩა ძასოხოვი
19. დილარ ხაგულიანი
20. გიორგი ჯაფოშვილი

გიორგი მელაძესა და **გიორგი უდესიანთან** დაკავშირებით გაუგებრობის შესახებ "ლელოს" გუშინდელ ნომერში ვწერდით.

სხდომის მონწვევის ორგანიზატორებმა გაგვიმარტეს, რომ წესდებით გათვალისწინებული კვორუმი შეიკრიბა და სადავო არაფერია. ერთადერთი, ვინც განსახილველი საკითხების წინააღმდეგ ხმა მისცა, იყო **ნონა გაფრინდაშვილი.** ამასთან, დასძინეს, რომ თუ ვინმე სხდომას არ ესწრებოდა და ისე მოხვდა სიაში, შეუძლია ეს საჯაროდ განაცხადოს.

გუშინ, აღმასკომის წევრების ერთი ნაწილი და სპორტული ფედერაციების პრეზიდენტების უმრავლესობამ ფალავანთა კლუბში, ჭიდაობის ფედერაციაში შეიკრიბნენ. მათი ხელმონერით შედგენილი წერილი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგისადმი** შეკრებილთ გააცნო კახა გეწაძემ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა აღმასკომის რამდენიმე წევრი პოლიტიკოსი და ფედერაციის პრეზიდენტი. პოლიტიკოსებმა საუბარი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანეს, ფედერაციის პრეზიდენტებმა კი ბადრი პატარკაციშვილის ქართული სპორტის წინაშე ღვაწლსაც გაუსვეს ხაზი.

ახლა გთავაზობთ ჟაკ როგთან გაგზავნილი წერილის შინაარსს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს,

ბატონ ჟაკ როგს

ბატონო პრეზიდენტო,

ბატონო აღმასკომის წევრებო,

მოგმართავთ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში და მის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო. მოგეხსენებათ, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს ხელმძღვანელობდა საქართველოში ერთ-ერთი გავლენიანი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი.

მისი არჩევით ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ბატონი ბადრი თავისი ენერგიისა და რესურსების კონცენტრირებას მთლიანად ქართული სპორტის განვითარებაზე მოახდენდა, სამწუხაროდ, მისი უპირველესი ინტერესი საკუთარი პოლიტიკური ამბიციების წარმოჩენა, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისა და მთლიანად ქვეყნის დისკრედიტაცია აღმოჩნდა. ის მუდმივად ანარმევებს პოლიტიკურ კამპანიებს, მუდმივად ხდება როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო სკანდალების მთავარი მოქმედი პირი.

ჩვენ, საქართველოს სპორტული სახეობების ფედერაციების ხელმძღვანელები, აღმასკომის წევრები, ვერ ჩავერთვებით პატარკაციშვილის პოლიტიკურ სკანდალებში. ოლიმპიური კომიტეტის წევრთა უმრავლესობას არ გვსურს ქართული სპორტის ინტერესები მისი მერკანტილური ინტერესების მძევლად ვაქციოთ.

საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას. მიმდინარეობს ინტენსიური ლიბერალური რეფორმები. მთავრობამ სპორტის სფეროს დაფინანსება 400%-ით გაზარდა. ინტენსიურად მიმდინარეობს თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

ბატონ პატარკაციშვილს აქვს სრული თავისუფლება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ არ გვსურს, რომ ის ამავდროულად წარმოადგენდეს ქართული სპორტის მთავარ საერთაშორისო სახეს და ოლიმპიურ კომიტეტს იყენებდეს ცილისმწამებლური კამპანიებისათვის წინის მისანიჭებლად.

შესაბამისად, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წესდების დაცვით, კომიტეტის წევრთა თავისუფალი ნების გათვალისწინებით, აღმასკომის წევრთა უმრავლესობამ შევაჩერეთ პატარკაციშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილება და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოვინვიეთ უმაღლესი ორგანოს, სესიის რიგგარეშე შეკრება ამა წლის 29 ოქტომბერს. ამ რიგგარეშე პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეასრულებს სეოკის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი გოგი თოფაძე.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა.

როგორც გუშინ, საღამოს, სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ტელევიზიით განაცხადა, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში სეოკ-მა უკვე გააგზავნა თავისი საპროტესტო წერილი. ჩვენ შევეცდებით ამ წერილის ტექსტი დღეს მოვიპოვოთ და "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზოთ.

სოჭი 2014

უნიკალური ოლიმპიადა

2014 წლის ზამთრის უნიკალური ოლიმპიადა სოჭში ჩატარდება. უნიკალური იმიტომ, რომ ზამთრის თამაშები ზაფხულის კურორტთან ასოცირდება. თანაც საკმაოდ შორს მისგან - მთებში, კერძოდ კრასნაია პოლიანაში.

გადავხედოთ არცთუ ისე შორეულ წარსულს. კრასნაია პოლიანა საქართველოს ისტორიული კუთხის ჯიქეთის ნაწილია და იმერეთის ველი ეწოდება. ზღვის სანაპიროსთან კი იმერეთის ყურეც არსებობს. თვით სოჭის ოლქი, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ინგლისისა და სხვა "მეგობარი სახელმწიფოების" ზეწოლით, რუსეთს დაუთმო. დაუთმო ნეიტრალური ზონაც" მდინარე მეხადირთან, რაც სათანადოდ გააფორმეს რუსეთის საბჭოთა მოდიფიკაციის იმპერიალისტებმა ლენინ-ტროცკი-სტალინის ხელდასმით. მერე ყოველივე ამას, რატომღაც მხოლოდ გრიგორი (სერგო) ორჯონიკიძეს აბრალებდნენ, რაც არასწორია. რევოლუციის რაინდს არაფერს ეკითხებოდნენ მასზე უფროსი პარტიული ამხანაგები.

ამ შესავლის შემდეგ გთავაზობთ რუსულ ჟურნალ "ოგონიოკის" 1914 წლის 1 ივნისის №22-ში დაბეჭდილ წერილს და უნიკალურ ფოტოს.

21 მაისი 1864 წ. "კბაადეს" (დღეს რომანოვსკი) ველი, წირვის წინ, რომელიც ეძღვნება კავკასიის ომის დამთავრებას. ასწლოვანი პიხტის (ამ ხეს ქართულად სოჭი ეწოდება. რუსულ-ქართული ლექსიკონი. საქ. სსრ. მეც. აკადემიის გამოცემა. თბილისი. 1956 წ. ა.ჯ.) ქვეშ განლაგებულია მეფისნაცვლის დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზის-ძის ბანაკი

კავკასიის დაპყრობის 50-ე წლისთავი

"ორმოცდაათი წლის წინათ ამ ველზე, ან განსვენებულმა დიდმა თავადმა, 25 ათასიანი ჯარის თანდასწრებით, საზეიმოდ გამოაცხადა კავკასიის დაპყრობა, რაც გულისხმობს ამ ზღაპრული მხარის კულტურულ აყვავებას მომავალში (ეტყობა სოჭის ოლიმპიადას გულისხმობდა რომანოვი - ა.ჯ.). წლეულს, იმავე დღეს, იმავე კრასნაია პოლიანაზე, ჩატარდა ჯარების აღლუმი, რომელიც მიეძღვნა ისტორიულ მოვლენას, რომლის დროსაც გამოცხადდა, რომ დაიდგმება ძეგლი კავკასიის ისტორიისთვის დაუვიწყარი დიდი თავიდასა".

საოკუპაციო ცინიზმით აღსავსე ამგვარი მასალა დღესაც ბევრია რუსეთის მასმედიაში, არაფერი არ შეცვლილა. თითქმის არაფერი შეცვლილა საერთაშორისო სპორტის პოლიტიკაშიც" საოლიმპიადო ადგილების შერჩევისას. გავიხსენოთ: 1936 წლის ოლიმპიური ზაფხულისა და ზამთრის თამაშები ერთ ქვეყანაში ჩატარდა - ბერლინსა და გარმიშ-პარტენკირხეში, რაც სოკ-ის წესდებას ენინააღმდეგებოდა. გარმიშ-პარტენკირხენი კი ისტორიულად ავსტრიის ქალაქი იყო.

1936 წლის ბერლინის ზაფხულის ოლიმპიადის დღეებში ანშლიუსის (ავსტრიის მიტაცების) ავტორს, ადოლფ ალოიზის-ძეს, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, მარკიზი დე ბუიე ბელგიიდან უმშვენებდა გვერდს სამთავრობო ლოჟაში. გავა დრო - სამ წელინადზე ნაკლები და ვერმახტი გადაუვლის მარკიზის სამშობლოს (მთელ ევროპასთან ერთად).

სხვათა შორის, ფიურერის მტერ-მეგობარი "ხალხთა მამა" იოსებ ბესარიონის-ძე ამბობდა: "იყო ხელმძღვანელი, ნიშნავს იყო მომავლის განმჭვრეტი". კარგია, თუ ამას სტალინისადმი დამოკიდებულების მიუხედავად, სოკ-ის დღევანდელი ხელმძღვანელებიც გაითვალისწინებენ, რადგანაც სოჭთან დაკავშირებით რუსეთი ახალ პრობლემებს უქმნის საქართველოს, რაც არ არის გამორიცხული, მომავალში უფრო გაძლიერდა.

მოსკოვის ოლიმპიადა 80-ის აჩრდილი დაძრწის მსოფლიოში. ეტყობა, ბარონ დე კუბერტენის ლექსი "ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!" დღეს ბევრს აღარ ახსოვს...

ალექსანდრე ჯინორია

თბილისი

კვირკველია მანუჩარ. დაიბადა 12.10.1978, ოზურგეთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (66 და 74 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2003) და მესამე პრიზიორი (2002), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2002), საფრანგეთის, საბერძნეთის, პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (დისკვალიფიკაცია). ღირსების მედლის კავალერი.

სპორტის აკადემია

გუშინ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყოფილი აკადემიის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა საპროტესტო აქცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გამართეს, შემდეგ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან გადაინაცვლეს მხარდასაჭერად

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანდბური ლეგიონერები

ზაზა და შაკი

„ატლანტა ჰოქსმა“ მეორე საგამოფენო მატჩიც მოიგო. ამჯერად **ზაზა ფაჩულიას** გუნდის მეტოქე „მაიამი ჰიტი“ იყო. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, ანგარიშით 100:100 დასრულდა. ოვერტაიმში მოხდა საინტერესო რამ – შაკილ ონილის გუნდმა ერთი ქულაც ვერ ჩააგდო და 100:106 დამარცხდა.

ზაზა სწორედ გამოცდილი ცენტრის, **შაკის** წინააღმდეგ მოუწია თამაში და 19 წუთში 8 ქულა, 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი ჩაიწერა. ონილმა კი 16 წუთში 10 ქულა და 1 მოხსნა გაიფორმა.

მაიამი-ატლანტა 100:106

27:24, 21:26, 25:26, 27:24, 0:6

მაიამი: **ჰასლემი** (22ქ, 12მ), **ს.პარკერი** (14ქ), **ონილი** (10ქ), **ჩეისი** (11ქ)...

ატლანტა: **ჯონსონი** (21ქ), **სმიტი** (6ქ, 15მ), **მ. უილიამსი** (17ქ), **ფაჩულია** (19წთ, 8ქ, 5მ, 1პ, 1ჩ, 2ფ, 2მ), **ჩილდრესი** (25ქ), **ჰარფორდი** (8ქ), **ლოუ** (8ქ), **შ. უილიამსი** (9ქ), **უესტი** (3ქ), **ე. ჯონსონი** (1ქ)

I მეოთხედი

09:48 ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (4:4)
07:09 ჩაჭრა: 1 (ფაჩულიამ რაიმს ჩაუჭრა)
06:59 პასი: 1 (ჯონსონი 3ქ. 10:12)
04:44 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
04:21 ფაჩულია უილიამსმა შეცვალა

II მეოთხედი

08:07 ფაჩულიამ ჯონსი შეცვალა
07:42 ფოლი: 1
07:42 შეცდომა: 1
07:23 ფოლი: 2
07:23 შეცდომა: 2
06:24 მოხსნა: 1 (დაც:0, შეტ:1)
04:36 ორქულიანი ტყორცნა: 4ქ. (37:45)
04:16 მოხსნა: 2 (შეტ:1, დაც:1)
04:14 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
01:36 ფაჩულია უილიამსმა შეცვალა

III მეოთხედი

10:27 მოხსნა: 3 (შეტ:2, დაც:1)
10:22 ორქულიანი ტყორცნა: 6ქ. (56:50)
09:59 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
09:40 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
08:51 მოხსნა: 4 (შეტ:2, დაც:2)
07:48 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:29 ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:26 მოხსნა: 5 (შეტ:3, დაც:2)
07:25 ორქულიანი ტყორცნა: 8ქ (64:59)
07:02 ფაჩულია პარფორდმა შეცვალა

ხელბური საქართველოს ჩემპიონატი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ცქიტიშვილმა არმანის ჯინსი გააარღვია

იტალიის ჩემპიონატის მესამე ტურში **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამომ“ სენსაცია გამოაცხო – ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს, მილანის „არმანი-ჯინსს“ მისსავე მოედანზე მოუგო (84:79). ქართველი ლეგიონერის კლუბის ყველა წარმატება, რა თქმა უნდა, გაგვეხარდება, მაგრამ, ერთი-ორად სასიამოვნია, როცა იტალიელი ჟურნალისტები სენსაციური გამარჯვების მთავარ შემოქმედად ჩვენიანს ასახელებენ.

ძნელია იტალიელ კოლეგებს არ დაეთანხმო მაშინ, როცა ნიკას მონაგარს ეცნობი: 39 წუთში (ეს ცქიტოს პირადი რეკორდი გახლავთ პროფესიულ კარიერაში) 17 ქულა (8-დან 6 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო), 7 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ცქიტიშვილი მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულში დააყენა და პირველი მეოთხედი სწორედ ქართველის აქტიურობის წყალობით მოიგო – 24:19.

ამის მერე მილანში თანაბარი თამაში გაჩაღდა და გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა: საფინალო სირენამდე ათიოდე წამი რჩებოდა, როცა ბურთი სკიტამ მიიღო და მეტოქის ფარისკენ დაიძრა. „არმანის“ კალათბურთელებმა იგი წესების დარღვევით შეაჩერეს და ქართველიც 79:82 ანგარიშზე („ტერამოს“ სასარგებლოდ) საჯარიმოს ხაზზე დადგა. მას არც ერთი ტყორცნისას ხელი არ აკანკალებია და - 84:79. დარჩენილ დროში მასპინძელმა **გადსონ ჩეინმა** სამქულიანი არაზუსტად სტყორცნა და „ტერამომაც“ სეზონში მეორე მატჩი მოიგო.

ინტერნეტგამოცემა „ლეგაბასკეტის“ მტკიცებით, საფინალო სირენის შემდეგ სტუმართა მწვრთნელი **მასიმო ბიანკი,** მიუხედავად სიმაღლეში დიდი სხვაობისა, ძლივს გამოჰგლიჯეს ნიკოლოზ ცქიტიშვილს. აი, რა თქვა გახარებულმა მწვრთნელმა: „*დღეს დავამტკიცეთ, რომ იტალიის ჩემპიონატში დონე საგრძნობლად ამაღლდა. „ტერამო“ წელს უმაღლეს მიზნებს არ ისახავს, მაგრამ აშკარაა, რომ არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს. დღეს თუქერმა ჩვეული სიზუსტით ისროლა, პაუელი ერთ-ერთი ლიდერი იყო, ხოლო სკიტა – საუკეთესო.*“

გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ ყველაზე მაღალი შეფასება ნიკა ცქიტიშვილს დაუწერა – 8.5 (10-ბალიანი სისტემით), მეორე იყო **თუქერი** – 7.5 ქულა. იქვე ვკითხულობთ: „*სკიტამ შესანიშნავად იმუშავა. მისი მოხსნებისა და სწრაფი გარღვევების წყალობით, ტერამოელები სწრაფად დაეუფლნენ უპირატესობას. ხოლო მილანელებმა მატჩის ბოლომდე ვერ მონახეს ხერხი ქართველის გასანეიტრალებლად.*“

ვახტანგ ტყეშელაშვილი

ნიკა ცქიტიშვილი არმანის წინააღმდეგ

ჩოგბური

ჩახნაშვილიც გაპარდა

24 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (166) ფრანგულ ჟუ ლე ტურში 50-ათასიანი ტურნირის მერვედფინალი წაგო მეხუთე ნომრად განთესილ გერმანელ **იულია გორგესთან** (134) - 3:6, 3:6. თუმცა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი წყვილთა თანრიგში აგრძელებს ასპარეზობას, ის, ესტონელ **მარგიტ რუუტელთან** (214) ერთად, მეოთხედფინალშია გასული, სადაც მეორე ნომრად განთესილ ჩეხურ წყვილს (**ზაჰლავოვა, ჩეტკოვსკა**) ხვდება. გორგესი ქართველ ჩოგბურთელთა რისხვა გახდა, წლის დასაწყისში მან სამ სეტში მოუგო **სოფიო მელიქიშვილს**. მაკა ჩახნაშვილი კვლავ საფრანგეთში დარჩება, სადაც სან რაფაელის 50-ათასიან ტურნირში ითამაშებს, ოღონდ მას ასპარეზობა საკვალიფიკაციო ბადიდან მოუნევს. ჟუ ლე ტურში მაკამ შარშანდელი შედეგი გაიმეორა, მაშინაც ქართველი მერვედფინალში დამარცხდა **ვირჟინ რასანოსთან**.

ნ. ნ.

თბილისი აგებს და ჭიჭეს იმაჭებს

ქუთაისი-მამული 25:30

ქუთაისი: **შიშინაშვილი, ნიქაბაძე, სიხარულიძე** (4), **დოლაკიძე** (1), **ნიკურაძე** (7), **გობეჯიშვილი** (5), **ჯავახაძე** (2), **თუთბერიძე, ადამია** (3), **ჩხეიძე, კიზირია, თათვიძე** (3), **ტულუში, ჯანაშია**

მამული: **ხონელიძე, ვახანია, ბიდოდაშვილი, ცოტაძე** (7), **ჩაჩანიძე, მ. ქუთათელაძე** (2), **თეორუაშვილი** (3), **გველესიანი** (5), **კვერნაძე** (8), **კერესელიძე** (5)

თბილისი-სტუ/თელავი 19:20

თბილისი: **ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე, ულენტი, ფორაქიშვილი, ქარდავა** (2), **წივნივაძე** (8), **სამარღანიშვილი, ქირია** (3), **ღალინიძე** (1), **ყაველაშვილი, მაისურაძე** (1), **გელაშვილი** (4), **ქუთათელაძე**

სტუ-თელავი: **სამყურაშვილი, თევზაძე, გოგალაძე, ქობელაშვილი, ა. ყიფიანი** (1), **ნიკოლაიშვილი, ბერძენიშვილი, ზაალიშვილი, გ. კობახიძე** (7), **ი. ჩიქოვანი** (1), **მ. კობახიძე** (5), **ო. ყიფიანი** (1), **ტალახაძე** (5)

მსაჯები: **ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი**

წინა ტურებისაგან განსხვავებით, "მამულმა" საკადრო პრობლემები მეტნაკლებად მოაგვარა. ხელბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმაც გულმოწყალება გამოიჩინა და გუნდის ორ წამყვან ხელბურთელს (კვერნაძე და თეთრუაშვილი), წინა მატჩში მიღებული წითელი ბარათები დისკვალიფიკაციად არ შეუფასა.

სრული შემადგენლობით და საკმაოდ მონდომებულად გამოვიდა მოედანზე "ქუთაისიც", რომელიც მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვებისთვის იბრძოდა. კაცმა რომ თქვას, ქუთაისელები ამასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ წაგება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაბრალონ.

მატჩი "ქუთაისის" მცირე უპირატესობით დაიწყო. **გია თავხელიძის** შეგირდები საწყის წუთებზე ორჯერ დაწინაურდნენ ორბურთიანი სხვაობით. თუმცა მერე "მამულიც" ამოქმედდა, წინ გაიჭრა და აქეთ შესთავაზა მეტოქეს მდევრის როლი. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდი ფრთხილად თამაშობდა დაცვაში. თუკი გამოკვეთილ ფავორიტებთან მათი დაცვა უმეტეს შემთხვევებში დროულად უკან დახევას ვერ ასწრებდა, გუშინ ასეთი მომენტები არც ისე ბევრი იყო.

"ქუთაისი" თამაშიდან თამაშამდე უმატებს, მაგრამ მაინც ძალიან ბევრ ელემენტარულ შეცდომას უშვებს. გუშინ კი ყველაზე მეტად პენალტების გამოუყენებლობამ დააღალატა რიონისპირელები. "მამულის" კარში მათ გუშინ ათი პენალტი დაარტყეს, საიდანაც 8 (!) ვერ გამოიყენეს. არადა, ცოტა ზუსტად რომ ერტყათ, მინიმუმ, არ წააგებდნენ. დიდებულად ირჯებოდა "მამულის" გოლკიპერი **ალექსანდრე ხონელიძე,** რომელმაც ერთბაშად 4 ვიდმეტრიანი და კიდევ ათამდე რთული ბურთი მოიგერია. აქვე, მისი ქუთაისელი კოლეგა **დავით შიშინაშვილიც** უნდა შევაქოთ, რომელმაც 19-ჯერ არ დაანება მეტოქეს გოლი გატანა.

პირველი ტაიმის მიწურულს, ჯერ **კერესელიძე** გააძევეს ორი წუთით, მერე კი **ჯავახაძესთან** უხეშობისთვის, **ხონელიძეც** გაუყენეს მის გზას. ამით კარგად ისარგებლა "ქუთაისმა" და მინიმუმამდე შეამცირა სამბურთიანი ჩამორჩენა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი თავად დაწინაურდა ორი ბურთით. თუმცა ჭაბუკი ქუთათურები ბოლოს დაიღალნენ, შეცდომებს უხშირეს და ხუთბურთიანი სხვაობით წააგეს.

ისე, მესამე წრიდან, ქუთაისელები რამდენიმე ადგილობრივი ვეტერანი ხელბურთელის დამატებას აპირებენ და აქედანვე იჭერენ თადარიგს, რომ სეზონის ბოლოს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავდეთ, რათა "მამულს" აჯობონ "ბრინჯაოს ფლეიოფში".

მეორე წრის დამაგვირგვინებელი მატჩი კი იყო "თბილისი" - სტუ-"თელავი". პირველი წრის ბოლოს, "თელავმა" საკმაოდ იოლად, ათბურთიანი სხვაობით მოუგო უშუალო კონკურენტს. ამდენად, გუშინ უნდა გამოჩენილიყო, არის თუ არა რეალურად "თბილისი" მზად საიმისოდ, რომ ნლეულსაც ბოლომდე ებრძოლოს სტუ-ს ჩემპიონობისთვის.

სანამ მატჩის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, ჯერ ის ვთქვათ, რომ "თბილისის" თავკაცი **მამუკა მჟავანაძე** არც გუშინ იჯდა სათადარიგოთა სკამზე. როგორც იცით, იგი ახლახან დაინიშნა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად და ტრიბუნებიდან აკვირდებოდა ნაკრების კანდიდატებს. გუნდის დამოძღვრა კი **ტიტე კალანდაძემ** ითავა, რომელიც ტრავმას მკურნალობს და"თბილისთან" ერთად ვარჯიშობს. როგორც გუშინ მამუკა მჟავანაძემ გვითხრა, მესამე წრიდან მინიმუმ, სეზონის ბოლომდე, ტიტე მის გუნდში ითამაშებს. ოთხი ქვეყნის ჩემპიონის, უდიდესი გამოცდილების მქონე კალანდაძის დამატება კი ფრიად სერიოზული ძალა იქნება "თბილისისთვის". ამას გარდა, ამ დონის ხელბურთელის გვერდით თამაში, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეებისთვის ერთგვარი სტიმულიც იქნება. თავად ტიტეს თქმით კი, თუკი სეზონის ბოლოს სრულიად გამოჯანმრთელებული იქნება, ისევ უცხოეთს მიაშურებს, თუ არადა გაისადაც საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს...

მატჩის დებიუტში, **წივნივაძემ** და **ტალახაძემ** ორ-ორი გოლი გაიტანეს და თითქმის მთელი ტაიმი გოლი-გოლზე მიმდინარეობდა. ამასთან, "თბილისიც" და სტუ-ც მაქსიმალურად ყურადღებით ირჯებოდნენ დაცვაში, რის გამოც არც ისე ბევრი გოლი გადიოდა. პირველი ნახევრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე, ტაბლოზე მხოლოდ 6:6 ენთო. ამ მომენტში, სტუ-ს თავკაცმა **ირაკლი კეკელიძემ** მოედანზე შეუშვა ეროვნული ნაკრების პირველი მეკარე **შოთა თევზაძე,** რის შემდეგაც "თბილისს" გვარიანად უჭირდა მეტოქის კარის დალაშქვრა. შოთამ 13 დარტყმა მოიგერია და მათ შორის, ორი პენალტი. გაცილებით დიდი სამუშაო გაწია "თბილისის" გოლკიპერმა **კორნელი ანდრიაძემ**, რომელმაც 21 (!) ბურთი უკუაგდო...

მეორე ტაიმში, "თბილისმა" ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილა და საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ ყველაფერი ბოლო წამებზე უნდა გადაწყვეტილიყო. შეხვედრის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე, ჩემმა სარბიელელმა კოლეგამ მითხრა - აი, ნახე, ყველაფერს ერთი გოლი გადაწყვეტსო და მართლაც ასე მოხდა.

კულმინაცია დაიწყო მატჩის დამთავრებამდე 2:04 წუთით ადრე, როდესაც თბილისელი **ომარ ქუთათელაძე** მეტოქეს ეუხეშა და პენალტი "აიკიდა", თავად კი ორი წუთით გააძევეს. ვიდმეტრიანი **გიორგი კობახიძემ** გაიტანა და სტუ-"თელავი" 19:18 დანინაურდა. იქვე, გიორგის ძმამ - **მამიამაც** გაიტანა, ანგარიში გახდა 20:18 და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მატჩის ბედი სწორედ ძმებმა კობახიძეებმა გადაწყვიტეს. თუმცა ბოლოს თევზაძემაც იყოჩაღა.

მამია კობახიძის გოლის შემდეგ, ორი წუთით გააძევეს **ღაღანიძეც** და თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო, მაგრამ ხუთკაციანმა "თბილისმა" კინაღამ სასწაული მოახდინა. წუთნახევრით ადრე, წივნივაძემ მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა, შემდეგ კი ანდრიაძემ მოიგერია რთული დარტყმა. შესაბამისად, მატჩის დამთავრებამდე 30 წამით ადრე, ბურთი "თბილისს" დარჩა, სწრაფად გადავიდა შეტევაზე და **ლევან გელაშვილი** დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ თევზაძეს ვერ აჯობა. საპასუხო შეტევაში, ანდრიაძემ კიდევ ერთი ბურთი აიღო და უკანასკნელი შანსი მისცა თანაგუნდელებს, მაგრამ დარჩენილ 7 წამში, "თბილისმა" ბურთი დაკარგა და იქვე საფინალო სირენის ხმაც გაისმა.

კვირას, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები შეკრებას შეუდგებიან მოახლოებული "ჩელენჯ ტროფისთვის". ჩემპიონატის მესამე წრეკი გაიმართება ნოემბერში, სანაკრები ბატალიების დამთავრების შემდეგ.

კობა ხატისაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
სტუ/თელავი	6	6	0	0	+115	12
თბილისი	6	4	0	2	+112	8
მამული	6	2	0	4	-88	4
ქუთაისი	6	0	0	6	-139	0

გოგბარდირები: ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი - 81), გიორგი წივნივაძე (თბილისი - 53), ვანო ქარდავა (თბილისი - 49)

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

მომავალი შეფი მხარს გვიჭერს



ბერნარ ლაპასე

მოგეხსენებათ, 2011 წლის მსოფლიო თასის ფორმატი საყოველთაო განხილვის საგანია. IRB ახალ ზელანდიაში გასამართი ტურნირისთვის მონაწილეთა 16-მდე შემცირებას გეგმავდა, თუმცა საფრანგეთში საქართველოს და მისი დარი, აუტსაიდერებად შერაცხული ნაკრებების კარგი თამაშის გამო, მსოფლიო რაგბის შეფობა დილემის წინაშე დადგა. შემცირების ერთ-ერთ საბაბად უთანასწორო თამაშების სიმრავლეს ასახელებდნენ, ახლა კი ეს პრობლემა ლამის თავისთავად მოიხსნა, უსუსური ნაკრები ამ მსოფლიო თასს ერთიც არ ჰყოლია. ფორმატის შეცვლა უპირველესად საქართველოს ნაკრების შანსებზე იმოქმედებს უარყოფითად, თუმცა, მოულოდნელად, ჩვენ და სხვა ჯუჯა სარაგბო ქვეყნებს დამცველად საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** გამოგვიჩნდა, რაც ყველაზე მთავარია, ლაპასემ ერთ კვირაში პენსიაზე გასასვლელად გამზადებული IRB-ის შეფი **სიდ მილარი** უნდა შეცვალოს.

"მე მსურს მსოფლიო თასზე კვლავ 20 ნაკრები თამაშობდეს, რადგან გუნდების შემცირება რაგბის საერთაშორისო განვითარებას ხელს შეუშლის. 2011 წელს მსოფლიო თასი ზელანდიაში გაიმართება, სამწუხაროდ, მსოფლიო თასზე ჯერ კიდევ გვხვდება უთანასწორო თამაშები. არ ვარ დარწმუნებული, რომ ზელანდიელი მაყურებლები არ მიატოვებენ ტრიბუნებს, როდესაც ტაბლოზე უკვე დიდი ანგარიში იქნება დაფიქსირებული. ქვეყანა პატარაა, მოსახლეობა - ცოტა. პრობლემის არსი კარგად მესმის, მაგრამ რაგბი საერთაშორისო თამაშია და 20 ნაკრები მსოფლიო თასზე სასიცოცხლოდ საჭიროა მისი განვითარებისთვის. მომავალ კვირაში ამ თემაზე ზელანდიური რაგბის შეფ ჯოკ ჰობსთან ვისაუბრებ პარიზში", - განაცხადა ლაპასემ, რომელმაც ასევე დამატა რომ ჯუჯა ქვეყნებმა საფრანგეთში გამოსვლით მსოფლიო თასის ფორმატის არშეცვლის უფლება მოიპოვეს. მისი თქმით, შემცირების მთავარი ინიციატორი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირია, რომელიც დიდ ზეწოლას ახორციელებს სხვა ქვეყნის კავშირებზე. ლაპასე იმასაც წუხს, რომ ახალი ფორმატის წყალობით მსოფლიო თასი იაპონიას დაკარგავს, შესაბამისად კი - მილიონობით ტელემაყურებელს.

სხვათა შორის, უფრო მტკიცე პოზიცია უჭირავთ ავსტრალიელებს. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ: *"ავსტრალია არ დაუჭერს მხარს ნაკრებთა რიცხვის შემცირებას, ჩვენ გვსურს ისევ 20"*.

IRB-ის გენერალური ასამბლეა პარიზში გაიმართება 14-15 ოქტომბერს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რაფაელ მარტინეტი

მარტინეტის სტუმრობა

საქართველოში არაოფიციალურ ვიზიტად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** იმყოფება. მას ერთი კვირით საქართველოში დასვენება გადაუწყვეტია, თუმცა ახალჩამოსულ სტუმარს არც დასვენება აცალეს და ვიზიტიც ოფიციალურ ჩარჩოებში მოაქციეს - ჭიდაობის ფედერაციაში ჩინმაღალი სტუმარი მედიას წარუდგინეს.

ფედერაციის ოფისში მისულმა სტუმარმა თავდაპირველად სავარჯიშო დარბაზი მოინახულა, სადაც იმუამად "ანტიკოსები" ვარჯიშობდნენ **ოთარ ტატიშვილის** ხელმძღვანელობით. სწორედ იქ გაირკვა, რომ თურმე სტუმარი თბილისში საჩუქრით, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **კახა გენაძისთვის** განკუთვნილი FILA-ს მედლით ჩამოსულა, რომელიც ადრესატს დარბაზშივე გადასცა ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

ამის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ჟურნალისტთა თანხლებით საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს, გზად კი მარტინეტმა ფედერაციაში ახლახან გაკეთებული ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონთა სტენდიც დაათვალიერა. კახა გენაძემ და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** სტუმარს მიღნეულ წარმატებებთან ერთად ისიც გააცნეს, რა დახმარებას უწევს ხელისუფლება ჭიდაობას და მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილიც გამოთქვეს. ამაზე მარტინეტმა მოგვიანებით უპასუხა, რომ ამ უფლების მოსაპოვებლად საჭიროა, საქართველომ ჯერ უფრო დაბალი რანგის, მაგრამ საერთაშორისო სტატუსის რომელიმე შეჯიბრებას უმასპინძლოს, სადაც ჩვენს ორგანიზაციულ უნარსაც შეამოწმებენ და გამოცდილებასაც მივიღებთ. მიუღწეველი რომ არაფერია, ამის მაგალითად აზერბაიჯანის მაგალითი დაასახელა, რომელმაც სექტემბერში მსოფლიო პირველობას უმასპინძლა.

თავის გამოსვლაში მარტინეტმა ქართველ მოჭიდავეებს სწორედ ბაქოში მოპოვებული წარმატებები მიულოცა, ქართული ჭიდაობის მდიდარ წარსულზე ისაუბრა და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

ირაკლი თავაძე

პირველი სვლა გაკეთებულია!

ნუგზარ სუარძის ფოტოები

ნონა და ზურაბ აზმაიფარაშვილი საჭადრაკო აკადემიას ხსნიან

მარინა მილორავა

10 ოქტომბერი ამიერიდან ქართულ სპორტულ კალენდარში ქართული ჭადრაკის დღედ ჩაიწერება და ყოველწლიურად აღინიშნება: დაჯილდოვდებიან და პატივი მიეგებათ ჭადრაკში ნარმატებულ სპორტსმენებსა თუ მწვრთნელებს, ჩინოვნიკებს, ფუნქციონერებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც კი რითიმე შეეწია ამ სახეობის განვითარებას.

თბილისის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით, რომლის პრეზიდენტი ქალბატონი **მარინა მილორავაა**, და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანადგომით, საუკეთესოების გამოსავლენად კენჭისყრა გაიმართა - შეჯიბრებების დროს მოჭადრაკეთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და გულშემატკივართა შორის. ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვაც.

ქართული ჭადრაკს საუკუნეების ისტორია აქვს და უამრავი დიდი მოჭადრაკე თუ მწვრთნელი ჰყოლია, თუმცა ამჯერად საუკეთესოების გამოვლენა დამოუკიდებელი საქართველოს 15-წლიან ხანას მოიცავდა.

აღსანიშნავია, რომ ჭადრაკის სფეროში სოციოლოგიური გამოკითხვა პირველად ჩატარდა. იმედი გვაქვს, რომ კვლევები მომავალშიც გაგრძელდება, რაც ქართულ ჭადრაკს მნიშვნელოვნად წაადგება... გამოკითხვის შედეგები მცირე წიგნად, ბუკლეტის სახით, აიკინძა და გულშემატკივარს ცნობარის მაგივრობას გაუწევს.

10 ოქტომბერს სწორედ ამ გამორჩეულ მოღვაწეთა დაჯილდოება მოხდა, თუმცა ამ ღონისძიებამდე მთელი დღის განმავლობაში ჭადრაკის მოყვარულებმა, პროფესიონალებმა და უბრალო გულშემატკივრებმა ერთობლივი თამაშის სეანსებში მიიღეს მონაწილეობა, ჩატარდა ასევე ბლიც-ტურნირი.

სეანსში მონაწილეობა მიიღეს დიდოსტატებმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ლაშა ჯანჯღავამ, დავით არუთინიანმა** და **ლევან არაშიძემ**. მათი მეტოქეები ძირითადად ნორჩი მოჭადრაკეები იყვნენ, თუმცა ძველი თაობის წარმომადგენლებსაც შეხვდებოდით და არც მოყვარულების სიმცირე იგრძნობოდა.

ზეიმს პოლიტიკოსთა გარეშეც არ ჩაუვლია - ხელისუფლებისა და ოპოზიციის ცალკეულ წევრებს შეამჩნევდით დარბაზსა თუ საჭადრაკო მაგიდებთან. თქვენ წარმოიდგინეთ, მშვიდად თანაარსებობდნენ... დაჯილდოების ცერემონიალზე ბატონი **გიგი ნერეთელიც** მობრძანდა, რომელმაც ყველას მიულოცა ჭადრაკის დღის დაარსება და იმედი გამოთქვა, რომ დღესასწაული ტრადიციად დამკვიდრდება.

დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენა საჭადრაკო აკადემიის გახსნა გახლდათ, რომელმაც ბინა ჭადრაკის სასახლეში დაიდო. ასეთი ტიპის საჭადრაკო სკოლას პოსტსაბჭოურ სივრცეში ანალოგი არა აქვს, მსოფლიოში კი მხოლოდ ორია - ბერლინსა და სინგაპურში. სხვათა შორის, ამ სასწავლებლის დაარსება ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელშეწყობითა და დაფინანსებით გახდა შესაძლებელი. ასეთი ჟესტი კი ქართული ჭადრაკის უდიდესი ისტორიისა და ნარმატებებისადმი პატივისცემის ნიშანია უპირველესად. ცხადია, ყველა სასწავლებლის მიზანია, მაღალკვალიფიციური მოჭადრაკეები მოამზადოს და არც ქართული აკადემია იქნება გამონაკლისი და ალბათ მალევე ვიხილავთ შრომის ნაყოფს.

აკადემიის გახსნას დაესწრო ღონისძიების ერთ-ერთი სპონსორი, ბატონი **მაირ მამედოვი**, რომელიც აზერბაიჯანული ნავთობკომპანია "სოკარის" წარმომადგენელია საქართველოში, ამავე დროს ევროპის ჭადრაკის ასოციაციის ხაზინადარიც ბრძანდება. სპონსორზე ჩამოვარდა სიტყვა და უპირველესად უნდა გამოვარჩოთ ზეიმის გენერალური სპონსორი, სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავი", რომლის პრეზიდენტი ბატონი **ზაზა რაზიკაშვილია**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ოლიმპიური ვარსკვლავის" მხარდაჭერა იყო უმთავრესი პირობა, საჭადრაკო დღის დაფუძნებისა. დღესასწაულზე ბატონმა ზაზამ მოსვლა ვერ შეძლო, მაგრამ სანაცვლოდ ამ კომპანიის სახეები, ოლიმპიური ჩემპიონები - **ზურაბ ზვიადაური** და **გიორგი ასანიძე** მობრძანდნენ.

მადლობა ეკუთვნით ჰიპერმარკეტ "გუდვილის" მესვეურებსაც, რომლებმაც ულამაზესი საჩუქარი - საჭადრაკო ორნამენტებით მორთული ტორტი მიართვეს ორგანიზატორებს, ამას გარდა, საზეიმო სუფრის განყობაც თავის თავზე აიღეს.

ცერემონია ძალიან საინტერესოდ წარიმართა: ნომინანტების დაჯილდოებას ლამაზად ენაცვლებოდა თბილისის 23-ე საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "ჩირაღდანი" (ხელმძღვანელი **ნუგზარ კაპანაძე**) და რესპუბლიკის ესთეტიკურ ცენტრთან არსებული ხალხური სიმღერის ანსამბლი "ბიეთი" (**ციური მჭედლიძე**).

პირველად საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდი დაჯილდოდა, რომელმაც დამოუკიდებლობის ხანაში საუკეთესო ქალთა ნაკრების ნომინაციაში გაიმარჯვა. 1992 წლის ნაკრები აღიარეს საუკეთესოდ: **ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი** (კაპიტანი **ნანა ალექსანდრია**). მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი საქართველოში არ იმყოფებიან. ჯილდო - სპეციალური დიპლომი, ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა ჩაიბარა, თუმცა დიპლომები გუნდის დანარჩენ წევრებს მომავალში გადაეცემა.

ვაჟთა საუკეთესო ნაკრები 2003 წელს ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილის მფლობელი შემადგენლობაა: **ზურაბ აზმაიფარაშვილი, გიგა ყაჭეიშვილი, ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი,** კაპიტანი **ზურაბ სტურუა**.

საუკეთესო ქალ მოჭადრაკედ ლეგენდარული **მაია ჩიბურდანიძე** დასახელდა; საუკეთესო ვაჟ მოჭადრაკედ **ზურაბ აზმაიფარაშვილი** აღიარეს.

საუკეთესო მწვრთნელი **ლაშა ჯანჯღავაა**, საუკეთესო კაპიტანი - **ნანა ალექსანდრია**, არბიტრები - **ევგენი მელიქსედ-ბეგი** და **ლელა თანდაშვილი** მიიჩნიეს. პარიტეტი იქნა დაცული საუკეთესო ფუნქციონერის გამოვლენისასაც - აქ **ნანა ალექსანდრიამ** და **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** გაიმარჯვეს. საუკეთესო ორგანიზატორად ქალბატონი **მარინა მილორავა** აღიარეს, საუკეთესო საჭადრაკო კომპოზიტორად კი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონ საჭადრაკო კომპოზიტორი ბატონი **დავით გურგენიძე** დასახელდა.

ქართული ჭადრაკისადმი გაზეთ "ლელოს" ტრადიციულად განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მის ფურცლებზე სისტემატურად შუქდებოდა საჭადრაკო ცხოვრება. როგორც ჩანს, გულშემატკივრებს და საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენლებს ეს ფაქტი არ გამორჩენიათ და ჯეროვნად დააფასეს ამიტომ საუკეთესო სპორტული ჟურნალისტის პრიზი თქვენს მონა-მორჩილს ერგო. შეგახსენებთ, რომ ყველა ნომინაცია დამოუკიდებლობის პერიოდში საუკეთესების დასახელებას ითვალისწინებდა.

ჭადრაკისთვის განეული დახმარებისთვის სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტი **ზაზა რაზიკაშვილი**, ევროპის ჭადრაკის ფედერაციის ხაზინადარი **მაირ მამედოვი**, შპს "გუდვილის" გენერალური დირექტორი **ნუგზარ მაღულარია** და წარსულში ცნობილი მოჭადრაკე და საჭადრაკო ფუნქციონერი, ბიზნესმენი **კახი ჩიგოგიძე**.

მშვენიერი სიმღერებითა და ცეკვებით გაჯერებული საღამო ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა. ბოლო აკორდად კი ალაფურმეტი იქცა, სადაც დიდებული ქართული ღვინით დაილოცა ახალი ტრადიციის ფუძის ჩაყრა.

პირველი სვლა გაკეთებულია!

ზვიად შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეივერი ჯონსონი (მარცხნივ)

რეგულარული ჩემპიონატის წინ

დალასი თუ სან ანტონიო?

ᲢᲔᲮᲐᲡᲨᲘ დიდი სამკუთხედი შეიკრა. თუ წინა წლებში, ტიტულისთვის მებრძოლთა შორის **გრეგ პოპოვიჩის** "სან ანტონიო სპურსი" და **ეივერი ჯონსონის** "დალას მავერიქსი" იყვნენ, ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკით, წლეულს ეს დუეტი ტრიოდ უნდა იქცეს. **ლუის სკოლას, სტივენ ფრენსისის, მაიკ ჯეიმსისა** და კიდევ ორისაში ნორმალური მოთამაშის დამატებით, "ჰიუსტონ როკეტსაც" საჩემპიონო მადა გაეხსნა, თუმცა ამ ეტაპზე, **იაო მინისა** და **ტრეისი მაკგრეიდის** გუნდის გასწვრივ, ჯერაც ბევრი კითხვის ნიშნის დასმა შეიძლება. "სპურსი" და "მავერიქსი" კი შარშანდელივით თავიდანვე ჯანზე უნდა იყვნენ და საპლეიოფოდაც დაიქუხებენ.

■ ■ ■

"სან ანტონიომ" არავინ დაიმატა. უფრო სწორად, **იმე უდოკა** შეუერთდა მოქმედ ჩემპიონებს და დანარჩენი, რითაც "სპურსი" გამოირჩა, **ბრიუს ბოუენთან** ხელშეკრულების გახანგრძლივება იყო. ლუის სკოლას "ჰიუსტონისთვის" დათმობა პოპოვიჩმა იძულებით ნაბიჯად მიიჩნია, თუმცა, "სპურსში" არგენტინელს რომ გაცილებით ნაკლები სათამაშო დრო ექნებოდა, ესეც ფაქტია.

"სან ანტონიომ" საჩემპიონო სეზონებში დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, გუნდი განსაკუთრებით ძლიერად ატარებდა "ოლ სტარის" უიქ ენდის შემდგომ პერიოდს. როგორც წესი, ამ დროს სან ანტონიოში დიდი როდეო იმართება და გუნდსაც იძულებით, ორი კვირის განმავლობაში გასვლითი სერიის ჩატარება უწევს. პოპოვიჩის თქმით, სწორედ ეს ხანგრძლივი ტურნე კრავს გუნდს და პლეიოფისთვის თავის პიკზე გადის.

■ ■ ■

რაც შეეხება "დალასს", შარშან გუნდმა თავიდან ისე აკრიფა, "ჩიკაგო ბულზის" რეკორდის (სეზონში 72 მოგება) გაუმჯობესებაც კი რეალურად მოჩანდა, მაგრამ მერე და მერე, **დირკ ნოვიცკიმ** და მისმა საძმომ ტემპს უკლეს, პლეიოფში კი გუნდი გუნდს აღარ ჰგავდა.

რა პერსპექტივა აქვს წლევანდელ სეზონში "მავერიქსს"?

ჯონსონის მოთხოვნით, გუნდის მფლობელმა **მარკ კიუბანმა** უკანახაზელ **დევინ ჰარისს** იმაზე დიდი კონტრაქტი გაუფორმა, ვიდრე ეს ახალგაზრდა იმსახურებდა. სხვა გზა არ იყო, რადგან წელიწადის მერე, ჰარისი შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი ხდებოდა და სხვა გუნდში რომ გადასულიყო, "დალასს" მასში იქნებ ერთი ხეირიანი მოთამაშეც კი ვერ მიეღო.

ჰარისს გამთამაშებლობა დაეკისრება, რაც მისთვის ზედგამოჭრილი ნამდვილად არ არის. დევინს გამოსწორებული აქვს სამქულიანის პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა მისი დაცვა ჯერაც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გავიხსენოთ თუნდაც ბოლო პლეიოფი. "გოლდენ სტეიტმა" "დალასს" პირველივე წრეში რომ აჯობა, ამის ერთ-ერთი მიზეზი **ბაირონ დევისის** მხრიდან ჰარისის ყველა კომპონენტში დაჩაგვრა იყო.

წელსაც ძალიან ბევრი რამ დირკ ნოვიცკიზე იქნება დამოკიდებული.

ამჯერადაც "გოლდენ სტეიტთან" სერიას დავუბრუნდეთ, სადაც გერმანელი ფორვარდი მთელი მატჩის განმავლობაში თავისი ყოფილი დამრიგებლისგან, **დონ ნელსონისგან** უამრავ სიურპრიზს იღებდა. შეხვედრის დასაწყისში დირკს **ელ ჰარინგტონი** მეურვეობდა, რომელსაც შემდეგ ლატვიელი **ანდრის ბიედრინსი** ენაცვლებოდა და თუ ეს უკანასკნელი კორექტულად თამაშს ახერხებდა, მაშინ მატჩის ბოლომდე დირკზე ეს ორი მოთამაშე იყო მიმაგრებული. თუ ბიედრინსი ნოვიცკისთან ჭიდილში სწრაფად იღებდა პერსონალურებს, მაშინ "გოლდენ სტეიტის" მწვრთნელები მოედანზე ხუთ "პატარა" უშვებდნენ და ნოვიცკის იმდენად მჭიდრო პრესინგით ეთამაშებოდნენ, რომ ეს უკანასკნელი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

ნოვიცკიმ ევროპის ჩემპიონატზე თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა, ჯონსონის ერთ-ერთი ასისტენტის თქმით, დირკი საწვრთნელ ბანაკში მაინც გამოფიტული ჩავიდა. "დალასში" შვებით ამოისუნთქეს, როდესაც ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, დირკმა აღნიშნა, სანაკრებო გამოსვლისგან მომდევნო ორი წლის განმავლობაში თავს შევიკავებ, რადგან გადავილალე და ენერგიის აღდგენა მსურსო.

"მავერიქსის" სუპერვარსკვლავმა სამწამიანში მეტი მონდომებითა და ჟინით თამაში თუ არ ისწავლა, "დალასს" პლეიოფში ამჯერადაც კარგი არაფერი ელის. დირკს აქვს იმის ჯანი და მოქნილობა, რომ ორივე კომპონენტის ხარჯზე ოპონენტებს აჯობოს. თავისთავად, როდესაც "დალასი" "სან ანტონიოს" ეთამაშება, "მავერიქსის" სამწვრთნელო შტაბი დირკს **ტიმ დანკანზე** არ გეშავს, რადგან ამ შემთხვევაში დაცვაში იმხელა ენერგიას ხარჯავს, რომ შეტევაში მისი ფასი კაპიკი ხდება. ეს არაერთხელ მომხდარა და ჯონსონი "სპურსთან" დაპირისპირებაში, დანკანის წინააღმდეგ კვლავ **ერიკ დემპიესა** და **დესაგანა დიოპის** აგრესიულ ტანდემს დააყენებს.

"დალასის" სუსტი წერტილი რამდენიმე ლიდერის ასაკიცაა. **ჯერი სტექჰაუზი** დღესაც 12-13-ქულიანი მოთამაშეა, მაგრამ მას შარშან ზურგი ტკიოდა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მატჩი არ გამოუტოვებია, სტექჰაუზი საწვრთნელ შეკრებაზე გადაღლილი ჩავიდა. და კიდევ, გუნდი **ოსტინ კროშირმა** დატოვა.

■ ■ ■

გადავიდეთ "სან ანტონიოზე". პოპოვიჩმა **რობერტ ორის** ჩემპიონობისთვის ერთხელაც გაბრძოლების მოტივაცია შეუნარჩუნა და ეს ბებერი კაცი პლეიოფში ერთხელაც შეგვახსენებს, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი მეფლეიოფე და "სპურსის" ოპონენტების მესაფლავეა.

"სან ანტონიოს" მთავარი და ალბათ, ერთადერთი პრობლემა ასაკია.

ორი, ტიმ დანკანი, ბოუენი, **ბრენტ ბერი, მაიკლ ფინლი** და **ფრანსისკო ელსონი** 30 წელს გადაცდნენ და წლების მატებასთან ერთად, მათი პროდუქტიულობა თუმც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იკლებს.

უკვე მესამე წელიწადია, პოპოვიჩი მაქსიმალურად უფრთხილდება დანკანს, რათა ეს უკანასკნელი პლეიოფს დაულელი და საუკეთესო ფორმაში შეხვდეს. პრინციპში, ტიმი მწვრთნელს ყველა მითითებას ზედმიწევნით უსრულებს, რადგან დანკანი არასოდეს ყოფილა ინდივიდუალურ სტატისტიკაზე შეყვარებული ვარსკვლავი. თავის 20 ქულას, 10 მოხსნასა და 3 პასს (ორ დაფარებასთან ერთად) ის წლეულსაც გამოიმუშავებს, მერე კი პლეიოფში ამ სტატისტიკურ მონაგარს აუცილებლად გაზრდის.

მაიკლ ფინლიმ "კლივლენდთან" სერიის დამთავრებისთანავე კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, ერთი თვის მერე კი გადაიფიქრა და განაცხადა - "სპურსში" ერთხელაც უნდა გავჩემპიონდე და ამის გამო ერთი სეზონითაც დავრჩებიო

როგორ ფორმაში იქნება ნაქორნილარი და ევროფორუმით დაქანცული



გრეგ პოპოვიჩი

ტონი პარკერი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული იქნება, რადგან ტონის მართლაც გადატვირთული ზაფხული ჰქონდა.

პარკერი, დანკანი და **მანუ ჯინობილი** დღესაც ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს ტრიოს ქმნიან და თუ მათ **ფაბრიციო ობერტოს**, მანამდე ჩამოთვლილ მოთამაშეებსა და ასევე პოპოვიჩის ხელში ძალიან კარგ დამცველად ჩამოყალიბებულ **მეტ ბონერს** დავამატებთ, მაშინ ცხადზე ცხადია, რომ სპურსი წლეულსაც ჩემპიონობის მოპოვების მთავარი ფავორიტი იქნება.

"სან ანტონიომ" დრაფტზე ნიჭიერი ბრაზილიელი **ტიაგო სპლიტერი** აიყვანა. ეს უკანასკნელი 22 წლისაა და თუ "სპურსში" თამაშს წელსვე გადაწყვეტს, დანკანისგან და ობერტოსგან ბევრ რამეს ისწავლის.

"დალასი" თუ "სან ანტონიო"?

რეგულარულში ფავორიტი "მავერიქსია", მაგრამ "სპურსისთვის" ხომ სეზონი პლეიოფით იწყება.

ზურაბ თალაკვაძე

ნიუ იორკ ნიქსი

ჰიუსტონის დაბრუნება

"ნიუ იორკ ნიქსმა" **ალან ჰიუსტონი** დაიბრუნა. 36 წლის მსროლელი, რომელსაც თავისი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ "ნიქსის" შემადგენლობაში აქვს გატარებული, გუნდთან ერთწლიან კონტრაქტზე შეთანხმდა, თუმცა ხელშეკრულების ფინანსური მხარე უცნობია.

თავის დროზე, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი, ამ კონტრაქტის გამო კმაყოფილებას ვერ მალავს.

"ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარ. "ნიქსის" ორგანიზაციას ჩემთვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული, ხოლო ფანების სიყვარულსა და მხარდაჭერას ვერასოდეს დავივიწყებ. მათ ერთხელაც მომცეს შანსი და მას ბოლომდე გამოვიყენებ. მას მერე, რაც ერთი კვირის წინათ, ღმერთმა მე და ჩემ მეუღლეს მეოთხე შვილი გვაჩუქა, ერთად გადავწყვიტეთ, რომ თუ კი სადმე წავიდოდი, ეს გუნდი, მხოლოდ და მხოლოდ, "ნიქსი" იქნებოდა", - ნათქვამია ალანის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

1999 წელს, ალან ჰიუსტონმა "ნიქსს" სუპერფინალში გასვლაში დაეხმარა. მაშინდელი გუნდის ღირსებას, მის გარდა ასევე **პატრიკ იუინგი** (ფინალში დამტვრეული იყო), **მარკუს კემბი, კურტ ტომასი, ლარი ჯონსონი, ლატრელ სპრიუელი** და **კრის ჩაილდსი** იცავდნენ. გადამწყვეტი სერია "ნიქსმა" "სან ანტონიოსთან" 1:4 წააგო.

ალან ჰიუსტონს ასევე "ნიუ ჯერსის" ვარიანტიც ჰქონდა, თუმცა მოთამაშემ იმ გუნდში დაბრუნება არჩია, სადაც 6 წლის განმავლობაში კაპიტანი იყო. თავისი ბოლო ორი რეგულარულის განმავლობაში, ჰიუსტონმა მუხლების ქრონიკული ტრავმის გამო მხოლოდ 70 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ზუსტად ორი წლის წინათ კი, ამავე ტრავმის გამო დიდი კალათბურთიდან წავიდა.

ლიგაში ალანს 12 სეზონი აქვს გატარებული და ამ დროში, მისი საშუალო შედეგიანობა 17.3 ქულა იყო. "ნიუ იორკში" ჰიუსტონის მონაგარი 11 165 ქულაა, რაც გუნდის ისტორიაში მეოთხე შედეგია. ალანზე მეტი ქულა მხოლოდ **პატ იუინგმა, უოლტ ფრეიზერმა** და **უილის რიდმა** მოიმკეს. "ნიქსამდე" იგი **გრანტ ჰილთან** ერთად "დეტროიტის" ღირსებას იცავდა.

"უნდა ნახოთ, როგორი მონდომებულია. ალანს 20 წუთით მოედანზე დარჩენა თავისუფლად შეეძლება და ამ დროში, გუნდს ბევრი სასიკეთო უნდა გაუკეთოს", - ამბობს ჰიუსტონის თანაგუნდელი და თანაამპლუელი **ჯამალ კროუფორდი**.

ეპოქა გრძელდება და იმედი ვიქონიოთ, რომ უწესიერესი პიროვნება და შესანიშნავი მოთამაშე თავისი დაბრუნებით იმედგაცრუებული არ დარჩება.

ზურაბ თალაკვაძე



ალან ჰიუსტონი

ᲭᲝᲙᲔᲘ

ᲝᲢᲐᲕᲐ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ბუკმეიკერებმა ჰოკეის ეროვნული ლიგის წლევანდელი სეზონის ფავორიტები დაასახელეს. მათი აზრით, წლეულსაც სტენლის თასის მოგების ყველაზე კარგი შანსი შარშანდელ ფინალისტ "ოტავა სენატორზს" აქვს. თასის აღებაზე ამ გუნდის ფსონი 8.0-ს უდრის.

მეორე-მესამე ადგილებს სტენლის თასის მფლობელი "ანაჰაიმი" და "დეტროიტი" იყოფენ - 9.0. ხუთეულში შედიან "რეინჯერსი" (10.0) და "პიტსბურგი" (11).

სეზონის აუტსაიდერად ბუკმეიკერებმა **უეინ გრეტცკის** "ფინიქს კოიოტსი" მიიჩნიეს.

ცნობისთვის, "ოტავა," ჯერჯერობით, ამართლებს ტოტალიზატორების პროგნოზებს - "სენატორებმა" სეზონის სტარტზე ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგეს.

ᲝᲖᲝᲚᲘᲜᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ლატვიელი მცველი **სანდის ოზოლინში** მალე დაუბრუნდება ჰოკეის ეროვნულ ლიგას. როგორც ცნობილია, NHL-ის ხელმძღვანელობამ ჰოკეისტი ალკოჰოლისადმი მიდრეკილების გამო დისკვალიფიკაციით დასაჯა და იძულებითი მკურნალობის კურსის გავლა დააკისრა.

ოზოლინშმა ლიგის ყველა პირობა შეასრულა. ამ ზაფხულს ის "სან ხოსეს" ბანაკში ვარჯიშობდა და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში სწორედ ამ გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲐᲚᲝᲜᲡᲝ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲔᲡ

ᲯᲐᲚᲐᲫᲔ მოდენას პროკურატურამ საიდუმლოდ დაკითხა "მაკლარენის" პილოტი **ფერნანდო ალონსო**.

ესპანელი იტალიაში ინკოგნიტოდ ჩაიყვანეს. მართალია, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ცნობილ ჯაშუშურ სკანდალთან დაკავშირებულ საქმეს წერტილი დაუსვა, მაგრამ "ფერარის" ინიციატივით, იტალიისა და ბრიტანეთის სამოქალაქო სასამართლოებში ჯერაც მიმდინარეობს პროცესები.

ალონსოს გარდა, იტალიაში დაკითხვაზე გამოიძახებენ "მაკლარენის" სხვა ოფიციალურ პირებსა და თანამშრომლებს. მათ შორის იქნება ბრიტანული საჯინიბოს ტესტ-პილოტი **პედრო დე ლა როსა**. ისიც ცნობილია, რომ ამ საქმეში მოწმის სტატუსით არ გადის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი **ლუის ჰემილტონი** და მას იტალიაში ჩასვლა არ მოუწევს.

ᲠᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ტურნირები

ATP

BA-CA Tennis Trophy

ᲕᲔᲜᲐ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ). ᲰᲐᲠᲓᲘ. **ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 642 750 ᲔᲕᲠᲝ

II ᲠᲘᲒᲘ

ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 2)-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:3, 6:4; ივან ლუბიჩიჩ (ხორ, 3)-მარდი ფიში (აშშ) 6:7 (4), 6:2, 7:6 (7); **ანდრეას სეპი (იტა)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:5, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ჟულიენ ბენეტო (საფ) 7:6 (2), 1:6, 6:2.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ). ᲮᲐᲚᲘᲩᲐ. **ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 1 000 000 ᲓᲝᲚ.

I ᲠᲘᲒᲘ

მიხაილ იუჟნი (რუს, 2)-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:3, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:2, 6:4; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:3, 6:4.

II ᲠᲘᲒᲘ

პოლ-ანრი მატიო (საფ, 4)-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 7) 3:6, 6:3, 6:1; **ფლორან სერა (საფ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 6:7 (2), 6:4, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 7:6 (8), 1:6, 6:4.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ (ᲨᲕᲔᲓ). ᲰᲐᲠᲓᲘ. **ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 680 250 ᲔᲕᲠᲝ

I ᲠᲘᲒᲘ

პეტერ ლუჩაკი (ავსტრია)-ბერჯამინ ბეკერი (გერ) 2:6, 6:3, 6:4; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-დენის გრეშელმარი (გერ) 6:3, 6:2; **ბიორნ რენკვისტი (შვედ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:4, 6:4; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-პეტერ ვესელი (ჩეხ) 6:1, 6:7 (7), 7:6 (8); **მიკაელ რიდერსტედტი (შვედ)**-კენეტ კარლსენი (დან) 6:3, 7:6 (4); **იოახიმ იოჰანსონი (შვედ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:6 (1), 6:2; **არნო კლემანი (საფ)**-მაქსი მირნი (ბელ) 6:3, 6:2.

II ᲠᲘᲒᲘ

ტომი ჰაასი (გერ, 4)-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 3:6, 6:3; **ხუან მონაკო (არგ, 5)**-ფილიპ პრპიჩი (შვედ) 6:4, 6:4.

WTA

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ). ᲮᲐᲚᲘᲩᲐ. **ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 1 000 000 ᲓᲝᲚ.

I ᲠᲘᲒᲘ

ვერა ზვონარევა (რუს)-ამელი მორესმო (საფ, 6) 4:6, 6:3, 6:4; **დინარა საფინა (რუს)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:1, 6:3.

II ᲠᲘᲒᲘ

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 1)-ხისელა დულკო (არგ) 3:6, 6:2, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-მარია შარაპოვა (რუს, 2) 7:6 (9), 6:2; **ვერა დუშევინა (რუს)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 5) 2:6, 6:0, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს)**-პატი შნიდერი (შვეიც, 7) 6:3, 6:4.

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲘ (ᲤᲐᲘᲚ). ᲰᲐᲠᲓᲘ. **ᲡᲐ�პᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ**: 200 000 ᲓᲝᲚ.

I ᲠᲘᲒᲘ

ჟი იანი (ჩინ)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 1) 4:6, 7:6 (4) იანკოვიჩის უარი; **იუნ-იან ჩანი (ტაივ)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:3, 6:3; **ვანია კინგი (აშშ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 3:6, 6:2.

II ᲠᲘᲒᲘ

ფლავია პენეტა (იტა, 7)-კეისი დელაკუა (ავსტრა) 2:6, 6:3, 7:5; **კამილ პინი (საფ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 7:6 (1).

ინტერვიუ მაიკლ ჩანგთან

ყოველთვის საუკეთესო ჩანგი ვიყავი

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში შემოგთავაზეთ მასალა, რომელშიც ჩოგბურთის დიდების დარბაზში სამი მოთამაშის მოხვედრის შანსები იყო განხილული. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ კანდიდატებად გერმანელი მიხაელ შტიხი, ამერიკელი მაიკლ ჩანგი და ესპანელი სერხი ბრუგერა დაასახელეს. 1972 წელს დაბადებული ჩანგი, საჩოგბურთო სამყაროში კომეტასავით შეიჭრა და 1989 წელს, საფრანგეთის ღია პირველობის 17 წლის ასაკში მოგებით, ნამდვილი ფურორი მოახდინა. მაიკლისთვის ყველაზე წარმატებული 1993 წლის სეზონი იყო, როდესაც მან 6 ტურნირი მოიგო, თუმცა, ერთეულთა კლასიფიკაციაში საუკეთესო შედეგს არა ამ სეზონში, არამედ ოდნავ მოგვიანებით მიაღწია, როდესაც პიტ სამპრასს უკან ამოუდგა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა მეორე პოზიციას. ჩანგი დიდების დარბაზში მოხვედრის შანსებს რეალურად აფასებს, რაზეც თავად გვიამბობს ინტერვიუში.

- როგორ გგონიათ, შეძლებთ თუ არა თქვენ, მიხაელი და სერხი დიდების დარბაზში შესვლისთვის ხმების საჭირო რაოდენობის დაგროვებას?

- ძნელი სათქმელია, თუმცა მარტო ის ფაქტი, რომ მე ამ შესანიშნავ მოთამაშეებთან ერთად ყველა დროის საუკეთესოებში შესვლის კანდიდატად მიმიჩნიეს, სასიამოვნო და საპატიოა. მიხაელ შტიხი ჩემი მეგობარია და სიმართლე გითხრათ, ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი თამაშით. თუნდაც ცუდ ფორმაში ყოფნისას, შტიხს არაჩვეულებრივად ეფექტური, დასამახსოვრებელი ჩოგბურთის ჩვენება შეეძლო. იგი ჩოგბურთით სიამოვნებას იღებდა და ხშირად ტრავმირებული რომ არ ყოფილიყო, ალბათ, გაცილებით მეტსაც მიაღწევდა.

- ანუ, პირველი ჩოგანი გახდებოდა?

- დიახ, ეს სავსებით რეალური იყო. 1994 წლის დასაწყისში, ამერიკაშიც კი ბევრს წერდნენ იმაზე, რომ შტიხის სახით, სამპრასსა და კურიეს რეალური საფრთხე ემუქრებოდათ. უბრალოდ, მიხაელმა სეზონის დასაწყისი ჩააგდო, პიტმა კი პირიქით, იანვარსა და თებერვალში აკრიფა აუცილებელი ქულები და საკმაოდ დიდი ჰანდიკაპი შექმნა.

- პირველ ჩოგნობასთან ახლოს თქვენც იქნებოდით, 1996 წლის ამერიკის ღია პირველობის ფინალში სამპრასისთვის რომ მოგეგოთ.

- კი, ახლოს ნამდვილად ვიყავი, მაგრამ იმ ფინალს პიტს ვერც მე და ვერც სხვა ჩოგბურთელი მოუგებდა. სამპრასს თითქმის არ დაუშვია შეცდომა და თუ არ ვცდები, პირველი ორი სეტის მერე, მის ანგარიშზე მხოლოდ ორი უნებლიე შეცდომა იყო. ასე თუ იქ, დაძაბული თამაში მესამე სეტში იყო, სადაც ორი სეტ პოინტიც მქონდა, მაგრამ ის პარტიაც წავაგე. იმავე სეზონში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ბეკერთან დავმარცხდი. არადა, ფინალამდე ისე მივედი, რომ სეტიც არ წამიგია.

- თქვენს მიერ ნახსენებ ორივე სლემზე, ნახევარფინალში ორივეჯერ ანდრე აგასის მოუგეთ.

- ავსტრალიაზე აგასის წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრა, ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იმ სეზონში მანამდე არცერთ ტურნირში არ მქონდა მიღებული მონაწილეობა დ? ყველანაირად ვეცადე, რომ ავსტრალიაში მაქსიმალურად დასვენებული ჩავსულიყავი. ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარე და აგასისთან მეტი სეტის ჩატარება რომც დამჭირვებოდა, დარწმუნებული ვარ, მაინც მოვიგებდი.

- როგორ აფასებთ ბრუგერას შანსებს?

- ბრუგერაც ძალიან ძლიერი მოთამაშე იყო, მაგრამ მიხაელი მასზე გაცილებით მრავალმხრივი გახლდათ. საკუთარ თავს არ ვიქებ, მაგრამ სერხიზე ბევრად მეტი ტურნირი მაქვს მოგებული. საინტერესოა, რომ 1996-ში ყველაზე წარმატებული სეზონი მქონდა და თიხნარზე, სადაც კარიერის პირველი და უკანასკნელი სლემი მოვიგე, საშინლად ვითამაშე. სხვათა შორის, ირონიით ვიხსენებ ამ წლის როლან გაროსს. სტეფან ედბერგთან მესამე წრეში საერთოდ არ უნდა მეთამაშა, რადგან წინა შეხვედრაში, ავსტრალიელ ფრომბერგთან მარჯვენა მუხლი ვიტკინე. ორი საათის მერე კი ვგებულობ, რომ ედბერგიც ტრავმირებულია. ასე გავედით კორტზე ორი არაფრის მაქნისი და სტეფანმა ოთხ სეტში მომიგო.

- ოდესმე თუ გქონიათ იმის შეგრძნება, რომ საუკეთესო ხართ და ბოლო ნაბიჯის გადადგმამდე სულ ცოტა გაკლიათ?

- ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ საუკეთესო ჩანგი ვიყავი, ხოლო მართლა უძლიერესები კი პიტი და ანდრე იყვნენ.

ზურაბ თალაკვაძე

12 ოქტომბერი. პარასკევი

NTV-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ტოქ-შოუ - 2:1.
17:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 ჩვენი ფეხბურთი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:20 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეეფირნალი.
21:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:05 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
23:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:55 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ბულგარეთი)

07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
08:23 ფეხბურთი. Barca TV.
08:31 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:13 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:40 ფეხბურთი. Barca TV.
09:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:03 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-აილენდერსი.
11:46 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:15 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ამერიკა-ვასკო და გამა.
14:04 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. კოლო კოლო-მილიონარიოსი.
15:53 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
16:21 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მეცი. საფრანგეთი.
18:23 ფეხბურთი. Barca TV.
18:30 სინქრონული ცურვა. ბრაზილია (LIVE).
20:03 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:32 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:29 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ჩივასი-დალასი.
23:30 კრივი. რინგ-საიდი.
00:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:48 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. კოლო კოლო-მილიონარიოსი.
02:37 სპორტდოსიე. სკეიტინგი.

EUROSPORT

07:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
09:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. პრაქტიკა.
10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიადა [illegible]
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-[illegible]
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-სერბეთი.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-საბერძნეთი.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-იტალია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
20:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:00 სუმო.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
01:45 ექსტრემალური სპორტი.
02:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლონდონი. ინგლისი.
02:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი.
13:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)-ლუბინი (პოლონეთი).
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
18:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)-ლუბინი (პოლონეთი).
19:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. კონსტანტა (რუმინეთი)-კილი (გერმანია).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური.1/4 ფინალი. ვენა. ავსტრია (LIVE).
23:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი. პრაქტიკა.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. კონსტანტა (რუმინეთი)-კილი (გერმანია).
02:15 ახალი ამბები.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

აილენდერსი-რეინჯერსი 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 მ-ა. ბერგერონი1 (სილინჯერი-2), 1:1 ტიუტინი-1 (სტრაკა-1, მარსელ ჰოსა-1), 2:1 ბერარი-1 (გერინი-6, მ-ა. ბერგერონი-2).

ატლანტა-ოტავა 1:3

1:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ჯ. კელი-2, 1:1 კოვალჩუკი-1, 1:2 ვერმეტი-2 (ფილიპსი-2, ვოლჩენკოვი-1), 1:2 კორვი-1 (სპეცა-8, ალფრედსონი-4).

კოლამბუსი-ფინიქსი 3:0

1:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 მალორტა-1 (ჩიმერა-2, ჰეიდა-1), 2:0 ჩიმერა-1 (ჰეიდა-2), 3:0 ბოლი-1 (მალორტა-1, ჩიმერა-3).

პიტსბურგი-მონრეალი 2:3

0:0, 1:2, 1:1

გოლები: 1:0 რაიან უიტნი-1 (რეკი-1, კროსბი-2), 1:1 ალეკანეიცი-1 (მარკოვი-3, შტრაიტი-1), 1:2 კოვალიოვი-1 (ალეკანეიცი-1), 1:3 მარკოვი-2 (რაიდერი-2, ს. კოიუ-2), 2:3 ტელობტი-1 (მალკინი-3, რეკი-2).

ტამპა ბეი-ფლორიდა 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 გრეტონი-1 (დარჩი-1, ჯ. უორდი-1), 1:1 პელტონენი-1 (ო. იოკინენი-2), 2:1 გრეტონი-2 (რეინჯერი-3, ულეტი-1).

დეტროიტი-კალგარი 4:2

1:1, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ზეტერბერგი-2 (დაციუკი-3), 1:1 პუსელიუსი-1 (ნოლანი-1), 2:1 პოლმსტრომი-4 (დაციუკი-4, რაფალსკი-3), 2:2 პუსელიუსი-2, 3:2 დრეიპერი-2 (ლილია-1, დრეიკი-1), 4:2 სამუელსონი-2 (ლებდა-1, კლარი-2).

მინესოტა-ედმონტონი 2:0

1:0, 1:0, 0:0

გოლები: ბერნსი-2 (გაბორიკი-1, დემიტრა-1), 2:0 დემიტრა-1 (მ. კოიუ-1, გაბორიკი-2).

ჩიკაგო-სან ხოსე 1:2

1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ტოევეზი-1 (სიბრუკი-2, კეინი-2), 1:1 მ. მიხაელეკი-1 (მარლო-1, რიეე-3), 1:2 მ. მიხაელეკი-2 (მ. კარლი-2, რიეე-4).

სენტ ლუისი-ნეშვილი 4:1

2:0, 2:1, 0:0

გოლები: 1:0 ბოიესი-2 (მაკლემანი-2, კარია-4), 2:0 ბოიესი-3 (კარია-5, ბეკმენი-1), 3:0 რ. ჯონსონი-1 (კინგი-1, მეიერსი-1), 4:0 სტემპნიაკი-1 (რუჩინსკი-2, ვაგნერი-2), 4:1 ტუტუ-1 (რადულოვი-1, ჰამპუისი-3).

დალასი-ლოს ანჯელესი 5:1

1:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 ჰაგმანი-3, 2:0 ჰაგმანი-4 (მორიუ-2, რიბეირო-1), 3:0 მიტენენი-1 (ლუნდკვისტი-1), 4:0 რიბეირო-1 (ი. ლეჰტინენი-2, ზუბოვი-3), 5:0 ლუნდკვისტი-2 (ჰალპერნი-1), 5:1 კალდერი-1 (ოვანსი-1, ჯ. ჯონსონი-1).

ვანკუვერი-ფილადელფია 2:8

1:4, 1:3, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. კარტერი-2 (რ. ჯონსი-2), 0:2 უმბერგერი-1 (მ. რიჩარდსი-2, რ. ჯონსი-3), 1:2 შენონი-2 (დ. სედინი-2, ჰ. სედინი-2), 1:3 ს. განიე-2 (ბრიერი-2, ტიმონენი-2), 1:4 ბრიერი-4, 1:5 ლუპული-1 (უმბერგერი-1, მ. რიჩარდსი-3), 2:5 კრაჩეკი-1 (დ. სედინი-3, ჰ. სედინი-3), 2:6 ნუბლი-2 (ტიმონენი-3, ს. განიე-4), 2:7 მ. რიჩარდსი-1 (ბრიერი-3, ლუპული-2), 2:8 მ. რიჩარდსი-2.

ანაჰაიმი-ბოსტონი 2:1

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 კობესიუ-2 (მეტროპოლიტი-1, ხარა-2), 1:1 გეტცლაფი-3 (პასკინსი-2), 2:1 ბოშემენი-1 (პნიდი-1, გეტცლაფი-2).

ბურის მოვლენები

- "აილენდერსს" გამარჯვება მცველმა **ბრაიან ბერარმა** მოუტანა, რომელმაც ორი დღის წინათ გააფორმა კონტრაქტი "კუნძულელებთან". 10 წლის წინათ, ბერარმა "აილენდერსის" შემადგენლობაში საუკეთესო დებიუტანტის პრიზი მოიპოვა.

- "აილენდერსის" მეკარე **რიკ დიე პიეტრომ** 36 დარტყმა მოიგერია. მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით, გუნდმა 4-დან სამი თამაში მოიგო.

■ ■ ■

- "ოტავამ" სეზონის სტარტზე ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და ერთი გამარჯვება აკლია საკლუბო რეკორდის გასამეორებლად. ორი წლის წინათ, "სენატორებმა" ზედიზედ 6 მოგებით დაიწყეს სეზონი.

- "ოტავას" რიგებში დებიუტი ჰქონდა მეკარე **ბრაიან ელიოტს**. ეს ჰოკეისტი კლუბმა 2003 წლის დრაფტზე 291-ე ნომრად აირჩია.

- "ატლანტამ" "სენატორზის" წინააღმდეგ წამყვანი ფორვარდის, **მარიან ჰოსას** გარეშე ითამაშა. სლოვაკი ტრავმის გამო ისვენებდა.

■ ■ ■

- "კოლამბუსის" მეკარემ **პასკალ ლეკლერმა** სეზონში მეორე შათაუტი შეასრულა. ეს გოლკიპერი უკვე 150 წუთია არ უშვებს გოლს. ლეკლერმა 32 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

- ნლევანდელი უნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ, მეკარე **კერი პრაისმა** პირველი მატჩი ჩაატარა NHL-ში. ახალგაზრდა გოლკიპერმა **კროსბისა** და მის თანაგუნდელებს მხოლოდ ორი შაიბა გაატანინა.

- "პიტსბურგს" იუბილე ჰქონდა: ზუსტად 40 წლის წინათ, ამ გუნდმა პირველი მატჩი ჩაატარა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. სხვათა შორის, მაშინაც "პინგვინების" მეტოქე "მონრეალი" იყო.

■ ■ ■

- "ტამპა ბეიმ" არსებობის ისტორიაში მესამედ დაიწყო სეზონი ზედიზედ სამი მოგებით.

- "ლაითნინგის" წამყვანმა სამეულმა (**სენტ ლუისი, ლეკავალიე, პროსპალი**) პირველ ორ მატჩში ექვსი გოლი და 13 ქულა დააგროვა, ამჯერად კი, ქულაც ვერ შესძინა თავის გუნდს.

■ ■ ■

"დეტროიტმა" ჩეხი მეკარის **დომინიკ ჰაშეკის** გარეშე ითამაშა. მისმა შემცვლელმა **კრის ოსგუდმა** 19 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

- "მინესოტას" მეკარემ **ნიკლას ბექსტრიომმა** 21 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე შათაუტი შეასრულა.

- "ტამპას" მსგავსად, მინესოტელებმაც ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს.

* * *

- "სან ხოსემ" ზედიზედ მერვედ მოუგო "ჩიკაგოს".

- ჩიკაგოელებმა ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარეს თავიანთი ლიდერის, **მარტინ ჰავლატის** გარეშე.

■ ■ ■

- "სენტ ლუისს" ბოლო ორ სეზონში "ნეშვილთან 16-დან 11 მატჩი ჰქონდა წაგებული. ამჯერად "ბლუზმენებმა" გაიმარჯვეს და ამაში ყველაზე დიდი წვლილი, ბოლო ორ ჩემპიონატში "ნეშვილის" საუკეთესო ბომბარდირმა **პოლ კარიამ** შეიტანა. ცნობილი ფორვარდი კარგად შეეწყო "სენტ ლუისს" და სამ მატჩში უკვე 5 საგოლე პასი აქვს გაკეთებული.

■ ■ ■

- სტენლის თასის მფლობელმა "ანაჰაიმმა" სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

ცხელი ხეფზი

ფეხბურთი

ინგლისი

პრემიერლიგა

ოქსფორდი-ბორკი	3:3

ჩემპიონის თასი

ლისენი-ლალია	4:3

ევრო 2009

UNDER 21

შოტლანდია-ლიგა	3:0

კალათბურთი

NBA

აველინო-ვირგინი	72:85
ბენგბონი-ვარიზე	78:63
ლოსანჯელეს-კანტე	89:92
მონტეკალო-მონტეგრანარო	82:70
რიეტი-ბილა	91:67
რომა-ნაპოლი	80:69
სანიერო-საკოლინი	75:68

პოლი

რუსეთი

მეგალურგი ნ-ესა	4:0
ავანგარდი-აკ ბარსი	4:2
სიბირი-ხიმკი	2:3
დინამო-ლოკომოტივი	3:6
სპარტაკი-ნუბინიმკი	1:1
მედ-სევერსტალი	2:2

გერმანია

ინგოლშტადტი-პაბერბერი	0:3
ფრანკფურტი-პისბარენ	4:0

ფინეთი

ილვესი-ივანიასკილა	3:1
ჯაიკა-ესკ	2:4
კერეტი-ლუკო	5:2
კიეკო-ოლეარი	2:2 ო.ბ. 2:3
საიკა-ბეს	2:2
პიფა-ეფლიანი	2:4
ესეტი-ბეკარ	0:2

ჩეხეთი

ლანდო-ჯარლოვი ვარი	2:6

შვეიცარია

ქენეკა-ციურიხი	1:1 ო.ბ. 2:1

შვედეთი

ბრუნანი-ოერებრო	1:2
ლინდოვინგი-ეკ 71	6:3
ლულეა-ალეუბე	3:1
სიოდერბალე-ფარიესალი	0:1
ბიგრე-ბორა	3:2
ფარილუნდა-ოფლ	4:2

ჩოგბურთი

ATP. მოსკოვი

იუჟნი-ბერერი	5:7, 4:6
მიურეი-ტიპსარევიჩი	4:6, 5:7
ანდრეევი-საფინი	6:4, 6:4
დავიდენკო-ლაპენტი	6:4, 6:4

ATP. ვენა

ნალბანდიანი-ვავრინკა	7:5, 3:6, 1:6
ფ. ლოპესი-კუბეკი	6:4, 3:6, 6:4
ჩელა-მელცერი	4:6, 6:3, 6:2
ჯოკოვიჩი-ზიბი	6:4, 6:4

ATP. სტოკჰოლმი

ანჩიჩი-რენკვისტი	6:1, 6:3
ნიემინენი-ლუჩაკი	6:0, 6:4
კლემანი-რიდერსტედტი	7:6, 3:6, 6:3
ტ. იოჰანსონი-ლოდრა	6:4, 7:6
ბლეიკი-დანჩევიჩი	6:3, 6:2

WTA. მოსკოვი

ს. უილიამსი-პერეზინინისი	7:5, 6:4
ვაიდიშოვა-ვესნინა	6:3, 6:4
ზვონარევა-ა. რადვანსკა	6:2, 6:2
ჩაკვეტაძე-საფინა	6:7, 2:6

WTA. ბანგკოკი

ვ. უილიამსი-ვოზნიაჩკი	6:2, 6:2
ჩანი-ვოზნიაკი	4:6, 6:3, 6:2
იანი-პუჩკოვა	3:6, 6:1, 6:1
ვ. უილიამსი-ტანასუგარნი	6:4, 6:1

WBO. ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ. ᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲝᲕᲘ-ᲔᲕᲐᲜᲓᲔᲠ ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘ

ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲪᲓᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ. ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ WBO-Ს ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲠᲣᲡᲘ ᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲝᲕᲘ ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲗᲘ ᲝᲗᲮᲑᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ, 44 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲕᲐᲜᲓᲔᲠ ᲰᲝᲚᲘᲤᲘᲚᲓᲡ ᲨᲔᲰᲕᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲒᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲰᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲓ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲣᲘᲥ ᲔᲜᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲔᲑᲘ

თითქმის შეუძლებელია იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რატომ აგრძელებს ზღაპრულად მდიდარი და პოპულარული **ევანდერ ჰოლიფილდი** მოკრივის კარიერას.

მსოფლიოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ჰოლიფილდზე მეტად იმსახურებდეს არწივთან შედარებას. პირიქით, ნებისმიერი არწივი დიდ პატივად ჩათვლიდა, თუ მას ევანდერს შეადარებდნენ. და როგორც ყველა თავმოყვარე არწივი, ჰოლიფილდი ყოველთვის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიფრინავდა და გზად, ყველა მტაცებელ ფრინველს ანადგურებდა. მან ორჯერ ისეთი მფრინავი დრაკონიც კი დაამარცხა, როგორიც **მაიკ ტაისონი** იყო.

თქვენ წარმოიდგინეთ, თავისი ფიზიკური მონაცემებით ჰოლიფილდი არასოდეს ყოფილა ნამდვილი მძიმეწონოსანი. საკმაოდ დიდი ხანი, ის ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს 86.2 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, სადაც აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მაგრამ თურმე, ეს დიდი კარიერის მხოლოდ დასაწყისი ყოფილა. იმიტომ, რომ ევანდერი მძიმე წონაში გადავიდა.

1990 წელს, **ბასტერ დაგლასის** (მოკრივე, რომელმაც კარიერაში პირველი მარცხი აგემა ტაისონს) დამარცხების შემდეგ, ჰოლიფილდი ზემძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ტიტულს 1992 წლამდე ინარჩუნებდა. 1993 წელს, მან რევანში აუღო **რიდიკ ბოუს** და WBA-სა და IBF-ის საჩემპიონო ქამრები დაიბრუნა.

ამჯერად, ჰოლიფილდის ჩემპიონობა ხანგრძლივი არ ყოფილა. მომდევნო წელიწადს, მან **მაიკლ მურერთან** წააგო კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მატჩი. მაშინ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ჰოლიფილიდს ბრძოლის წინ ძილის წამალი დაალევინეს. მოგვიანებით, ექიმებმა განაცხადეს, რომ ევანდერმა რინგზე 12-ივე რაუნდი გულის შეტევით გაატარა. თუმცა მოკრივემ გარკვეული დროის შემდეგ განაცხადა, რომ საკუთარი თავი რწმენით მოარჩინა და ყველას გასაკვირად, ექიმებმაც დაადასტურეს, რომ ძველი ავადმყოფობის არანაირი კვალი აღარ არსებობდა. ექიმებს ეჭვიც კი შეეპარათ პირვანდელი დიაგნოზის სისწორეში.

რამდენიმე წელიწადი ჰოლიფილდი ჩრდილში იყო და როცა იქიდან გამოვიდა, ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი გახდა. 1996 წლის 9 ნოემბერს, მან მე-11 რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მაიკ ტაისონი და WBA-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ნახევარი წლის შემდეგ, მატჩ-რევანშში "რკინის მაიკმა" დაინახა, რომ ევანდერის დასამარცხებლად მონდომება საკმარისი არ იყო და გაცოფებულმა, თავის კარიერაში ყველაზე გიჟური საქციელი ჩაიდინა - მეტოქეს ყური მოაჭამა, რის გამოც სამართლიანად იქნა დისკვალიფიცირებული. 1997 წლის ბოლოს, ჰოლიფილდმა IBF-ის ქამარიც დაიბრუნა, როცა **მაიკლ მურერთან** გაასწორა ანგარიში.

1999 წელს, ჰოლიფილდმა ორჯერ იჩხუბა WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ **ლენოქს ლუისთან**. პირველ შემთხვევაში, მსაჯებმა მას ფრე აჩუქეს, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ის ბრძოლა წააგო. მეორე ორთაბრძოლაში კი, რომელიც უფრო ჰგავდა ფრეს, ევანდერს წაგება ჩაუთვალეს.

დაბოლოს, 2000 წელს ჰოლიფილდმა თავისი უკანასკნელი ტიტული მოიპოვა - WBA-ს ვერსიით. მაშინ, საჩემპიონო ქამარი სასამართლოს ძალით (არც ისე პატიოსნად) ლენოქს ლუისს ჩამოართვეს და ეს ტიტული ვაკანტური გახდა. ევანდერმა **ჯონ რუისი** დაამარცხა და WBA-ს ჩემპიონი გახდა. 2001 წლის მარტში, ჰოლიფილდმა რუისთან მატჩ-რევანში დათმო, ხოლო იმავე წლის დეკემბერში, მასვე მესამე ბრძოლა მოუგო, მაგრამ მსაჯებმა ფრე გამოაცხადეს.

რა თქმა უნდა, ბოლო ჩემპიონობა ხანმოკლე და რბილად რომ ვთქვათ საეჭვო იყო, მაგრამ ამაში ჰოლიფილდს ბრალი ნამდვილად არ მიუძღოდა.

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲔᲑᲘ

ჰოლიფილდის ამჟამინდელი გეგმა ავანტიურას ჰგავს. ამერიკელი ამბობს, რომ მხოლოდ ერთი ტიტულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და აბსოლუტური ჩემპიონობა სურს. ამისთვის კი, თანამედროვე კრივში არსებული ოთხი ვერსიის საჩემპიონო ქამრების მოპოვებაა საჭირო.

ჰოლიფილდისა და იბრაჰიმოვის ბრძოლა 13 ოქტომბერს იმართება, ექვსი დღის შემდეგ, 19 ოქტომბერს კი, ევანდერს 45 წელი უსრულდება. ეს ძალიან ბევრია და არ ღირს ამ კონკრეტულ შემთხვევაში **ჯორჯ ფორმენის** გახსენება, რომელიც სწორედ ამ ასაკში გახდა მეორედ მსოფლიო ჩემპიონი. მათი შედარება არაკორექტული იქნება.

ჯერერთი, ფორმენი ფენომენია იყო, ჰოლიფილდზე კი ამის თქმა ძნელია. დიდი ჯორჯი, ალბათ, კრივის ისტორიაში ფიზიკურად ყველაზე ძლიერი მძიმეწონოსანი იყო. ის სწორედ ძალაზე აკეთებდა აქცენტს, ძალა კი, როგორც ცნობილია, ყველაზე ბოლოს ტოვებს ადამიანს. ჰოლიფილდი პირიქით, "პატარა" მძიმეწონოსანია და იდეაში, თავის კოლეგებს შორის ყველაზე ადრე უნდა დაბერებულიყო. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ფორმენს თავის კარიერაში 10-წლიანი პაუზა ჰქონდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია მის სპორტულ დღეგრძელობაზე. და კიდევ, თუ 1974 წელს, **მუჰამედ ალისთან** ცნობილ ბრძოლას არ ჩავთვლით, ფორმენს სერიოზულად არასოდეს მოხვედრია თავში. მისი წაგებები **ჯიმი იანგთან** (1977 წელი), ჰოლიფილდთან (1991) და **ტომი მორისონთან** (1993) ტექნიკური იყო - მან, უბრალოდ, მეტოქეზე ნაკლები ქულები დააგროვა.

თავის მხრივ, ჰოლიფილდს უმოწყალოდ ხვდებოდა თავსა და ყბებში (ტაისონის მიერ ყურის მოჭმას არ ვთვლით, რადგან ეს მოკრივის ფიზიკურ მდგომარეობაზე გავლენას არ იქონიებს). რიდიკ ბოუსთან სამივე ბრძოლა (აქედან ორი წაგებული) ძალიან მძიმე აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას ტაისონთან პირველ შეხვედრაზე და ლენოქს ლუისთან ორივე ბრძოლაზე. გარდა ამისა, ნებისმიერი წაგება, თუნდაც ქულებით, ასევე "აბერებს" მოკრივეს. **კრის ბერდმა** და **ლარი დონალდმა** ჰოლიფილდს სისწრაფის ხარჯზე აჯობეს. **ჯეიმს ტუნიმ** კი, თავისი აქტიური დაცვით ისე დაღალა მეტოქე, რომ ბოლოს იოლად გაგზავნა ევანდერი ნოკაუტში. ადრე ამ სამეულიდან ვერცერთი ვერ მოერეოდა ჰოლიფილდს.

ოთხი წლის წინათ, ტუნისთან წაგებამ ყველაზე მეტად იმოქმედა ჰოლიფილდის თავმოყვარეობაზე. ამ ბრძოლამ ყველაზე კარგად დაგვანახა, რას უშვება ასაკი დიდ მოკრივეს.

ტუნი, რა თქმა უნდა, კარგი მოკრივეა. მასზე უკეთ კორპუსით თავის დაცვა არავის ეხერხება და თან ფენომენალური რეაქციაც აქვს. ამის გამო, ის თითქმის არ ატარებს მეტოქის ძლიერ დარტყმებს. მაგრამ ჰოლიფილდი ხვდებოდა და კითხულობდა ყველაფერს, რასაც ტუნი აკეთებდა, თუმცა მოვლენებს ვერ ასწრებდა. ეს ბრძოლა ჰოლიფილდისთვის, თავის საუკეთესო წლებშიც არ იქნებოდა იოლი, მაგრამ ტუნის ერთი-ორი აუცილებლად მოხვდებოდა და საბოლოოდ, ჰოლიფილდი ნოკაუტით გაიმარჯვებდა. ასე კი... მე-9 რაუნდში ჰოლიფილდმა, რომელიც საკუთარ თავს არ ჰგავდა, კორპუსში დარტყმა გაატარა და რინგზე დაეცა.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲔᲑᲘ

ტუნის შემდეგ, ჰოლიფილდმა ლარი დონალდთანაც წააგო და თითქოს, მისი კარიერა აქ დასრულდა. შესაძლოა, გარკვეული პერიოდი მოკრივეც ასე ფიქრობდა, მაგრამ უსაქმოდ ვეღარ გაძლო და ისევ დაბრუნდა. იქნებ წასვლა არც ჰქონდა ჩაფიქრებული. ამჯერად, მან გადაწყვიტა შედარებით დაბალი კლასის მოკრივეს შეხვედროდა - **ჯერემი ბეიტს**. მაშინ ბევრმა გაიფიქრა, რომ ჰოლიფილდს უბრალოდ, არ სურდა დიადი კარიერის მარცხით დასრულება. მაგრამ ევანდერს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. გასული წლის აგვისტოში, ის ორ რაუნდში გაუსწორდა ბეიტსს, სამი თვის შემდეგ, **ფრეს ოკენდოს** შეხვდა, რომელიც მსოფლიო ელიტიდან გავარდნილი იყო და იქ დაბრუნებას ლამობდა. როგორც ჩანს, ოკენდო ფიქრობდა, რომ ჰოლიფილდის დამარცხებით შეძლებდა ამის გაკეთებას. მაგრამ პირიქით მოხდა. მართალია, ევანდერის გამარჯვება განსაკუთრებულად შთამბეჭდავი არ ყოფილა, მაგრამ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია.

2007 წლის მარტში, ჰოლიფილდმა მე-3 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა **ვინი მადალონე**, ნაკლებად ცნობილი და არაფრით გამორჩეული მოკრივე და ბოლოს, 30 ივნისს, ქულებით მოუგო 42 წლის **ლუ სავარეზეს** (თავის დროზე, ეს უკანასკნელი სამართლიანად აცხადებდა პრეტენზიას ტიტულზე). სწორედ სავარეზეს დამარცხების შემდეგ დარწმუნდა ჰოლიფილდი იმაში, რომ კვლავ შეეძლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა. უფრო მეტიც, მან ამაში სხვების დარწმუნებაც შეძლო. და ზუსტად ამ დროს, ევანდერს ძალიან გაუმართლა. ჩაიშალა 13 ოქტომბერს დანიშნული რეკლამირებული ბრძოლა, WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ სულთან იბრაჰიმოვსა და WBA-ს ჩემპიონ **რუსლან ჩაგაევს** შორის. ეს უკანასკნელი მოულოდნელად ავად გახდა და სასწრაფოდ მოსაძებნი იყო მისი შემცვლელი.

ყველაფერი იბრაჰიმოვისა და ჩაგაევის ბრძოლისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომელიც მოსკოვში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ჯერ გათენებულიც არ იყო, ევანდერი ტელეფონთან იჯდა და ზარს ელოდა. მას უკვე ჰქონდა იბრაჰიმოვთან ბრძოლის შეთავაზება, მაგრამ ოფიციალურად არაფერი არ იყო გადაწყვეტილი. ევანდერის ლოდინი ამაო არ აღმოჩნდა. მას დაურეკეს. მოკრივის ხმა პრესკონფერენციაზე დინამიკში შეუშვეს და მოსკოვში ყველამ გაიგონა ჰოლიფილდის განცხადება - მისთვის მომავალი ბრძოლა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.



ევანდერ ჰოლიფილდი



სულთან იბრაჰომოვი

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲝ ᲗᲘᲗᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲒᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲝ ᲭᲣᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲒᲐ ᲮᲐᲩᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲚᲐ ᲯᲐᲜᲑᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲩᲐᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲩᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲖᲐᲠ ᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲘᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲠᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲓᲔᲩᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ),
ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ,
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲑᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ.: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ.: 899 91 87 17)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ". 1936-39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ "ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ", "ᲚᲔᲚᲝᲛᲓᲔ" ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ 362 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. 1949 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲦᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ "ᲡᲞᲝᲠᲢᲗᲐᲜ".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ 2002-06 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-ᲓᲐᲜ)

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10², 0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ); 53-39-11
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ